47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929 სახელოგამი № 17

ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის.

უდავოა ის ფაქტი, რომ პიონერთა ორგანიზაციას დიდი მიღწევები აქვს. პიონერების მიერ ჩატარებული სამხედრო ლაშქრობა ადგილებზე იმის დამტკიცებელია, რომ მათ შეგნებული აქვთ გადამწყვეტ მომენტში პარტიასა და კომკავშირთან ერთად მტრის მიმართ ბრძოლის წარმოების აუცილებლობა.

რას ნიშნავს გასულ წელს პიონერების მიერ ჩატარებული კამპანიები კულტურული ლაშქრობისათვის, თუ არა იმას, რომ დღეს პიონერების მრავალრიცხოვანი დარაზმული ორგანიზაცია სასტიკ შეტევას აწარმოებს დახავსებული ზნე-ჩვეულების აღმოსაფხვრელად, რომ გზა გაკაფოს კულტურული რევოლუციის გასამტკიცებლად მშრომელთა მასაში.

ასევე პიონერთა ორგანიზაციამ თესვის კამპანიის ჩატარების დროს მოსახლეობაში შესძლო ეწარმოებია საკმაო აგიტაცია-პროპაგანდა. პიონერებმა შესძლეს საცდელი ნაკვეთების ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დამუშავება. **მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ადგილებზე საგრძნობ შეცდომებს ვხედავთ, რაც მიეწერება პიონერებისთვის არასწორი ხელმძღვანელობის გაწევას კომკავშირის მიერ.** ამ ნაკლის გამოსასწორებლად სამბიუროებმა მიიღეს ღონისძიებანი, მაგრამ ეს მეტად სუსტი და უშედეგო გამოდგა. ზოგიერთ მაზრაში (მაგ., ქუთაისი, ოზურგეთი და სხვა) ხელმძღვანელმა კომკავშირელებმა არამც თუ სწორი ხელმძღვანელობა არ გაუწიეს პიონერებს, პირიქით, ცუდ მოქმედებაში ეძიებდა ხელმძღვანელობის სისტემას ზოგიერთი მათგანი. რასაკვირველია, ასეთი მოვლენები პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შეფერხებას ნიადაგს უმზადებდა. მთელ რიგ სოფლებში პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა პერიოდულ სახეს იღებს. გაძლიერებულ მუშაობას მოჰყვება მუშაობის შენელება, ისევ გაძლიერება, და ასეთი რყევას ორგანიზაცია მთლიანად მოდუნებულ მდგომარეობამდე მიჰყავს. **„ახ. კომუნისტის“** და ჟურნალ **„პიონერის“** ფურცლებზე შეკრებილი ცნობები ზემოთ მოყვანილი ბრალდების დასამტკიცებლად სრულ მასალას იძლევა.

დროთა სვლაში პიონერთა ორგანიზაციის მოთხოვნილება რთულდება და ამ გაზრდილი მოთხოვნილების გადასაჭრელად აუცილებლად უნდა გამოინახოს შესაფერი ღონისძიებანი. ამიერკავკასიის პიონერთა პირველმა შეკრებამ, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში, ამ მდგომარეობას ხაზი გაუსვა და აღნიშნა, თუ როგორ იზრდება პიონერთა საქმიანობა და ამ გაზრდილ საქმიანობას ის რა ფორმებითა და მეთოდებით სწყვეტს.

აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომკავშირის მიერ გაძლიერებულ იქნეს ადგილებზე პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ქალაქად ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე სოფლად, რადგან ქალაქად მომზადებული პირები მოიპოვებიან და შესაძლებლობაც არის, სიახლოვის გამო, უკეთ იქნეს ხელმძღვანელობის საკითხი მოწესრიგებული. სოფლად კი ზოგიერთ ადგილას ხელმძღვანელობის სისუსტის გამო მუშაობა შეფერხებულია. ზუგდიდის და ქუთაისის სამბიუროებმა სოფლად პიონერებისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოამზადეს კომკავშირელთა კადრი. მაგრამ ეს ამხანაგები სოფელში მივლინებულ იქნენ მხოლოდ 2-3 თვით, და მუშაობას მაინცადამაინც დიდი ნაყოფი არ მოუცია. სოფლად იქ, სადაც კომკავშირის უჯრედი არსებობს და მასთან პარალელურად პიონერთა ორგანიზაცია, პირველის ხელმძღვანელობა არაფერში არ გამოიხატება, ვინაიდან სოფლად კომკავშირის ისეთი უჯრედებია, რომლებიც არერკვევიან პიონერთა მუშაობის საკითხებში. ამიტომ სამბიუროებმა პიონერების ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად კომკავშირელი იმ ამხანაგების მომზადება უნდა დაისვან პირველ საკითხად, რომლებიც მუდმივად სოფელში რჩებიან, რომ პიონერებს მათ სისტემატიურად გაუწიონ ხელმძღვანელობა.

საჭიროა კომკავშირმა მიმდინარე მომენტში პიონერთა ორგანიზაციას ენერგიული ხელმძღვანელობა გაუწიოს, რომ გააცნოს პიონერებს დროული საკითხები, რის შემდეგ ეს უკანასკნელნი ადვილად შესძლებენ გასწიონ აგიტაცია-პროპაგანდა თავის მშობლებში.

პიონერთა ორგანიზაციებმა თავისი მოთხოვნით კომკავშირის უჯრედს უნდა მიმართონ, რომ შერჩეული (თუ მოიპოვებიან ასეთნი, თუ არა და მეზობელ სოფლის კომკავშირის უჯრედს უნდა მიმართონ), პირების დახმარებით იქნეს მათთვის ხელმძღვანელობა გაწეული.

მიუხედავად მცირეწლოვანებისა, პიონერებს შეუძლიათ დიდი მუშაობა აწარმოონ თავის მშობლებში უკულტურობის მოსასპობლად. პიონერებმა რომ მეტად გაშალონ თავისი მუშაობა სოფლებში, საჭიროა მათი თეორიული მომზადების გაღრმავება. კომკავშირის ორგანიზაციებმა სხვა საკითხებთან ერთად პიონერების თეორიული მომზადების საქმე საკუთარ დავალებად უნდა გაიხადონ, რისთვისაც ნაბიჯები აქედანვე უნდა იქნეს გადადგმული. ამით ჩვენ, ერთის მხრივ, ავწევთ პიონერების თეორიული მომზადების დონეს და, მეორე მხრივ, საშვალება მოგვეცემა ასეთი ახალგაზრდობის დახმარებით ვაწარმოოთ ბრძოლა მშრომელთა მასაში ყოველგვარი უვიცობის და უცოდინარობის წინააღმდეგ.

ბ. მირცხულავა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	პიონერებს — **მაქსიმ გორკის**	1
2.	მარსა — **ე. ეგ—შვილის**	2
3.	მანევრებზე — ლექსი — **ირაკლი აბაშიძის**	3
4.	კავკ. წითელდროშ. არმიის მანევ. — **შ. ესებუასი**	4
5.	საქ. სახ. მეურნ. ხუთწლიანი გეგმა — **სანის**	6
6.	ნაროდნაია ვოლია — **კ. მ—ძის**	8
7.	მიდიან დაუთვალ. რიგები—ლექსი — **ა. ადამიასი**	10
8.	გამარჯვებულნი — **გ. ნარიმანიშვილის**	11
9.	ფოლადის სამეული — **ბ. ბიბინეიშვილის**	14
10.	ასეთი იყო ჩვენი პირველი შეკრება	23
11.	მარგანეცის მოპოვება — **ელ. პოლუმორდვინოვის**	27
12.	სასკოლო კოოპერატივი — **მ. ბოგომაზოვასი**	28
13.	მეცნიერება და ტექნიკა — **ისრის**	31
14.	ხელმძღვ. გაძლიერება — **ბ. მირცხულავასი** — გარ. 2	გვ.
15.	ნოტები — გარეკანის მესამე გვერდზე.	

3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1929
15 სექტემბერი

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი IV
№ 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერებს

ვინ არიან პიონერები?

პიონერები დაარქვეს იმ ხალხს, რომელიც სახლდებოდა ახლადაღმოჩენილ მიწებზე.

პიონერებს უწოდებენ მეცნიერების ბევრ ცნობილ მუშაკს: ლუი პასტერს — ბაქტერიოლოგიის დამაარსებელს, კიურის, რომელმაც აღმოაჩინა რადი, პროფესორ დოკუჩაევს, რომელმაც რუსეთის ნიადაგების გამოკვლევის დროს გზა გახსნა ახალი მეცნიერებისათვის — გეოქიმიისათვის. შეიძლება პიონერი ეუწოდოთ კარლ მარქსს — მან მიაფინა მთელი კაცობრიობის ისტორიას ახალი შუქი და უჩვენა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ. ვლადიმერ ლენინსაც, რომელმაც პირველმა გაბედულად წაიყვანა მუშათა კლასი მარქსის მიერ ნაჩვენები გზით, შეიძლება ეწოდოს პიონერი.

ყოველ საზოგადოებრივ მუშაობას, რომელიც აფართოებს და აღრმავებს საერთო საკაცობრიო კულტურას ზრდას და ემსახურება მშრომელი კლასების ინტერესებს, ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება თავისი პიონერები.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პიონერები ის ადამიანები არიან, რომელნიც ქმნიან ახალ სასარგებლო რამეებს და შეაქვთ ის ცხოვრებაში, და ხალხი, რომელიც აღრმავებს და აფართოებს ახალს, სასარგებლოს.

აგრეთვე ჩვენი მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობაც, რომელიც მარქსისა და ლენინის გზით მიდის, პიონერების რაზმია, იმიტომ რომ ამ რაზმმა პირველმა დაიწყო მთელ მშრომელ ქვეყნიერებაზე თავისუფალი თავისი სოციალისტური სახელმწიფოს გაბედულად შენება.

თქვენ, ბავშვებო, სოციალური რევოლუციის პიონერების შვილებო, ძმებო და დებო, ახალი ქვეყნის მშენებლების ბავშვებო, თქვენც შედიხართ ახალ დედამიწაზე, თქვენთვის ახლახან აღმოჩენილზე, თქვენ დასახლდებით მასზე, როგორც მთელ მის სიმდიდრეთა ბატონ-პატრონები, როგორც საკუთარი თავისათვის მომუშავენი.

თქვენს წინაშე ბრწყინვალე გმირული სამუშაოა: უნდა განაგრძოთ მამების მიერ დაწყებული საქმე. თქვენ უკვე აკეთებთ მას ისე კარგად, რომ მალე შეიძლება მეხსიერებიდან ამოვშალოთ ძველი ანდაზა: „კვერცხი ქათამს არ ასწავლის“. თქვენ უკვე ასწავლით თქვენს მამებს უფრო გონიერად ცხოვრებას და მუშაობას, ვიდრე ისინი დღეს ცხოვრობენ და მუშაობენ. ეს თქვენი გაკვეთილები განსაკუთრებით თვალსაჩინო და სასარგებლოა სოფლად, სადაც ცხოვრების და მუშაობის ძველ ჩვევებს ჯერ კიდევ მაგრად აქვთ შებოჭილი ადამიანთა გონება. სოფლად ადამიანებს ჯერ კიდევარ სწამთ გონების ძალა, რასაც შეუძლია დაანგრიოს ყველაფერი, რაც უშლის ხელს ადამიანებს, რომ კარგად იცხოვრონ და რასაც შეუძლია შექმნას ყველაფერი, რაც საჭიროა სამართლიანი, ჯანსაღი და ადვილი ცხოვრებისათვის. სოფლად ჯერ კიდევ ცუდად ესმისთ კოლექტიურად შრომის სარგებლიანობა, და მხოლოდ ამ შრომას კი შეუძლია მოსპოს ადამიანებში ხარბობა, შური და მტრობა.

მამების გამტყუნება არ შეიძლება იმაში, რომ მათ ბავშვებზე უფრო ცუდად ესმისთ კერძო საკუთრების ინსტინქტის საწინააღმდეგო დიდი ისტორიული ბრძოლის საქმე.

თქვენი მამები წარმოუდგენელ მძიმე პირობებში ცხოვრობდენ. ძველმა კაპიტალისტურმა ცხოვრებამ მიაჩვია ადამიანები ისე უცქირონ ერთმანეთს, როგორც მტრებმა, თითოეული მიაჩვია, როგორც ნადირი, თავის ბუნაგში, ხვრელში, თავის ქოხში შემალვას. წარსულის სიბნელე და საშინელება კერძო ინდივიდუალური საკუთრების ნიადაგზე აღმოცენდა. კერძო საკუთრების ინსტინქტი ადამიანების მთავარი მტერია და ცხოვრების ყველა სიმწუხარის, ყველა საშინელების მიზეზია.

მუშათა კლასის მოწინავე რაზმი — კომუნისტების პარტია — ასწავლის ადამიანებს: მოსპეთ წვრილი, კერძო მეურნეობა, ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდა კაპიტალიზმი, — მთელი მსოფლიოს უბედურება, ყველა მანკიერების და ბოროტმოქმედების საფუძველი. იბრძოლეთ ცხოვრების კაპიტალისტური კლასიური ფორმების უგულობის წინააღმდეგ, აშენეთ საკუთარი სოციალისტური სახელმწიფო, და მაშინ მოკვდება კერძო საკუთრების ინსტინქტი, მხოლოდ მაშინ დადგება ნამდვილი ძმობა და ერთობა, ხოლო ადამიანთა შრომა კი უფრო ადვილი გახდება და უფრო მეტ შედეგსაც მოგვცემს.

თქვენ, ბავშვებო, აუცილებლად უნდა მიიღოთ ის მოძღვრება, თუ არ გსურთ, რომ ცხოვრება ისევ დაბრუნდეს იმ სიბნელესა და საშინელებაში, რომელშიაც ცხოვრობდა მშრომელი ხალხი ათასეული წლების განმავლობაში.

თქვენ ყველაფერს უნდა ხედავდეთ, ყველაფერს სწავლობდეთ, აღიჭურვოთ ცოდნით და არ თაკილობდეთ არავითარ შრომას.

თქვენ, პიონერები, გაბედულად და პირდაპირ უნდა მიდიოდეთ იმ გზით, რომელიც ლენინმა გაგიხსნათ.

წინ, პიონერებო!

მაქსიმ გორკი.

მარსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მარსა მოწყენილია. მოგრძო შავი თვალებიდან მსხვილი ცრემლები სცვივა მზისაგან დამწვარ ლოყებზე და მტვრიანი გზით საფრანგეთის ჯარისკაცთა ბანაკისაკენ მიეშურება.

მარსა მარტო არ არის. მას მსუბუქი ნაბიჯით მისდევს ხუთი-ექვსი წლის ცხენი, მშვიდი თვალებით, ხაერდოვანი თავით, აბრეშუმივით რბილი კუდით და ალაგ-ალაგ თეთრად აჭრელებული შავი ბეწვით. მარსა სტირის, ცხენი კი დროდადრო ჭიხვინებს, თითქოს ეკითხება თავის საყვარელ პატარა პატრონს: „სად მიგყავარ, რატომ არა მღერი წინანდებურად, როდესაც მე და შენ ერთად დავრბოდით მზისაგან გადამწვარ მინდორზე? ან რატომ არ მადგია ზურგზე აბრეშუმის უნაგირი და ზედ არა ზიხარ?“

ოჰ, მარსა არა მღერის და კიდევ დიდხანს ვერ იმღერებს, რადგან ის მოჰულის გასაყიდლად მიდის.

სიღატაკემ მოიკიდა ფეხი იმათ სახლში. ციებამ საფლავში ჩააწვინა ოჯახის უფროსი, მოხუცი ჰასანა, შემდეგ მარსას პატარა და მეჯე და ბოლოს ლერწამისაგან დაწნულ ჭილობზე დააწვინა მარსას დედა და ერთ-ერთი ძმაც.

სახლში ფული გამოილია და ამიტომ გახდა მოჰულის გაყიდვა საჭირო. მარსამ უკვე გაჰყიდა თავისი ოქროს ჯაჭვი და საყურეები თითქმის ჩალის ფასად. და, აი, ახლა გასაყიდლად მიჰყავს თავისი ერთგული მეგობარი, მისი ბავშობის საყვარელი თანამგზავრი და თამაშობის მოზიარე.

მოჰული აღარ დაიხვიხვინებს გრილ საჯინიბოში, სადაც თავის ყოველდღიურ საკვებსა და ჰასანას შვილების კოცნას მოელოდა.

ის აღარ გაასეირნებს თავის ზურგზე მზისაგან დამწვარ გოგონებს და ბიჭებს, რომლებიც თავის პურს მას უზიარებდენ.

ის აღარ მივა წყლის დასალევად წკრიალა, გამჭვირვალე ანკარა მდინარესთან, სადაც გასაგრილებლად ჯიხვები დადიან, ველარ გაიკუნტრუშებს მზის მხურვალებისაგან გავარვარებულ და ჩამობნელებულ სწორ მინდორზე.

ასეთი მწუხარე, მძიმე ფიქრებით მიაღწია მარსამ ფრანგების ბანაკს. დარაჯებმა გაუღიმეს იმის ნორჩ სახეს. მარსამ აუხსნა, რომ ცხენის გასაყიდლად მოვიდა.

ასეთი ამბავი იშვიათი არ იყო არაბთა ქვეყანაში.

ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელიც მოჰულის გასასინჯად გამოვიდა, ძალიან მოიწონა ცხენი.

— „რამდენად აფასებ ამ პირუტყვს?“ — ჰკითხა ბავშს ოფიცერმა.

— „ეს ცხენი ას ფრანგულ ოქროს პიესად ღირს“, — უპასუხა ცრემლისაგან ჩახლეჩილი ხმით მარსამ.

— ხომ არ გასულელდი, პატარავ? — წასჩურჩულა ერთმა ჯარისკაცმა.

— ასი ოქროს პიესი?—გაკვირვებით ჰკითხა ოფიცერმა.

— დედამ ასე დამბარა... მაშ მოჰული ამდენად არა ღირს?..—განაგრძო შეშინებულმა მარსამ.

— ორასი ოქროს პიესი-თქო...—კიდევ წასჩურჩულა ჯარისკაცმა.

— ორასი... — გაიმეორა აბნეულად გოგონამ.

— მართალია... შენი ცხენი ორას ოქროს პიესად ღირს — წარმოსთქვა ოფიცერმა.

ნაღველნარევი სიხარული გამოკრთა გოგონას გაფითრებულ სახეზე.

— „მაშ მაძლევ ამ ფასად?“

წითელმა ტუჩებმა ოდნავ წარმოსთქვეს „დიაღ“, მაგრამ მისი შავი, დიდი თვალები ცრემლისაგან აიმღვრა.

— რაღა გატირებს?—ჰკითხა ოფიცერმა,—შენ ხომ იმდენს ფულს გაძლევ, რამდენის მიღების იმედი არა გქონდა?

— „მოჰულს ვუყვარვარ და ჩვენც გვიყვარს იგი“ — უპასუხა მარტივად მარსამ.

ის არა ფიქრობდა ფულზე, რომელსაც ახალგაზრდა ქერა კაცი უთვლიდა, არც უდაბნოს ვერცხლისფერ ქვიშიან საზღვართან ქოხში დატოვებულ მშიერ ავადმყოფებზე, ის ვერც მოჰულს ამჩნევდა, რომელიც თავისი ხაერდოვანი თავით უალერსებდა იმის ატლასივით რბილს, მზემოკიდებულ ლოყებს და წყნარად ფრუტუნებდა, რადგან განშორება აუცილებელი იყო.

როდესაც მარსას ხელში ოქროს ფული ეჭირა, ჯარისკაცს მოჰული უკვე მიჰყავდა, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა.

ცხენმა სამჯერ მოიბრუნა ხვიხვინით თავისი ლამაზი თავი, რომ შეეხედა პატარა მეგობრისათვის და სამჯერვე ტირილით მიირბინა გოგონამ მის მოსახვევად.

ამ სანახაობაზე აფრიკის მზის ქვეშ დამწვარ ძველ ჯარისკაცებს ყელში ბოლმა მოაწვათ და თვალები ცრემლით აევსოთ.

ქოხში დაბრუნებისას დედამ ბავშს საქმის ასე კეთილად დაბოლოება მიულოცა.

მეორე დღეს, დილას, როდესაც მარსამ გააღო კარი, სადაც ნუგეშცემული და გამაძღარი ოჯახი ისვენებდა, ის წააწყდა რაღაც შავტანიანს არსებას, რომელიც სიხარულით ხვიხვინებდა. ეს იყო მოჰული, მთლად გაოფლიანებული და ფერდებჩაცვივნული. მას დაეწყვიტა აღვირი და ბნელ ღამეს გამოერბინა მთელი გზა, რომელიც მეგობრებს აშორებდა.

მარსამ ვერ გაბედა, ვერ მოახერხა, რომ მოჰულს გასჯავრებოდა. ადვილი მისახვედრია, თუ როგორ მოუალერსეს, მიეფერენ ბავშები მოჰულს და, რადგან ისინი ახლა შეძლებული იყვნენ, რა კარგი საუზმე შესთავაზეს შვრიისა და ხილისაგან.

როდესაც ცხენმა დაისვენა და სიცხემაც იკლო, გუშინ დილივით მოწყენილმა მარსამ ხელი მოჰკიდა მოჰულის აღვირს და ხელახლად გაუდგა გზას.

ის დაბრუნდა ფრანგების ბანაკში. შორიდან თვალი მოჰკრეს თუ არა გოგონას, ჯარისკაცებმა შეჰყვირეს:

— „ერთი უყურეთ! პატარა არაბის ქალი თავისი ცხენით. ვიფიქრებდით კიდევ მაგის ნახვას? ჩვენ გვეგონა ფულიც დაიტოვა და ცხენიცო, ის კი არა, პატიოსანი ბავში ყოფილა.

მარსა უახლოვდებოდა მათ. მას ფრუტუნით მოსდევდა ლამაზი პირუტყვი. ბავშს მოჰულის ახალი პატრონის შიში ჰქონდა

— „არ გაჯავრდეთ, — შეევედრა იგი ჯარისკაცებს. მეორედ ასე აღარ მოიქცევა, ოღონდ კარგად კი უნდა დააბათ“.

საცოდავი ბავში ტიროდა ამ სიტყვების წარმოთქმის დროს, თან უალერსებდა მოჰულის პრიალა ფერდებს.

მარსას მიუახლოვდა ნაცნობი ჯარისკაცი, ყოფილი მუშა, რომელიც ქარხნის დაზგას და საყვარელ ცოლშვილს მოსწყვიტეს და დამონებულ კოლონიაში გადასტყორცნეს. მან ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი.

— ეგ ცხენი ისევ უკან წაიყვანე, მაგისი პატრონი საფრანგეთში წავიდა...

— წავიყვანო? ფული... ფული თან არა მაქვს, — ყოყმანით სთქვა ბავშმა: არ იცოდა, გახარებოდა თავისი მეგობრის უკან დაბრუნება, თუ მწუხარებას მისცემოდა ხელმეორედ გაღარიბების მოლოდინში.

— რა ფული, რომელი ფული, პატარა გოგონავ?

— ის, რაც ამ ცხენის საფასურად მომცეს. ის ფული სახლშია, მხოლოდ იქიდან ნაწილი უკვე დახარჯულია... მაგრამ ჩვენ ვეცდებით...

— შენ ყოჩაღი, პატიოსანი გოგონა ყოფილხარ, შეაწყვეტინა მუშა-ჯარისკაცმა. იმ ოფიცერს ერთმა მდიდარმა ნათესავმა დიდძალი ფული დაუტოვა. დეპეშა მოუვიდა და გაეშურა საფრანგეთისაკენ. მას შენი ცხენის ფული ჩალის ფასადაც აღარ უღირს. წაიყვანე ჩქარა, თორემ რომელიმე ოფიცერი დაინახავს შენს ცხენს და შარს მოგდებს. მაშინ საბოლოოდ გამოეთხოვები ცხენს.

მუშა-ჯარისკაცმა იგრძნო ხელსა და ლოყაზე ორი მსუბუქი შეხება: ხელზე — პატარა არაბის ქალის ტუჩებისა, ხოლო ლოყაზე — მოჰულის აბრეშუმივით რბილი ნესტოსი. ამით ერთიც და მეორეც მადლობას უხდიდენ მას. მუშა-ჯარისკაცი აიბნა და თვალზე სიბრალულის ცრემლი მოადგა.

გათენებისას ბავში და ცხენი მინდვრით ბრუნდებოდენ. მათ ალბათ არასოდეს არ ეჩვენებოდათ დილის ნიავი ისე სასიამოვნოდ, ყვავილები ის სურნელოვანად, ცა ისე ბრწყინვალედ, წყალი ისე გრილად იმ მდინარეში, სადაც მოჰული დადიოდა წყლის დასალევად ჯიხვებთან ერთად, რომლებიც მასთან შედარებით ნაკლებად მარდნი იყვნენ.

ფრანგულიდან ნათარგმნი **ე. ეგ-შვილის მიერ.**

მანევრებზე.

მანევრების ხმა რომ გაჩნდა
და ბარს ცეცხლი დაეყარა,
ბრძოლის ველზე გასულ ლაშქარს
გვიც ძლიერ დეხმარა.

თქვენც იფიქრეთ, ერთი, აქვე:
რას ჩაიდენთ ბრძოლის ველად?
გვის აზრით, ასეთ საქმეს
დეხმაროთ უნდა ყველა.

მართლაც, ტყვილად ხომ არ ვნატრობთ
თავდაცვას და შრომას ერთად,
თუ ლაშქარში გასვლას ამ დროს
მანევრებზეც ვერ გავბედავთ.

მეგობრებში მაგალითი
გვიმ მისცა მრავალს ჩქარა, —
იგი ბრძოლის წინადღითვე
მანევრებზე გაემგზავრა.

იქ ვინ იცის, რამდენ საქმეს
დაატარებს ლაშქრის ყოფა;
პატარებო, უნდათ მათვე
თქვენი ახლო მეგობრობა.

იცის გვიმ: გასჭირდება
პატარაა კიდევ რახან...
და სურვილით უფრო სავსემ
სულ სხვა საქმე გამონახა.

სანგრებში და ველშიც თუნდა
ახალ ცნობებს ბევრი წყდება, —
და საველე გაზეთს უნდა
გატანა და გავრცელება.

გვის ფარავს ირგვლივ მთები,
და პატარა გმირად ჩანდა,
როცა ახალ გაზეთებით
მოიკიდა მძიმე ჩანთა.

სიხარულით ველში მღერის,
მეთაურთა ხარობს რაზმიც,
როცა ნახეს პიონერის
რკინის ნება, ხმა და აზრი.

ხსოვნაშიაც გვის ალბათ
დაურჩება მუდამ იგი:
რომ აქ, ბრძოლის ველზე, ჭარბად
დეხვია მკითხველთ რიგი.

მანევრების გაშლილ ველად
მოლაშქრეთა რაზმი დაქრის,
მიაჩნიათ სასახელოდ
ეს პატარა ამხანაგიც.

თითქო გვიც მოსულ ხალხთან
თავს მებრძოლთა რიგში რიცხავს
და თან ნატრობს, როცა ხმალსაც
დააბრუნებს მტერთა რისხვად.

ირაკლი აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები

ხვალ შუადამისას, სრულ 12 საათზე, „წითლები“ და „ლურჯები“ შეხვდებიან ერთიმეორეს — დაიწყება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის დიდი მანევრები.

აქ, ბრძოლის ველზე, უნდა გამოირკვეს კავკასიის წითელდროშოვან არმიაში შემავალი ნაწილების სამხედრო მომზადება და უნარიანობა.

ქ. გორი, სადაც დაბანაკებულია „ლურჯების“ კორპუსში შემავალი ნაწილები, დღეს სამხედრო ბანაკს წარმოადგენს.

ქალაქის მიდამოები სავსეა სამხედრო ნაწილებით; ხეების ჩრდილში, მდინარის პირას დაბანაკებულან დროებით სხვადასხვა ნაწილები მანევრების დასაწყისის მოლოდინში. გორს ყოველ ჟამს ემატება ჯარის ახალ-ახალი ნაწილები.

— აბა, ბიჭებო, ყოჩაღად, თორემ საცაა უნდა გავუდგეთ გზას.

— შენ იდარდე, რომ პირველად მიდიხარ მანევრებზე, თორემ მე მაგისთანებს შეჩვეული ვარ: ორჯერაც კი ვიყავი მანევრებზე.

— შენც იტყვი, რაღა! აბა, სად შარშანდელი მანევრები, სად წრევანდელი, შედარებაც კი არ შეიძლება. შარშან სად იყო ამდენი ხალხი და ან ტანკები?

ხშირად ისმის ასეთი ლაპარაკი.

დივიზიის ნაწილები აიშალენ პოზიციებისაკენ გასამგზავრებლად.

დღეს იწყება „ბრძოლა“, იწყება „ომი“ „წითლებსა“ და „ლურჯებს“ შორის ტფილისის „დასაპყრობად“.



პიონერების ვარჯიში ბანაკად.

რეგულარული ჯარის გარდა, გორის ქუჩებში შეხვდებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას და მუშებს — ესენი არიან მუშათა ათასეულის რაზმები.

ეს მესამე დღეა, რაც გორში მოვიდენ აზერბეიჯანის წითელი ჯარის ნაწილები, რომლებიც სხვა ნაწილებთან ერთად იღებენ მონაწილეობას მანევრებში.

განსაკუთრებით იქნა აღნიშნული თურქი არმიელების სტუმრობა — ეს უდიდესი მოვლენაა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ./კ. ხალხთა შორის დამყარებულია მტკიცე კავშირი, მტკიცე მეგობრობა.

განსაკუთრებული განწყობილებაა წითელარმიელთა შორის. დინჯად, აუჩქარებლივ ასრულებენ არმიელები თავის საქმეს, უსიტყვოდ ემორჩილებიან მეთაურთა განკარგულებას და ბრძანებას. ბევრი საქმე აქვთ არმიელებს, მაგრამ არავინ არ იმჩნევს დაღლილობას, პირიქით, ყოველი არმიელი ცდილობს დაეხმაროს თავის ამხანაგს, უშველოს მას ამა თუ იმ საქმის შესრულებაში.

ვინ გამოვა გამარჯვებული ამ „ომში“?

ამის თქმა ჯერ არ შეიძლება, ამას გადასწყვეტს „ბრძოლის“ ველი.

ისმის საყვირის ხმა, ნიშანი იმის, რომ ახლოვდება გამგზავრების დრო.

ლეგიონები ანაზდეულად ეწყობიან სალაშქრო წესით. მეთაურები ერთხელ კიდევ ათვალიერებენ არმიელთა რიგებს.

— სალაშქრო რაზმეულო, ნაბიჯით იარ! — გაისმა ბრძანება, აგუგუნდა ორკესტრები, და ლეგიონები გაუდგენ გზას.

ლამაზია მუხრანის ველი.

ბარაქიანია და ნოყიერი მუხრანის ველის ნიადაგი. აქ ხარობს საუკეთესო ჯიშის ვაზი, კარგი პური და ხილი.

დღეს მუხრანის ველი „წითლების“ და „ლურჯების“ „ბრძოლის“ ასპარეზად გადაქცეულა.

„ლურჯების“ შეტევისას „წითლები“ უკან იხევენ. ამავე დღეს აიღეს „ლურჯებმა“ სამთავისის მაღლობები, დაიკავეს სოფლები თეზი და ოვაში და შეუდგენ მზადებას მუხრანის ველის ხელში ჩაგდე-

ბისათვის, რომ ამით გაეკაფათ გზა მცხეთა-ტფილისისაკენ.

30 აგვისტო, თითქმის მთელი დღე, მშვიდად ჩატარდა.

არ ისმოდა არც თოფის სროლა, არც ზარბაზნების გრიალი, არც ტყვიამფრქვევთა კაკანი. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ჰაერში თვითმფრინავი, რომლის ხმაური არღვევდა მუხრანის ველზე ჩამოწოლილ მყუდროებას.

მაგრამ როგორც „წითლები“, ისე „ლურჯები“ ფხიზლად იყვნენ, დარაჯობდენ თავის პოზიციებს, ყურმახვილად იყვნენ „ლურჯები“, რომ „წითლებს“ არ გამოეგლიჯათ ხელიდან დიდის წვალებით ხელში ჩაგდებული მუხრანის ველი, საიდანაც „ლურჯები“ ფიქრობენ გასვლას ტფილისისაკენ.

30 აგვისტოს, საღამოს ჟამს, „ლურჯებმა“ დაიწყეს მოქმედება. კვლავ გაისმა სროლა, კვლავ დაიწყეს ცაში ნავარდი თვითმფრინავებმა.

არმიელნი გაეშურენ „ბრძოლის“ ველისაკენ. მიდიან მამაცად, არ იმჩნევენ დაღლილობას.

აი, სწრაფი ნაბიჯით მიდის „ბრძოლის“ ველისაკენ მესანგრეთა ასეული. გზაში ხვდება N დივიზიის მეთაური.

— გამარჯობა, ამხანაგებო!

— გაუმარჯოს!

მეთაური ესაუბრება პოლიტხელს.

არმიელნი საუკეთესოდ გრძნობენ თავს, სიამოვნებით და სიხარულით მიდიან სამუშაოდ.

— მე წინადადება მივეცი დაესვენათ, მაგრამ არა ქნეს, სიარული გვირჩევნიაო, — ამბობს პოლიტხელი.

მზადება ახალი „ბრძოლებისათვის“ როგორც „წითლების“, ისე „ლურჯების“ ბანაკში გაცხოველებით მიმდინარეობს. ეტყობა, რომ „ბრძოლა“ იქნება სასტიკი, დაუნდობელი.

ამას უკვე მოწმობს გახშირებული სროლა და ზარბაზნების გრიალი.

მაშ ასე, დაიწყო სროლა მცხეთისათვის.

სოფლებში გლეხობამ არაფერი იცოდა მანევრების შესახებ და პირველად ახლო არ ეკარებოდენ არმიელებს; შემდეგ, როცა დარწმუნდენ, რომ არმიელები სამტროდ არ მოსულან, გამოიშალენ გარეთ და ცოტა ხნის შემდეგ კიდეც დაუმეგობრდენ არმიელებს და გააბეს მათთან საუბარი.

— არ იცოდით, რომ ამ სოფლის ახლო იწარმოებდა მანევრები? — ეკითხება არმიელი ერთ გლეხს.

— მუხრანში, ამხანაგო, იყო ლაპარაკი, რომ მანევრები უნდა იყოს ამ ჩვენს მხარეშიო, მაგრამ სოფლებისათვის არ შეუტყობინებიათ და ხალხმაც არაფერი არ იცოდა. ამიტომ იყო, რომ არმიელებს რიგიანად ვერ შევხვდით.

ხილი ბლომად არის ბაღებში, ვენახებში ყურძენი შემწიფებულია, მაგრამ არმიელებს მათთვის ხელი არ უხლიათ.

— არა, ამხ.ნაგო, არმიელებს ვერ დაკემდურებით, — ამბობს ის, — თუ ჩვენ არ შევთავაზეთ, ისე ვენახში თვითონ არ გადადიან. ცხენებიც ბლომად ჰყავთ, მაგრამ თივას თვითონ ზიდავენ, ჩვენ არ გვაწუხებენ.

— არ შეგვაწუხებენ, მაშ, — უმატებს მოხუცი. ძველი სალდათები ხომ არ არიან. მაგათა, შვილო, წითელი არმია ჰქვიან, წითელი, იმიტომაც ჰკვიანად იქცევიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საფოსტო მტრედების მუშაობა მანევრებზე. მანევრებში მონაწილეობა მიიღო ავიაქიმიის მემტრედეობის სექციის 10 წევრმა 50 მტრედით. მემტრედეები მიმაგრებულნი იყვნენ შტაბებზე. მტრედები გამოყენებული იყო შტაბის მიერ ტფილისთან კავშირისათვის.

საფოსტო მტრედები საუკეთესოდ იყო გაწვრთნილი. ყოველდღიურად (ხშირად ღამითაც) მანევრების რაიონიდან ტფილისში წერილებით იგზავნებოდა 20—25 მტრედი.

ამით ტფილისს საშვალება ჰქონდა მიეღო ცნობა მანევრებიდან. თითქმის ყოველ ნახევარ საათში მოჰქონდათ საფოსტო მტრედებს წერილები — დაწვრილებით ცნობას აგზავნიდა შტაბი ტფილისში. მასთან აღსანიშნავია ისიც, რომ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საფოსტო მტრედს არ მოეტანოს წერილი დანიშნულ ადგილას.

ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა, და მებრძოლნი უახლოვდებოდენ სადგურ ავჭალას და საბურთალოს მაღლობებს.

მტკვრის მარცხენა მხარეზე, ავჭალის მიდამოებში, „წითლები“ თან იბრძოდენ და ამასთან ერთად იხევდენ უკან. აქა-იქ მათ შესძლეს კიდეც „ლურჯების“ შეჩერება და მათი იერიშის მოხერხებულად ძოგერიება.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც „წითლების“ არტილერიამ მნიშვნელოვანი „ზიანი“ მიაყენა მოწინააღმდეგეს.

მაგრამ „წითლებმა“ ბრძოლა წააგეს.

მათ ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის ძალებს და უკან დაიხიეს.

„ლურჯებმა“ აიღეს ავჭალის მიდამოები.

„წითლებმა“ გმირული ბრძოლით მაინც შესძლეს ტფილისის ზღუდეების დაცვა „ლურჯების“ მთავარი ძალების ბრძოლაში ჩარევამდე.

მომავალი მებრძოლნი.

პიონერების ჯგუფი მანევრებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. თუმცა ჯგუფი 12—16 წლის პიონერებისაგან შესდგებოდა, თავისი ენერგიული მოქმედებით დიდად უმსუბუქებდა არმიელებს მდგომარეობას, იგი წითელარმიელებთან ერთად მანევრების მთელ სიმძიმეს იტანდა. პიონერები ლაშქრობასა და ბრძოლაში არავის არ რჩებოდენ უკან.

საერთოდ დიდ სამსახურს უწევდენ ნაწილებს პიონერები დაზვერვით. უცებ მოწინააღმდეგეს ზურგს უკან ექცეოდენ და იქიდან მეტის-მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მოჰქონდათ. პიონერების ნაწილებს იყენებდენ ვაზნების მოსაზიდად, კავშირგაბმულობის საქმისათვის და წყლის მოსატანად. არმიელები აღფრთოვანებული იყვნენ პიონერების ასეთი მამაცური მოქცევით და გაიძახოდენ:

— სალამი ჩვენს შემცვლელ თაობას!..

ზალვა ესებუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობა ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ხუთწლიანი გეგმა ის ძირითადი ამოცანაა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებას და არსებობას.

პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ ამ გეგმის მნიშვნელობა და მისი ყოველ წვრილმანი კარგად იცოდენ მშრომელებმა.

მეურნეობის გეგმიანობის შესახებ ჯერ კიდევ ამხ. **ლენინი** ლაპარაკობდა, მაგრამ ამ გეგმის გარკვეული სახით დამუშავება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიქნა შესაძლებელი. ეს გეგმა შედგენილია საკავშირო მაშტაბით, რომლის შემადგენელ ნაწილს თავის მხრივ წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის 5-წლიანი გეგმა.

პიონერები ბანაკად

ცნობილია, რომ მეურნეობის განვითარების ასეთი გეგმის და მისი განხორციელების ამოცანების დასახვა მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია.

ამ გეგმით გათვალისწინებულია ჩვენი მეურნეობის განვითარების გზები წლების მიხედვით, ის, თუ რა თანხა უნდა იქნას დაბანდებული ამა თუ იმ წელს, აგრეთვე რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ წელს, სად და რომელ საწარმოოს უნდა ჩაეყაროს საფუძველი, როდის უნდა დამთავრდეს და ამუშავდეს ესა თუ ის წარმოება.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გამოანგარიშებულია, თუ ხუთი წლის განმავლობაში რა დონემდე უნდა გაიზარდოს ჩვენი მრეწველობა და რა კაპიტალური დაბანდება უნდა მოხდეს.

დაბანდებათა საერთო თანხიდან ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში 173 მილიონი მანეთი იქნება დაბანდებული.

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს ელექტრომშენებლობა, რომელზეც განზრახულია დაიხარჯოს 75 მილიონი მანეთი.

ელექტრომშენებლობას მოსდევს სოფლის მეურნეობა. ხუთი წლის განმავლობაში ამ გეგმით განზრახულია სოფლის მეურნეობას მოხმარდეს 186 მილიონი მანეთი, კაპიტალურმა დაბანდებამ შედეგად უნდა მოგვცეს მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის თვალსაჩინო ზრდა, რასაც მოჰყვება მრეწველობის პროდუქციის ზრდა, თვითღირებულების შემცირება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროფიკაციის საქმე ჩვენში მრეწველობის სხვა დარგზე უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ხუთწლიან გეგმაში ელექტრომშენებლობას დიდი ადგილი უჭირავს. ასე, მაგალითად, თუ დღეს ელექტროსადგურების ძალა 20 850 000 კილოვატს უდრის, ხუთი წლის დამლევისათვის მივიღებთ 86 944 000 კილოვატს.

ისმება კითხვა, თუ ვინ იქნება ელექტროენერგიის მთავარი მომხმარებელი? რასაკვირველია, ჩვენივე მრეწველობა, რომელიც თავის მხრივ იმდენად გაიზრდება, რომ ამუშავდება ფერომარგანეცის ქარხანა, რომლის ნაყოფიერება მაშინ 40 000 ტონით გაიზრდება. 5 წელში, მაგალითად, გათვალისწინებულია მისი 150 000 ტონამდე გამომუშავება, ეს კი მოითხოვს 4 მილიონი კილოვატით მეტ ენერგიას, ამისათვის საჭირო გახდება უფრო მძლავრი ჰიდროსადგურების აგება.

სასოფლო მეურნეობა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემდეგ ყურადღებას იპყრობს სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხი, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ტექნიკური კულტურების, მარცვლეული კულტურების, მელიორაციის, მოსავლიანობის გადიდება, კერძო გლეხური მეურნეობების მსხვილი კოლექტიური მეურნეობის საფუძველზე გადაყვანა და სხვა.

გეგმის მიხედვით სოფლის მეურნეობას მიეცემა იმდენი მანქანა, რაც მის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ასე, მაგალითად, თუ დღეს სამასამდე ტრაქტორი მოიპოვება, ხუთი წლის განმავლობაში ეს კიდევ გადიდდება 1000 ახალი ტრაქტორით.

სოფლის მეურნეობაში გეგმა ითვალისწინებს ნათესი სივრცის გადიდებას, ტექნიკური კულტურების, თამბაქოს, ბამბის, კენაფის შემოღებას, მესაქონლეობის, მებოსტნეობის გადიდებას.

სოფლის მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს მელიორაცია. მთელი იმ მიწის სივრცე, რომელსაც მელიორაცია უნდა შეეხოს, საქართველოში 738000 ჰექტარს უდრის. აქედან ამოსაშრობია 216 000 ჰექტარი, ხოლო მოსარწყავი — 522 000 ჰექტარი; ხუთი წლის დამლევს მორწყული და ამოშრობილი იქნება 180 000 ჰექტარი; გეგმის მიხედვით, კაპიტალური დაბანდება ამ დარგში გათვალისწინებულია 33 410 000 მანეთის რაოდენობით.

სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია.

1927-28 წელს ჩვენმა მრეწველობამ, ელექტროფიკაციამ და წვრილმა შინაძრეწველობამ ერთად 116 804 300 მანეთის პროდუქცია მოგვცა, ხოლო 32—33 წელს, ე. ი. ხუთწლიანი გეგმის მეორე ნახევარში, მეურნეობის ეს დარგები მოგვცემს 421 348 000 მანეთის პროდუქციას. ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება უკვე არა აგრარული საქართველო, არამედ აგრარულ-სამრეწველო.

სამრეწველო მშენებლობა.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საკმაოდ დიდდება საალმშენებლო მასალის დამზადება,—ცემენტის, ხე-ტყის, აგურის, კირის და სხვა. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ხუთ მილიონზე მეტი მანეთი სამეცნიერო-საგამომკვლევო

მუშაობისათვის, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების და საწარმოო ძალების შესასწავლად.

გეგმის მიხედვით დიდდება ელექტრომშენებლობა, სამთო-საქარხნო მრეწველობა; ჯერჯერობით მუშავდება ბარიტი, დიატომიტი, ფლორიდინი, მაგრამ განზრახულია სხვა მინერალების დამუშავებაც. განზრახულია ბრიკეტის ქარხნის აგება და ტყიბულის ქვანახშირის დამუშავების გაუმჯობესება, მარგანეცის, ნავთის, ქიმიური მრეწველობის გადიდება.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით განსაკუთრებულად დიდდება რკინის გზების ქსელი, ავტოტრანსპორტი, შინაგანი სანაოსნო გზები.

გეგმის მიხედვით, 9-წლედების რიცხვი თანდათან შემცირდება, სამაგიეროდ გაიზრდება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ქსელი; ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია კიდევ 9 ახალი საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის, 6 პროფესიონალური სკოლის, ჭრა-კერვის 21 სკოლის გახსნა, 35 სკოლის გადაკეთება ინდუსტრიალურ პროფსკოლად. ამ ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია საყოველთაო სწავლების შემოღება ყველა ქალაქში და თვალსაჩინო ადგილზე.

კახეთის ნ/პ. ბანაკი. საუბარი ადგილობრივ გლეხებთან

იმ გზებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნება გაყვანილი ხუთი წლის განმავლობაში, დაიხარჯება 60400000 მანეთი, გზატკეცილებზე განზრახულია დაიხარჯოს 44 600 მან. ავტოტრანსპორტზე — 90000000 მანეთი. ეს საკმაო თანხაა იმისათვის, რომ ფართოდ განვითარდეს ტრანსპორტი ჩვენში, ურომლისოდაც შეუძლებელია მეურნეობის, კულტურის განვითარება. უკანასკნელზე დამოკიდებულია ჩვენი ექსპორტის და იმპორტის, ვაჭრობის და მრეწველობის გაფართოება-განვითარება, რასაც ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მუშათა კლასის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს; ამ საკითხებში შედის სოციალური დაზღვევის, უმუშევრობასთან ბრძოლის, მუშათა საბინაო მშენებლობის საკითხები.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს დაბანდებებს და ხარჯებს სოციალ-კულტურულ მშენებლობაზე, ე. ი. განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სხვა.

კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას. საბავშო ბაღი ამჟამად 89 გვაქვს, ბაგა — 9. 1932 - 33 წელს კი საბავშო ბაღების რიცხვი 282-მდე ავა, ხოლო ბაგების — 33-მდე.

ცნობილია, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა, ლოთობა, უვიცობა, უკულტურობა მძიმე ტვირთად აწევს საბჭოთა ქვეყანას და ხელს უშლის სოციალისტური გზით სვლას. ამიტომ ხუთწლიანი გეგმა — კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლის გაშლის გენერალური გეგმა — ითვალისწინებს მრავალ მილიონ მანეთს სახალხო განათლების საქმისთვის.

სოციალისტური მშენებლობა და მისი წინსვლა წარმოუდგენელია ახალი ძალების, ახალი კადრების გარეშე, სახალხო განათლების ამოცანები და კულტურული რევოლუციის საქმიანობა სწორედ აქვთ ~~ამანა~~ მიმართული, ამიტომ ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გამოანგარიშებულია ამა და ამ წელს რამდენი აგრონომი, ექიმი, ინჟინერი და სხვა კვალიფიციური მუშა გვეყოლება.

საქართველოში ამჟამად არის 600 ინჟინერი, ხუთი წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს 700 კაცამდე. ამჟამად აგრონომების რიცხვი 480 უდრის, 5 წლის შემდეგ 650 აგრონომი უნდა მომზადდეს.

ასეთ უდიდეს ამოცანებს ისახავს ხუთწლიანი გეგმის სახით ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

სანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაროდნაია ვოლია“



ა. ი. ჟელიაბოვი

რუსეთის ცარიზმთან ბრძოლაში სისხლით იცლებოდა რუსეთის ხალხოსნური პარტიის „ნაროდოვოლცების“ გმირული საქმე. ამ პარტიამ თავისი არსებობის სულ მოკლე ხანში განვლო ბრძოლის ბრწყინვალე გზა. ის საშინელ საფრთხეში აგდებდა თვითმპყრობელობის ბატონობას და ძილს უფრთხობდა მეფეს და მის მოხელეებს.

„მათ თითქმის ათჯერ მოაწყვეს თავდასხმა მეფე ალექსანდრე მეორეზე. 1878 წლის აგვისტოში მათ განიზრახეს დინამიტით აეფეთქებიათ ნიკოლაევის ნავსადგურის რეიდი, სადაც უნდა გადმოსულიყო რუსეთის იმპერატორი. შემდეგი წლის ივლისში სიმფეროპოლში ყუმბარები გაისროლეს. ამავე წლის მთელი შემოდგომის განმავლობაში მათ ადესის და ალექსანდროვსკის რკინის გზებზე განიზრახეს მატარებლების აფეთქება (უშედეგოდ), მოსკოვის ახლოს რკინის გზაზე ყუმბარებით ააფეთქეს ჩქარი მატარებელი, რომელშიც თითქოს მეფე იჯდა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც მეფე წინდაწინვე გაფრთხილების გამო დანიშნულ მატარებელს

ს. ხალტურინი

არ წამოყვა და სიკვდილს გადაურჩა. 1880 წლის 5 თებერვალს ხალტურინმა მოაწყო „ზამთრის სასახლის“ აფეთქება. ამავე წლის მაისში ოდესის ერთ-ერთ ქუჩაზე ყუმბარების ჩასაწყობი თხრილი გაიყვანეს, აგვისტოში კი პეტერბურგში „ქვის ხიდის“ ქვეშ დინამიტები ჩააწყვეს. შემდეგ 1881 წლის იანვარში დაიწყეს ასაფეთქებელი მინის გაყვანა „მალაია სადოვაიას“ ქუჩაზე და სხვა — ასე გვიამბობს „ნაროდოვოლცების“ გმირულ მოქმედებაზე ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. ნ. პოკროვსკი.

ს. პეროვსკაია

მიუხედავად ამ გაუგონარი და თავგანწირული ბრძოლისა, „ნაროდოვოლცების“ პარტია ისტორიული ასპარეზიდან ჩამოვიდა, უკეთ რომ ვთქვათ, ის გათელილიქნა თვითმპყრობელობის ჩექმებით, ვერ მიაღწია რა რევოლუციის გამარჯვებას.

რომ გამოვარკვიოთ „ნაროდოვოლცების“ ამ ისტორიული მარცხის მიზეზი, საჭიროა გადავხედოთ მის წარსულს, თუ როგორ წარმოიშვა და იზრდებოდა ეს პარტია, როგორი მიზანი, მიმართულება და ადგილი ჰქონდა მას მაშინდელ რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაში.

რუსეთის ხალხოსნურმა მოძრაობამ, რომელიც ჩაისახა წარსული საუკუნის 60-იან წლებში, უმაღლეს განვითარებას მხოლოდ 70-იან წლებში მიაღწია. მაშინდელი რუსეთის სხვადასხვა წოდების ინტელიგენცია დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსი გლეხი ბუნებით დაბადებიდანვე სოციალისტია. ისინი აბტკიცებდენ, რომ გლეხური თემი (ობშჩინა) სოციალიზმის ერთ-ერთი უჯრედია. აქედან ის დასკვნა გამოქონდათ, რომ რუსეთი, აუვლის რა გვერდს კაპიტალიზმს, გლეხური თემიდან (ობშჩინიდან) პირდაპირ სოციალიზმში გადავა, ამ დროს კი ძველი ყოფა-ცხოვრების გადატრიალებასა და სოციალისტური საზოგადოების შექმნაში ინტელიგენციას, ხალხოსნების სიტყვით, გადამწყვეტი და ისტორიული როლი უნდა ეთამაშა. ინტელიგენციას უნდა შეეკავშირებია რევოლუციონური გლეხობა „ხალხოსნური პარტიის“ გარშემო და აეჯანყებია მეფური წყობილების წინააღმდეგ. იმათ სოციალისტური რევოლუციის სრულყოფა მიაჩნდათ სულ ახლო მომავლის საქმედ (—2—3 წლის განმავლობაში). სწორედ ამ იდეების გავლენით წარმოიშვა და გაიშალა ცნობილი ლოზუნგი „ხალხში შესვლა“. წარსული საუკუნის 70-იან წლებში „ხალხში შემსვლელთა“ რიცხვი 1000 კაცამდე აღწევდა. ეს რიცხვი მაშინდელ პირობებთან შედარებით ძალიან დიდია. ისინი მიდიოდენ ხალხში და სიტყვიერად ან პროკლამაციების სახით ავრცელებდენ „ხალხოსნურ“ იდეებს. მაგრამ მასიური მოძრაობის გაშლამ და გაქანებამ, „ხალხში შემსვლელთა“ გამოუცდელობამ და მასთან დაკავშირებით მრავალმა მარცხმა „ხალხოსნების“ პარტიის წინაშე წამოაყენა მთლიანობის და ცენტრალური ხელმძღვანელობის შექმნის აუცილებლობა, რის გამოც 1876 წელს არსდება „ჩრდილოეთის რევოლუციონურ ხალხოსანთა ჯგუფი“ რომელიც 2 წლის შემდეგ „მიწა და თავისუფლებად“ იყო წოდებული. („Земля и Воля“) **ეს იყო პირველი რევოლუციონური პარტიის შექმნის ცდა რუსეთში.**

მაგრამ „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზაციის შემდეგ ხალხოსნების მოძრაობაში წარმოიშვა ისეთი რთული პროცესები, რომელმაც ხალხოსნური მოძრაობის პარტიის ორგანიზაციული მთლიანობა უკიდურეს დარღვევამდე მიიყვანა. გაიარა რა ცნობილი მანძილი ისტორიული მოძრაობისა, ხალხოსნების პარტიას განვლილი მუშაობისათვის ჯამი უნდა გაეკეთებია და შეეფასებია ის. ხალხოსნების იმედი რუს გლეხებზე და მათ სოციალისტურ ბუნებაზე სრულიად არ მართლდებოდა. მიუხედავად ამ თავგანწირული ბრძოლისა, რევოლუცია მაინც არ ხდებოდა. მაგრამ ეს დამარცხება არ შეიძლება მარტო პოლიციის დევნით და რეპრესიებით აიხსნას. საკითხის ასეთი ახსნა, რასაკვირველია, მეცნიერული არაა.

სავსებით მართალია რუსეთის ცნობილი მარქსისტი თეორეტიკოსი **გ. პლეხანოვი**, რომელიც თავის ისტორიულ ნაშრომში („რევ. მოძრაობის ისტორია) ამბობს შემდეგს: „ხალხში მუშაობა მაშინ, მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, არ იყო მაინც და მაინც შეუძლებელი, რომ „ხალხოსნების“ განწყობილება გლეხებისადმი სიმპატიური ყოფილიყო. მაგრამ საქმეც ისაა, რომ

70-იანი წლების მეორე ნახევარში მათი განწყობილება გლეხებისადმი რადიკალურად შეიცვალა და „ხალხში სიარულმა“ მათ თვალში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. ეს მოხდა იმიტომ, რომ გლეხებში პროპაგანდამ ვერ გაამართლა ის ახლობელი და ჰაეროვანი ანუ ბავშური იმედები, რომლებიც დასახული ჰქონდათ ხალხოსან რევოლუციონერებს. მივიდოდენ რა ხალხთან, რევოლუციონერებს ეგონათ, რომ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა შეიძლებოდა მწრაფლ და მალე, 2 ან 3 წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთი ჰაეროვანი და ფხვიერი რწმენა ძალიან ხშირად იმსხვრეოდა ცხოვრებასთან დაჯახებაში. გლეხობამ მათ თვალში მნიშვნელობა დაკარგა, რადგან „ხალხში სიარული“ ძლიერ უღონო საშუალება აღმოჩნდა არსებული წყობილების დასანგრევად. „ხალხში სიარულმა“ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო. რა მოხდა შემდეგ? მომავალი გზების და ტაქტიკის გამონახვაში ხალხოსნების პარტიამ მარცხი განიცადა. სწორედ ამიტომ 1879 წელს ვორონეჟის ყრილობაზე „მიწა და თავისუფლების“ პარტია დაიშალა. ნაწილი წევრებისა დარჩა „მიწა და თავისუფლების“ პროგრამის და ტრადიციების ერთგული და შექმნა ახალი პარტია „ჩორნი პერედელი“, ნაწილმა კი დააარსა ახალი პარტია „ნაროდოვოლცების“ სახელწოდებით.

„ნაროდოვოლცების“ თეორეტიკოსები ძველი ხალხოსნების დამარცხებას იმით ხსნიდენ, რომ უკანასკნელებმა უარჰყვეს პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღ დეგ და ამით მტერს საშუალება მისცეს სასტიკად გასწორებოდა რევოლუციონერებს. „ხალხში სიარულის“ ლოზუნგის მაგიერ „ნაროდოვოლცების“ პარტიამ გამოაცხადა ახალი ტაქტიკა თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად. მაგრამ ეს პოლიტიკური ბრძოლა ხდებოდა არა მასიურად, არამედ კერძოდ, რამდენიმე ტერორისტი რევოლუციონერის მიერ. ამრიგად „ნაროდოვოლცების“ ტაქტიკა იყო შეთქმულთა ჯგუფის ტერორისტული ტაქტიკა.

ეს ტაქტიკა ასხვავებდა „ნაროდოვოლცების“ პარტიას, რომელიც ეყრდნობოდა რუსეთის გლეხობას, ხალხოსნების სოციალისტური იდეებისაგან.

მართალია, თვით ამ ტერორის იდეაში მაინცდამაინც არ იყო არაფერი ახალი, რადგან უფრო ადრე, 1866 წელს, იპატინის „ხალხოსნების“ ჯგუფში იბადება მეფის მოკვლის განზრახვა, როგორც ხალხის გამოფხიზლების საშკალება. ამ ჯგუფის წევრი კარაკოზოვი თავს ესხმება მეფე ალექსანდრე მეორეს. ტერორისტული აქტების მოვლენებს ჩვენ ვხედავთ „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზაციაშიც. მაგრამ ეს იყო კერძო და შემთხვევითი-აქტი. „ნაროდოვოლცები“ კი ტერორს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ძირითად საშუალებად აღიარებდენ.

ახლა გავიგოთ, თუ როგორ ხსნიდენ „ნაროდოვოლცების“ ბელადები ტერორისტულ აქტებს. თავის ბროშურებსა და წერილებში ისინი სხვადასხვა განმარტებას იძლევიან ტერორის შესახებ. თავდაპირველად ამტკიცებდენ, რომ ტერორი არის თავდაცვა თვითმპყრობელობის შემოტევისაგან. შემდეგ ამბობდენ, რომ ტერორი არის შურისძიება მეფეზე და მის აგენტებზე და ბოლოს უმატებდენ, თითქოს ტერორი ერთადერთი საშუალებაა რევოლუციის გასამარჯვებლად.

ი. ა. მოროზოვი

მაგრამ ამ საშუალებით „ნაროდოვოლცების“ პარტია დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგან მას მასაში ფესვი არ ჰქონდა ღრმად გადგმული, ის არცერთ საზოგადოებრივ კლასთან არ იყო დაახლოებული და ჰაერში იყო ჩამოკიდებული.

„ნაროდოვოლცების“ გმირული ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებამდე დრამატიულ და შინაარსიან მომენტად უნდა ჩაითვალოს. ეს იყო ამ ბრძოლის დაშლის და დაცემის პერიოდი. **ასეთია წინააღმდეგობა ცხოვრებასა და ისტორიას შორის.** ეს უუნარიანობა და ძირითად მასებთან მჭიდრო კავშირის უქონლობა ამავე ორგანიზაციის სოციალისტურად მრავალფეროვანი შემადგენლობის შედეგი იყო. პლეხანოვი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა „ნაროდოვოლცების“ პარტიას, შემდეგნაირად ახასიათებს მის შემადგენლობას:

პ. ალექსეევი

„ნაროდოვოლცების“ პარტიაში სხვადასხვა ჯურის ხალხი შედიოდა. აქ იყო თავმოყრილი ჯგუფი რადიკალების და ჯგუფი რუსი ხალხოსნების. რადიკალები უფრო ევროპული განხრით აზროვნებდენ, რუსი ხალხოსნები კი აღჭურვილი იყვნენ იმ რწმენით, რომ მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოებრივი წყობილების ძირფესვიანად შეცვლა დაუსახავს ბრწყინვალე გზას მომავალი სოციალისტური საზოგადოების განვითარებას. ნაროდოვოლცების პარტიაში იყვნენ აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც იხრებოდენ ხან ევროპელი რადიკალებისაკენ ხან რუსეთის ხალხოსნებისაკენ და სწორედ ამიტომ მათი მსოფლმხედველობაც ძალიან ბუნდოვანი იყო.

ა. მიხაილოვი

ამრიგად ნაროდნიკებს თუმცა მიზნად დასახული ჰქონდათ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა, მაგრამ რა გზით, როგორ და ვის საშუალებით, — ეს მათთვის ბუნდოვანი იყო ძირითად მასებთან კავშირის უქონლობით და მათივე ორ განიზაციის შემადგენლობის სოციალური სხვადასხვაობით ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ „ნაროდოვოლცები“, რომლებიც თავის თავს დიდ და გულწრფელ სოციალისტებს უწოდებდენ, ბოლოსა და ბოლოს თვითმპყრობელობისთვის დათმობამდე მივიდენ. მეფე ალექსადრე მეორის მოკვლის შემდეგ „ნაროდოვოლცები“ შემდეგი შინაარსის წერილით მიმართავენ რუსეთის ახალ მეფეს ალექსანდრე მესამეს:

„არსებული მდგომარეობიდან შეიძლება მხოლოდ ორი გამოსავალი იქნეს: ან რევოლუცია აუცილებელი და გადამწყვეტი, ან უმაღლესი ხელისუფლების ნებაყოფლობითი მიმართვა ხალხისადმი. მშვიდობიანი იდეური ბრძოლა შესცვლის შეიარაღებულ ძალადობას, რაც ჩვენ თქვენზე და თქვენს მოხელეებზე უფრო გვსურს და რასაც გვიკარნახებს მხოლოდ ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა.

ისე, როგორც „ხალხში სიარულმა“ ერთბაშად ვერ მოახდინა ძველი ყოფა-ცხოვრების სოციალისტური გარდატეხა, ისე „ნაროდოვოლცების“ ტერორისტულმა მოღვაწეობამ ვერ შეასუსტა თვითმპყრობელობის ბატონობა.

რატომ ოდნავადაც ვერ გაამართლეს „ნაროდოვოლცებმა“ თავისი მიზანი? ეს საიდუმლოება მხოლოდ მარქსიზმს შეიძლო აეხსნა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ბრძოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ „ნაროდოვოლცები“, **იყო ბრძოლა ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ.** ნაროდოვოლცებმა ვერ გაიგეს ეს ელემენტარული ხასიათი რევოლუციონური მოძრაობისა. იმათ ეგონათ, რომ რუსეთში მხოლოდ ისინი აკეთებდენ სოციალისტური რევოლუციის საქმეს. **მაგრამ სინამდვილეში მათი თეორია და პრაქტიკა (ტაქტიკა) არ აკეთებდა სოციალიზმის საქმეს.** რევოლუციონური ბრძოლის ერთადერთი პროგრამა, რომელიც მიიყვანდა სოციალისტურ რევოლუციას უკანასკნელ გამარჯვებამდე, იყო დასახული უდიდესი მარქსისტი მეცნიერის პლეხანოვის მიერ, რომელსაც დაუნდობელი ბრძოლის წარმოება მოუხდა ნაროდნიკების თეორეტიკოსებთან. ეს პროგრამა ხსნიდა იმ საიდუმლოებას, რომ რუსეთმა უკვე განვლო ფეოდალიზმის ხანა და გადადის კაპიტალიზმში, რაც რუსეთის ნაროდნიკებს არ სწამდათ, ემყარებოდენ რა მაშინდელ გლეხურ თემს (ობშჩინას), როგორც სოციალიზმის ერთადერთ უჯრედს. მათი თვალსაზრისი, რასაკვირველია, შემცდარი იყო. **პლეხანოვმა რუსეთში აღმოაჩინა მუშათა კლასი და მას მიაკუთნა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ისტორიული როლი.**

მუშათა კლასის ისტორიული დანიშნულების ასეთ გაგებამდე არ შეეძლოთ მისვლა „ნაროდნიკების“ ბელადებს, თუმცა მათ ზოგიერთ ქარხანაში კავშირი ჰქონდათ მუშების ზოგიერთ ჯგუფთან. მაგრამ, მიუხედავად მრავალი შეცდომისა და უუნარიანობისა, „ნაროდოვოლცებმა“ თავისი რევოლუციონური ბრძოლის მანძილზე დაუვიწყარი კვალი დასტოვეს, და ბოლშევიკების უმცროსი თაობა მუდამ დააფასებს მათ დამსახურებას რევოლუციის წინაშე.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა გმირულ თავდადებას **და** დამსახურებას იმ ადამიანებისას, როგორიც არიან სტეფანე ხალტურინი, მიშკინი და ჟელიაბოვი. ნაროდოვოლცების პერიოდმა გამოიმუშავა ტიპი პროფესიონალური რევოლუციონერისა, ტიპი სახალხო ტრიბუნისა, რომელსაც ხალხში რევოლუციონური ნაპერწკალი შეჰქონდა.

„ნაროდოვოლცების პარტიამ“ შექმნა რთული და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია. მან პროპაგანდისტული მუშაობა დაიწყო მუშებში და ჯარის ნაწილებში, მოაწყო არალეგალური პრესა და სხვ. **სწორედ „ნაროდოვოლცების ამ პრაქტიკაზე და გამოცდებზე სწავლობდა რუსეთის ბოლშევიკური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა ოქტომბრის გამარჯვებას მიაღწია.**

კ. მ—ძე

მოდიან დაუთვალავი რიგები

გლოვობს ვოლგა და ტაიგა,
ძირს დაუხრიათ დროშები:
არმიის რიგებს მოშორდა
გმირი წითელი ბრძოლების.

გადაულახავს ველი და
მტერთან მისულა ხელდახელ,
გაჭირვების დროს მრავალჯერ
უკან არ დაუხევია!

იბრძოდა მუდამ გმირულად,
ისევ უნდოდა ბრძოლები!
ომებში გამარჯვებისთვის
არგუნეს ოთხი ორდენი.

ჰაუ, ნუ გლოვობ, მიდამოვ,
ნულარ გებურვის ფიქრები!
ერთი მოგვშორდა? მოდიან
დაუთვალავი რიგები.

მტერი თუ ისევ წამოდგა
და ახმაურდა თოფები, —
ჩვენც შეგვიძლია გმირულად
გადავიტანოთ ბრძოლები.

დაგვირბევია მტერი და
ახლაც გმირულად ვდარაჯობთ
მთელს მსოფლიოში ერთადერთს
მშრომელი ხალხის სამყაროს.

ასე მოდიან რიგები,
მოაქვთ ხალისი ულევი
ჩვენც გადვიქცევით გმირებად
არმიის განკარგულებით.

მიდამო ისევ ხმაურობს
და მას ბრძოლები თუ მოსდევს,
დავდგებით შეურყეველად
საბჭოთა სადარაჯოზე.

ა. ადამია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული

ხაფხულის საღამოს ნიავმა დაბერა და ოდნავ შეაშრიალა ამწვანებული ხის ტოტები. ხალხი ნელ-ნელა გამოიშალა სიცხიან ქუჩაზე. ფალიკო და მისი მამაც გამოსულიყვნენ და ნელის ნაბიჯით დასეირნობდენ.

რუსთველის გამზირზე ხალხი ბუზივით ირეოდა. ტრამვაის ზარის წკრიალი, ეტლების თქარა-თქური, ავტომანქანების გრიალი ქალაქის კონცერტს ჰქმნიდა.

ფალიკო და მისი მამა კაფეს უახლოვდებოდენ. უეცრად მათ აედევნა რუსის პატარა ბიჭი, თავიდან ფეხებამდე მაზუთში ამოსვრილი. ფალიკომ დათვალიერება დაუწყო პაკანას, რომელსაც ხელი გაეწოდა ფალიკოს მამისათვის და დაჟინებით ფულს სთხოვდა:

— Дядя, дай копейку, дай!

ფალიკოს შეეცოდა პაკანა, რომელიც მძიმედ მოატყაპუნებდა შიშველა ფეხებს ქვაფენილზე. მან შეხედა მამას და მორიდებით უთხრა:

— მამა, მიეცი ფული, ხომ ხედავ, როგორ გეხვეწება?

მამამ ღიმილით გადახედა ფალიკოს, შემდეგ ჯიბიდან ამოიღო გაკრიალებული აბაზიანი და გაუწოდა მათხოვარს. მან მაგრად მოუჭირა ხელი აბაზიანს და გაქანდა.

ფალიკომ ღიმილით გააყოლა თვალი მას და შემდეგ მამას მიუბრუნდა:

— მამა, განა არ არსებობს თავშესაფარი, რომ დახმარება გაუწიონ უპატრონო ბავშებს!?

— როგორ არა, შვილო; მათთვის მთავრობას აქვს განსაკუთრებული თავშესაფრები. მაგრამ - იქ ისინი არ დგებიან, იპარებიან, რადგან მათხოვრობა და ქუჩა-ქუჩა სიარული პროფესიად აქვთ გადაქცეული. მთავრობა ბევრ ფულს ხარჯავს მათი აღზრდისათვის. აგერ, შეხედე იმ პლაკატს, სადაც ხელგაშვერილი პიონერია გამოხატული.

ფალიკო შეაცქერდა აფერადებულ სურათს, სადაც მსხვილი ასოებით ეწერა:

„პიონერებო, თქვენი ვალია დაეხმაროთ უპატრონო ბავშებს!

ფალიკოს გაუელვა აზრმა, როგორმე, იმ საწყალ მათხოვარს დახმარებოდა, დაეხსნა ის ქუჩა-ქუჩა ხეტიალისაგან და გაეზარდა იმ პიონერთა კოლექტივის წევრად, სადაც თვით ფალიკო იყო.

ერთი წუთით თვალი მოაშორა სურათს და მამას მიმართა ღიმილით:

— მამა, შენც უნდა გამიწიო დახმარება, რომ შევძლო რამდენიმე უპატრონო ბავში მოვაშორო ქუჩას.

მამა სიამოვნებით უგდებდა ყურს და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

ერთხელ კიდევ გაისეირნეს რუსთველის გამზირზე და წავიდენ კინო „ეთერში“. ფალიკოს მამა სანამ ბილეთს აიღებდა, ფალიკომ ისევ შეამჩნია ის პაკანა, საზამთროს ვეებერთელა ნაჭრით ხელში, რასაც გულიანად შეექცეოდა. ფალიკო მიუახლოვდა, სალამი მისცა:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს!

უთხრა პაკანამ და ერთხელ კიდევ ჩაახრამუნა საზამთროს ქერქი.

— მიკანი?

— როგორ არ გიკანი, განა მამაშენმა არ მაჩუქა აბაზი?

— ჰო, მართალია. რა მიხარია, რომ ასეთი კარგი მახსოვრობა გქონია: მე შენთან დიდი საქმე მაქვს, თუ დამიჯერებ!

პაკანამ მხრები აიჩეჩა და წაილაპარაკა: — ნეტავ, რა საქმე უნდა გქონდეს ჩემისთანა კაცთან?

— მე მინდა მოგელაპარაკო ძლიერ სერიოზულ საქმეზე; სად შეიძლება შენი ნახვა?

— ყველგან, რუსთველის გამზირზე, ერთი სიტყვით, სადაც გინდა.

— მაშ კარგი. ამაღამ ორ საათზე, აი, ამ ადგილას დამხვდები.

— სიამოვნებით, თქვენ თუ მოსვლას ინებებთ.

— როგორ არა, მოვალ. მაგრამ ერთი ეს მითხარი, სად ცხოვრობ?

— წინად სადგურში, საბარგო რონოდაში; ვინაიდან იქ რკინის გზის დარაჯია, აღარ გვიშვებს,— ახლა თავისუფლების მოედანზე — ქვიშის ყუთი № 4.

— მაშ კარგი. არ დაგავიწყდეს, ორ საათზე მოდი.

ხელი ჩამოართვეს და მეგობრულად გაშორდენ ერთმანეთს. მამას უკვე აეღო ბილეთები და კარებში უცდიდა ფალიკოს. კინოს დარბაზში შევიდენ. ზარმა დაიწკრიალა, და ეკრანზე ათამაშდა სურათები.

II

ფალიკოს დედას ვახშამი უკვე მოემზადებინა. არ გასულა ბევრი ხანი, რომ შემოესმა ფალიკოს ხმა, რომელიც მამას კინოს შესახებ ესაუბრებოდა. ივახშმეს. ფალიკომ რამდენიმეჯერ გადაათვალიერა იქვე მაგიდაზე დაყრილი წიგნები და დასაძინებლად გავიდა. მთვარე ღიმილით იხედებოდა ფანჯარაში და ფალიკოს დაჰყურებდა.

ღამე, როდესაც მშობლები დაიძინებდენ, ფალიკომ გადასწყვიტა გაპარვა. ტანისამოსის კარადი-

დან გამოიღო თავისი ძველი ტანისამოსი და ქალალდში გახვია. შემდეგ წამოწვა. უცდის მშობლების დაძინებას.

მალე საათმა თორმეტჯერ დარეკა. მისმა მშობლებმა ელექტრობა ჩააქრეს და თავი მოსვენებას მისცეს.

ფალიკო ლოგინში ტრიალებდა, რომ ძილს არ წაეძლია; მეორე ოთახში მის დედ-მამას უკვე ჩასძინებოდა. გარეთ ნიავი ქროდა და ცაზე ღრუბლები დათფარეშობდა. ამ დროს პაცანა დანიშნულ ალაგზე ელოდებოდა. მას გვერდით ედო ვეებერთელა საზამთრო, რომელიც ფალიკოს დასახვედრად ეყიდა. ცამ უცბად პირი შეიკრა და ჩამობნელდა. სინათლის რკალები ათამაშდა ღრუბლებზე. რამდენიმეჯერ დაიჭექა, და წამოვიდა წვიმა.

პაცანამ ცოტა კიდევ მოუცადა ფალიკოს, მერე იფიქრა, ალბათ წვიმაში არ მოვალ და მოჰკურცხლა დასაძინებლად, ამ დროს კი საათმა ორი დაჰკრა. ფალიკო ფეხზე წამოდგა, ჩუმად მივიდა ოთახის კართან, სადაც მშობლებს ეძინათ, გაყურადა, ჩუმად გამოაღო კარი და ქუჩაში გავარდა. წვიმდა. ის გარბოდა დანიშნული ადგილისაკენ, რადაც ელოდა წინა დღით გაცნობილი მათხოვარი.

წვიმა კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა აშხაპუნებდა. აგერ კინო „ეთერიც“. უფრო მოუმატა სირბილს. ცოტაც — და ფალიკო უკვე იქ იყო, მაგრამ პაცანა არსად ჩანდა.

ფალიკომ ბევრი ათვალიერა, მაგრამ ვერ ნახა. ქუჩაზე მხოლოდ ეტლები იდგა. ფალიკოს ბევრი აღარ უფიქრია და თავისუფლების მოედნისკენ გასწია მიცემული მისამართით: მონახა ქვაშის ყუთი ნომერი ოთხი, და რამდენიმეჯერ დაუკაკუნა. იქიდან მოესმა ყრუ ლაპარაკი.

— პეტრო, ჰა, პეტრო, ვსტავი, მილიცია.

ფალიკომ იკრძნო, თუ როგორ ეშინიათ საწყალ ბავშებს მილიციის და მისცა ხმა.

— პეტრო, გააღე, მე ვარ, ვერ მიცანი?

პეტრომ იცნო ფალიკოს ხმა და ახადა ყუთი.

მალე ფალიკო სველი ტანისამოსით იჯდა მათთან და სიცივისაგან კანკალებდა.

— მე დიდი ხანია გელოდებოდი: წვიმა რომ დაუშვა, მეგონა არ მოხვიდოდი, ამიტომ წამოვედი, ახლა კი სანთელს ავანთებ.

სთქვა და იქვე ყუთის კუნჭულიდან გამოიღო ლიმონათის ბოთლი, რომელსაც თავზე კარტოფილის სანთელი ჰქონდა გაკეთებული, მერე ამოიღო ასანთი, რომელიც დასველებულიყო და დაუწყო გაკვრა, მაგრამ არცერთი არ აენთო. ბოლოს, როგორც იქნა, გაჰკრა და მოუკიდა სანთელს. ყუთი განათდა; მეორე მხარეს კუნჭულში პეტროს მეგობარი იწვა, რომელსაც თვალები დაეჭყიტა და უცქერდა ფალიკოს.

— გაიცანი, ვანია, ეს ჩემი ახლად გაცნობილი მეგობარია.

ფალიკომ ხელი ჩამოართვა. პეტრომ ამოიღო პაპიროსის ნამწვები და ხარბად დაიწყო წევა. შემდეგ პეტრომ სტუმრის დასახვედრად გასჭრა ნაყიდი საზამთრო. ამაზე ფალიკომ უარი არ უთხრა და აიღო ერთი ნაჭერი. სრული სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. ბოლოს ფალიკომ დაარღვია სიჩუმე.

— პეტრო, ჩემი მოლაპარაკება შენთან შემდეგია: მე მინდა გავიგო, თუ რამ გაიძულა მათხოვრობა დაგეწყო.

პეტრომ გაიცინა და გათხუპნულ შავ სახეზე გამოაჩინა მძივებივით ჩასმული თეთრი კბილები.

— ეჰ, მეგობარო, როცა გშიან, ან მათხოვრობას დაიწყებ ან ქურდობას. ერთ დღეს მეც შენისთანა ვიყავი, მაგრამ ახლა ხომ ხედავ. აი, ყური მომიგდე. ჩემი ისტორია იწყება 1919 წლიდან. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც წითლების გახდა მთელი რუსეთი, მე ხუთი წლის ვიყავი. ჩვენ ვცხოვრობდით ვორონეჟში; ჩემი დედ-მამა ხვნა-თესვას მისდევდა; თურმე ამ დროს თეთრების ბანდები არ აძლევდენ მოსვენებას მთავრობას, ეცემოდენ და წითლებს ხოცავდენ. სწორედ მაშინ ჩვენი სოფელი წითლების ხელში იყო. ერთ დღეს ყველა ახალგაზრდობა მოჰკრიფეს; შორს სროლა ისმოდა. მამაჩემიც თურმე წითლების მომხრე იყო. ერთ დღეს მანაც აიღო თოფი, გამოგვემშვიდობა და წავიდა. სროლა თანდათანობით ყოველდღე ახლოვდებოდა. მთელი სოფელი გაიქცა: შეეტყობინებიათ, წითლები მარცხდებიანო. მე დედაჩემმა ამიყვანა, და სხვებთან ერთად ჩვენც გავიქეცით. გადავდიოდით სხვადასხვა სოფელში, ბოლოს ჩავედით ქალაქში, იქ დედაჩემმა ბევრი წვალების შემდეგ იშოვნა სამსახური საავადმყოფოში, სადაც ორი წელიწადი დაჰყო და ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა, დავრჩი მარტოკა. შიმშილი მაწუხებდა და დავიწყე მათხოვრობა, აქ ამხანაგები გავიჩინე, მთელი ჯგუფი; დავდიოდით ერთად, ნამათხოვრებს ერთად ვიყოფდით. ბოლოს ეს ჯგუფი მილიციამ დაგვიშალა და დავიფანტეთ. მე და ვანია ტფილისში წამოვედით.

პეტრომ ერთხელ კიდევ მძიმედ ამოიოხრა და ხარბად უკანასკნელი პაპიროსის ნამწვი გააბოლა. გაჩუმდენ. მხოლოდ გაისმა ვანიას ხვრინვა, რომელსაც პეტროს მოთხრობაზე დასძინებოდა.

— დაააა.... ეჰ!

ამოიოხრა ფალიკომ და პეტროს მხარზე ხელი დაარტყა.

— ახლა კი გავიგე. არაფერია, ჩემო პეტრო. გიბაველი შენც და შენს ამხანაგსაც. აი, ჯერ ეს მიიღე ჩემგან — და გადასცა გაზეთი, ქალალდში გამოხვეული ძველი ტანისამოსი.

პეტრომ ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა, ლმობიერი თვალით შეხედა ფალიკოს.

— გმადლობთ, ჩემო მეგობარო, გმადლობთ!

— ახლა ყური მიგდე, პეტრო; შენ მუშაობაზე გული მიგივა?

პეტროს თვალი გაუბრწყინდა ამის გაგებაზე, რადგან რამდენჯერმე უნდოდა ქარხანაში მუშაობა, მაგრამ არ მიიღეს.

— როგორ არ მინდა, მინდა, მაშ. მომწყინდა ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და მათხოვრობა, ახლა პატიოსანი შრომისთ მინდა ლუკმაპურის შოვნა.

პეტრო ხაპასპუპით ეუბნებოდა ფალიკოს და მოზრდილ ადამიანივით მსჯელობდა.

— კარგია. მე მეგონა, შენ უარს მეტყოდი. მაშ კარგი. ხვალ ერთად წავალთ ერთ ქარხანაში, სადაც თუჯს ადნობენ. აი იქ მიგაღებინებ. იქ მამიჩემის მეგობარია დირექტორად და უსათუოდ მიგიღებსთ.

ფალიკომ სთქვა და მედიდურად გადახედა პეტროს, შემდეგ ისევ წაილაპარაკა:

— პეტრო, ახლა ძალიან მეძინება. სჯობს დავიძინოთ ცოტა, გათენებისას კი წავიდეთ ქარხანაში. ფალიკომ დაამთქნარა, პეტრომ ჩააქრო სანათი და მიწვა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი მეგობრები უკვე ხვრინავდენ.

თენდება. ქალაქმა ნელ-ნელა იწყო გაღვიძება. დილა ნამიანი იყო, ამიტომ ტრამვაის ლიანდაგს ქვიშა სჭირდებოდა. ლიანდაგის გამწმენდი მუშა ვედრით ხელში მიუახლოვდა ყუთს ქვიშის ამოსაღებად. პაკანებს გამოეღვიძათ და წამოცვივდენ. მუშას მოულოდნელი ხმაურისაგან შეეშინდა და ვედრო ხელიდან გაუვარდა, მერე სომხურად რაღაც შეიგინა და მათხოვრებს დაედევნა. ისინი შორს მირბოდენ.

რვა საათი იქნებოდა, როდესაც ფალიკოს ოთახში შევიდა მისი დედა და ელდა ეცა, როცა ფალიკო იქ არ დაუხვდა. ასტეხა წივილი და გულშემოყრილი დაეცა ლოგინზე. წივილზე შემოცვივდენ მეზობლები. ბავშის დაკარგვის ამბავი უკვე ყველამ იცოდა. ფალიკოს მამას ელსმენით შეატყობინეს. უკვე ყველანაირი ზომა იყო მიღებული ბავშის მოსაძებნად. ამ დროს კი ფალიკო და მისი მეგობარი ქარხნის დირექტორის კაბინეთის ფანჯარასთან იდგნენ და ელოდებოდენ მის მოსვლას. ფანჯრიდან ნათლად ჩანდა ქარხნის მოძრაობა, ქარხნის ხმაურში ყრუდ მოისმოდა მუშების მხიარული სიმღერები.

ფალიკოს მეგობრებს თავი ცეცხლის გრიგალში ეგონათ და გაფაციცებით აღევნებდენ თვალყურს მანქანის მოძრაობას, ცქერით სტკბებოდენ. გავიდა რამდენიმე ხანი, და შემოვიდა დირექტორი. ბავშები მიესალმენ. დირექტორმა თავის მხრივ უპასუხა.

— გაგიმარჯოთ, რით შემიძლია გემსახუროთ.

მიუჯდა ფალიკოს, ღიმილით გადახედა.

ფალიკო ამაყად მიუახლოვდა საწერ მაგიდას. პაკანებს კი თავი დაეღუნათ, ერთიმეორეს ეჩურჩულებოდენ.

— მე მოვედი თქვენთან ფრიად მნიშვნელოვანი საქმისთვის და ამიტომ ყოველგვარი დახმარება უნდა გამიწიოთ.

დირექტორი ღიმილით უყურებდა ფალიკოს, რომელსაც თვალები გაფართოვებოდა და რაღაცას სთხოვდა.

— მითხარით, რითაც შემეძლება, დაგეხმარებით

ფალიკოს სიხარულის ელფერმა გადაჰკრა.

აი ეს ორი უპატრონო ბავშია, მე ისინი მინდა მოვაშორო ქუჩა-ქუჩა წანწალს და დავაყენო სწორ გზაზე. ესენი უნდა მიიღოთ თქვენს ქარხანაში.

დირექტორმა შეხედა ჯერ ფალიკოს, შემდეგ პაკანებს და უთხრა:

— ჩემო ფალიკო, ეგ ხომ პროტექცია გამოვა: ჩვენ მუშებს ან მოწაფეებს ყველას შრომის ბირჟიდან ვიყვანთ. მაგრამ რადგან შენ პირადად მოხვედი ჩემთან, მე თქვენს თხოვნას ვასრულებ. შენ მართლაც სამაგალითო პიონერი ხარ.

ამ ლაპარაკში იყო, როდესაც ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. დირექტორმა მილი აიღო.

— გისმენთ. ჰო, მე ვარ. დიახ, აა, თქვენა ხართ, ამხანაგო კოტე? თქვენი ვაჟი დაიკარგა? თქვენი ვაჟი აქ არის, ნუ გეშინიათ, — სთქვა და მილი ჩამოკიდა. ფალიკო მიხვდა, თუ რა მდგომარეობაში არიან მისი მშობლები.

— ჩემო ფალიკო, მამათქვენმა გადმომცა, რომ თქვენ აქ უნდა დაუცადოთ მამას. თქვენ წუხელი გაპარულხართ შინიდან

ფალიკოს სირცხვილისგან ლოყები აელეწა და ღიმილით დირექტორს გადახედა.

რამდენიმე წუთს შემდეგ მისი მამა უკვე დირექტორის კაბინეთში იყო და სიხარულით უსვამდა ფალიკოს და მის მეგობრებს თავზე ხელს, დირექტორი კი ბლოკნოტზე სწერდა:

„გაატარეთ ბრძანების წიგნში, რომ ივანოვები ჩარიცხულნი არიან შტატში მოწაფეებად“.

მერე დარეკა და ზარის ხმაზე შემოსულ კაცს მიმართა:

— წაიყვანეთ, აბანავებინეთ, გამოუწერეთ სპეცტანისამოსი და გაგზავნეთ საზეინკლო ამქარში.

პაკანები მიხვდენ, რომ მათზე იყო ლაპარაკი, მიუახლოვდენ ფალიკოს და სიხარულით ეხვეოდენ. ფალიკომ სამაგიეროდ მადლობა გადაუხადა დირექტორს და გამოემშვიდობა.

მეორე დღეს მამას კალთაში უჯდა ფალიკო, კითხულობდა გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ განცხადებას და ხარხარებდა:

„დაიკარგა ბავში, 14 წლის,
მაღალი, ლამაზი პირისახის.
სახელი ფალიკო. მნახველს
ვთხოვ შეგვატყობინოს: ტყავტრესტი
ენუქიძეს“.

გ. ნარიმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლადის სამეული

1. ამხ. ი. სტალინი.

საპყრობილეში ვშოულობდით ჩვენ, არალეგალურად მომუშავენი, თავისუფალ დროს. აქ ანგარიშს ვუკეთებდით იმას, რაც განვიცადეთ, ვაწყობდით ახალ გეგმებს, ვსწავლობდით იმას, რაც გვაკლდა, ვიბრძმედებოდით და ერთმანეთს ვეცნობოდით. ამის გამო ცხოვრება საპყრობილეშიც არ იყო ერთ წერტილზე გაყინული. თავისუფალ ცხოვრებასთან კავშირი მას ამრავალფეროვანებდა. ბრძოლა ადმინისტრაციასთან მუდამ გამწვავებული იყო, მაგრამ უნებური დასვენება მაინც დიდად განასხვავებდა საპყრობილეს თავისუფალი ცხოვრებისაგან.

საჭიროა განვშორდეთ მოვლენათა ტალღებს, რომ თუნდაც მოკლედ შევეხოთ ჩვენი დროის სამ უდიდეს რევოლიუციონერს, ამიერკავკასიის არალეგალური ორგანიზაციების სამ დევ-გმირს. მე ვგულისხმობ ამხანაგებს — სოსო ჯუღაშვილს, აბელ ენუქიძეს და ლადო კეცხოველს, რომელთა გმირულ მოღვაწეობას ამიერკავკასიის ბოლშევიკურ მოწინავე რიგებში ამ წიგნის [1]) არა ერთი და ორი გვერდი აქვს მიძღვნილი.

ჩემი არალეგალური მუშაობის პირველი ნაბიჯების გადადგმისათანავე შევხვდი იმ კაცს, რომელსაც შემდგომ წილად ხვდა უდიდესი როლის შესრულება ჯერ თვით საქართველოს რევოლიუციონურ ცხოვრებაში, შემდეგ ამიერკავკასიის და ბოლოს კი ხალხთა იმ უზარმაზარ კოლექტივში, რომელსაც ამჟამად ს. ს. რ. კ. ეწოდება. მე ვლაპარაკობ ამხანაგ სტალინ-ჯუღაშვილზე, რომელიც იყო ერთ-ერთი ენერგიული ორგანიზატორი ბოლშევიკური არალეგალური მუშაობისა და რომელიც დგას ახლა საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელთა რიგებში.

ამხ. სტალინში შეერთებულია ისეთი ღირსებანი, რომელთაც ძვირად თუ შეხვდებით ერთ მოღვაწეში: ორგანიზატორისა და კონსპირატორის ნიჭი და დაძაბული ინტერესი სოციალური რევოლიუციის თეორიული პრობლემების დამუშავებისა. რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის ორგანიზაციის ორ მიმართულებად გაყოფის მომენტიდან ამხ. სტალინი იმ მიმდინარეობას მიემხრო, რომელსაც ერთი წუთითაც არ დაუვიწყნია მუშათა მასების ინტერესების უპირატესობა ყოველგვარ სხვა მოსაზრებებზე, ე. ი. მიემხრო ბოლშევიზმს და მას შემდეგ არცერთი დღით, არცერთი საათით არ შეუწყვეტია სააგიტაციო და საპროპაგანდო ბრძოლა როგორც მენშევიზმთან, ისე სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებთან, რომელნიც ესოდენ გაძლიერდენ 1905 წელს. არალეგალურად მომუშავე, დაუღალავი პროპაგანდისტი, აგიტატორი, ჟურნალისტი ბასრი კალმით ხელში, — აი როგორი იყო მაშინ სტალინი.

თავისებურად განვლო ამხ. სტალინის მოწაფეობის წლებმა [2]).

ამხ. სტალინი — ჯუღაშვილი დაიბადა ქალაქ გორში, ხელოსნის ოჯახში, 1881 წელს.

მამამისი ხარაზი იყო, დედა — ღიღურად მომუშავე. პირველ ხანებში იგი სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

ეს იყო 90-იან წლებში, რომელსაც ქართული საზოგადოებრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო ეპოქა გარდატეხისა და ახალი ეკონომიური ურთიერთობის წარმოშობისა. 80-იან წლებში რკინის გზა აერთებს ამიერკავკასიის ორ განაპირა პუნქტს — ბაქოსა და ბათომს, და ამ ორი ქალაქის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ჩქარა იზრდება. ტფილისში ჩნდება რკინის გზის სახელოსნოები, ძლიერდება მუშაობა ჭიათურის მარგანეცზე და ტყიბულის ქვანახშირზე. სოფლების ნახევრად პროლეტარი მცხოვრებნი სტოვებენ თავის ადგილებს და მიდიან იქ, სადაც სამუშაოს პოულობენ. იბადება ახალი კლასი — პროლეტარიატი. მართალია, ჯერ იგი მცირერიცხოვანია, მაგრამ მალე პოულობს ძალას გაერთიანებისათვის, იზრდება და ირაზმება ძლიერ ძალად და მთელი კავკასიის რევოლიუციონური განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდი ხდება.

90-იან წლებამდე ხელმძღვანელ როლს თამაშობს, როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, თავად-აზნაურობა და მისი წიაღიდან გამოსული ქართველი ინტელიგენცია. ახალი ეკონომიური ურთიერთობის გაჩენიდან თავად-აზნაურობის როლი თანდათან ეცემა. მას ავიწროებს, ერთის მხრივ, ბურჟუაზია და მეორეს მხრივ — პროლეტარიატი. მასთან ერთად ისტორიულ ავანსცენაზე გამოდის ახალი ინტელიგენცია, უმთავრესად — სხვადასხვა წოდების წარმომადგენელნი. ისინი ხდებიან ახალი კლასის იდეოლოგები და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით აწარმოებენ ბრძოლას თავად-აზნაურული ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ნაციონალისტური ელფერი აქვს. ეწყობა და თავის რიგებს ამაგრებს მუშათა პირველი უჯრედები, შემდეგ — ძლიერი და განშტოებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს: სოციალისტური ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი უმთავრესად სემინარიიდან გამოდის. სემინარისტების რევოლიუციონური გამოსვლები, პირველი შეხედვით სულ უბრალო შემთხვევებით გამოწვეული, აღვიძებს აპატიურ მოსახლეობას და წლითიწლობით უფრო და უფრო გაბედულ ნაბიჯებს ადგმევინებს მას. სემინარიები, როგორც სხვა სკოლები, რეაქციის კლანჭებში იტანჯებოდენ; განსაკუთრებით აუტანელი და საზიზღარი იყო გარუსების უხეში პოლიტიკა, რომელსაც განსაკუთრებული ჟინიანობით და ფარისევლობით ატარებდენ მღვდლები და კარიერისტი ბერები. სემინარიაში მრავალ კონფლიქტს ჰქმნიდა დევნა ყოველგვარი ცოცხალი აზრის, აკრძალვა ქართული წიგნების და განსაკუთრებით კი გაზეთების. აი ამგვარ ატმოსფერაში მიმდინარეობდა ამხ. სტალინის სწავლა ტფილისის სემინარიაში.

იგი ცოცხალი, მხიარული და ნიჭიერი ყმაწვილია. სწავლობს კარგად. 1894 წელს ის პირველ კლასშია. სა-

---

[1]) „ფოლადის სამეული" ამოღებულია ჩემი წიგნიდან: „მეოთხედი საუკუნის მანძილზე" — გამომც. „შრომა". ბ. ბ.

[2]) იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამხ. სტალინის სემინარიაში ყოფნის დროს, მე ვსარგებლობ ამხ. გ. პარკაძის მასალებით და ამხ. ბაქრაძის მოგონებებით, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნ. „დროშა"-ში (№ 9, 1924 წ.) ბ. ბ.

ამხ. ი. სტალინი ახალგაზრდობაში

ერთო შაბლონის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. სოსო ჯუღაშვილი, როგორც „კარგი მოსწავლე“, კარგად უნდა ჰყავდესთ მიღებული უფროსებს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ძირეულად განსხვავდება „კარგი მოსწავლეების“ უმრავლესობისაგან, არ სთვლის თავის თავს მოსწავლეთა მასისაგან განსხვავებულად და იზრდება უფროსების გავლენის გარეშე. ამხ. სოსო დაინტერესებულია ლიტერატურით და მას კითხულობს, ხანდახან ლექსებსაც სწერს. მოსწავლეთა წრე ამხ. სოსოს ხელმძღვანელობით ჯერ სწავლობს ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას, შემდეგ იწყებს სოციოლოგიის და ბოლოს მარქსიზმის შესწავლას. მაგრამ ყველაფერი ეს სრულიად არ უშლიდა ხელს ამ წრის წევრებს ბავშურათ ეცელქათ. ხშირად შეიძლებოდა დაგენახათ დერეფანში, რომ ამხ. სოსო მიჰქრის მიშა დავითაშვილის ზურგზე შესკუპებული და გაიძახის: „მე ფოლადი ვარ, მე ფოლადი ვარ“. ის ფსევდონიმი, რომლითაც ახლა იცნობენ ამხ. სოსო ჯუღაშვილს მთელ საბჭოთა კავშირში, იმ შორეულ წლებში გაჩნდა, ცელქობაში, რის შესახებაც ახლა მოგითხრობდით.

მეოთხე კლასში ამხ. სოსოში დიდი გარდატეხა ხდება. როგორც უკვე ვთქვით, იგი პირველად ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ მეოთხე კლასში ხუთებიდან ერთებამდე „ეშვება“. მასწავლებელნი ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოუვიდა მას, რა მოხდა; მას მეტად ეკვიწროვა სემინარიის კედლები, მას იზიდავდა რევოლიუციონერისა და მებრძოლის ცხოვრება.

1899 წ. იმას რიცხავენ სემინარიიდან.

სასწავლებლის გარეთ დარჩენილი ამხ. სტალინი სამსახურში შედის ტფილისის ობსერვატორიაში. ის ძალზე მონდომებით სწავლობდა მარქსიზმის თეორიას და ადგილობრივ სოც.—დემ. ორგანიზაციას დაუკავშირდა. ამასთანავე არ სწყვეტდა კავშირს სემინარიასთან; იგი ძველებურად ხელმძღვანელობას უწევდა მოსწავლეთა წრეს. იმ ხანებშივე დაუახლოვდა ის ამხ. კამოს, რომელიც შემდგომ უშიშარი და შეუდრეკელი რევოლიუციონერი იყო.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელიც ახასიათებს ამხ. ჯუღაშვილს მისი განვითარების ამ პერიოდში. ის შეეჯახა სეით დევდარიანს (სანი, შემდგომ გამოჩენილი მენშევიკი). უთანხმოება ეხებოდა იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ მეცადინეობა თვითგანვითარების წრეებში. დევდარიანი ურჩევდა ეკითხათ ყველაფერი განურჩევლად, ბელეტრისტიკაც კი, ამხ. სოსო მარტო მარქსისტული ლიტერატურის კითხვის მომხრე იყო, რომ ტყვილა არ დაეკარგათ ძვირფასი დრო, და მან გაიმარჯვა ამ დავაში.

1900 წ. ის უკვე პარტიის თვალსაჩინო წევრია, მუშაობს ტფილისის, ბათომის, ქუთაისის, გურიის, ჭიათურის და სხვა ადგილების ს.-დ. ორგანიზაციაში. ტფილისში მისი ხელმძღვანელობით მოხდა მეთამბაქოეთა გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დასრულდა.

1901 წელს იგი თავს ანებებს ობსერვატორიაში სამსახურს და მთლად ებმება არალეგალურ მუშაობაში. ის უშუალო მონაწილეობას იღებს არალეგალური მუშაობის ტექნიკურ მოწყობაში: იმ ხანებში ტფილისის ორგანიზაციას არ ჰქონდა სტამბა და იმას მ. დავითაშვილსა და გ. პარკაძესთან ერთად უხდებოდა ფურცლების ბეჭდვა ჰექტოგრაფზე.

მაშინ უთანხმოებანი ს.-დ. ორგანიზაციაში არ იყო სავსებით გამოაშკარავებული, მაგრამ ამხ. სოსო ყოველთვის ემხრობოდა რევოლიუციონურ ფრთას ჩვენს საუკეთესო მარქსისტებთან ერთად, როგორიც იყვნენ ალ. წულუკიძე, ლ. კეცხოველი (შემდგომ ორივე გამოჩენილი ბოლშევიკი) და სხვები.

1903 წ. ივნისის ყრილობაზე ამხ. სოსო უკვე ბოლშევიკ-ლენინელთა რიგებშია. დაახლოებით ამ დროიდან ხდება იგი ამხ. შაუმიანთან ერთად მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

ამხ. სტალინი, როგორც უკვე აღვნიშნე, მეტად გამობრძმედილი კონსპირატორი იყო. აძის გამო „ოხრანკა“ მას დიდხანს სდევდა, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია; იგი პირველად 1901 წ. მისცეს პასუხისგებაში, ე. ი. სამი წლის შემდეგ არალეგალური მუშაობის დაწყებიდან, ეს კი იმ ხანებისთვის დიდი დრო იყო.

ამ დროს „იოსებ ჯუღაშვილს, გაურკვეველი ხელობის კაცს“ (მკითხველები შეაფესებენ ამ ჟანდარმულ ციტიკურ ეტიკეტს „გაურკვეველი ხელობის კაცი“, რომლითაც აღინიშნებოდენ განსაკუთრებით საშიში, განსაკუთრებით მედგარი რევოლიუციონერები) უკვე კარგად იცნობდენ ჟანდარმერიის ძებრები და იცნობდენ არა როგორც მორიგე მუშაკს, არამედ როგორც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელს. ჩვენ აქ მოკიყვანთ საინტერესო ძასალას ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს „ჯუმლი“-დან, საიდანაც ჩანს, თუ როგორ უყურებდენ ამხ. სტალინის მოღვაწეობას მისი მტრები.

აი ერთი ნაწყვეტი ამ „ჯუმლი“-დან.

„29 ოქტომბერს, კვირას, დილის 9 საათზე სადგურის ქუჩაზე შესდგა ძოგინავე რკინისგზელ მ. შ. ... ინტელიგენტ იოსებ ჯუღაშვილის ბინაწ ლეობით“.

იმ დროის ჟანდარმთა მოხსენებებში მრავლად მოინახება ამგვარი ცნობა.

ამხ. სტალინი პირველად ბათომში დააპატიმრეს. ის პასუხისგებაში ძისცეს „რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ტფილისის წრის“ საქმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ა. ენუქიძე

ამხ. ი. სტალინი

ამხ. ლ. კეცხოველი

საინტერესოა მოვიყვანოთ აქ ამხ. სტალინის აღწერილობა, რომელიც შედგენილია ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკის შაბელსკის მიერ 1902 წლის 17 ივნისს ქალ. ბათომში.

1. სიმაღლე . . . . . 2. არშინი, 4 1/2 ვერშ.

2. ტანის მოყვანილობა... საშუალო

3. ხნოვანება 23

ა) ხომ არ არის რაიმე განსაკუთრებულებანი ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილში?... მარცხენა ფეხის მე-2 და მე-3 თითები ერთიმეორეზეა შეზრდილი.

ბ) ხომ არა აქვს თავის დაჭერის განსაკუთრებული თვისება? . . . . . არა.

4. რა შთაბეჭდილებას სტოვებს გარეგნობით?.. ჩვეულებრივს.

5. თმის ფერი . . . თავზე მუქი წაბლისფერი, წვერულვაში წაბლისფერი.

თმის სახე . . . პირდაპირ მდგომი.

თმის დავარცხნილობა . . . . . დაუყოფელი.

იპარსავს თმას თუ არა? . . . . . არ იპარსავს.

6. თვალების ფერი და სიდიდე . . . . . მუქი თაფლისფერი, საშუალო, სათვალეებს არ ატარებს.

7. თავი ჩვეულებრივი აქვს.

8. ცხვირის მოხაზულობა და ზომა . . ცხვირი აქვს სწორი, გრძელი.

9. შუბლის მოხაზულობა, და ხომ არა აქვს რაიმე განსაკუთრებული ნიშანი? . . . . . პირდაპირი, არამაღალი.

10. სახის მოხაზულობა, კანის ფერი . . სახე გრძელი, შავგვრემანი, ნაყვავილარი.

11. პირის ღრუ, კბილები ხომ არ აკლია? . . . ქვედა ყბაზე მარჯვენა მხარეზე აკლია წინა საძირის კბილი.

12. პირისა და ნიკაპის მოხაზულობა და მათი განსაკუთრებული თვისებანი? . . . პირი საშუალო ზომისაა. ნიკაპი ვიწრო; განსაკუთრებული თვისება ლაპარაკის დროს არა აქვს.

13. ხმის თვისება, და ენა ხომ არ ებმება?... წყნარი. ენა არ ებმება.

14. ყურების მოხაზულობა . . . საშუალო ზომის.

15. სიარული და მისი განსაკუთრებული თვისებანი? ჩვეულებრივი.

16. ხომ არა აქვს ავადმყოფობის ნიშანი? მარცხენა ყურზე ხალი აქვს, სახეზე ნაყვავილები".

ჟანდარმერიამ, გამოირკვია რა ის გარემოება, რომ ამხ. სტალინი მეტად აქტიური მომუშავე და იმავე დროს მეტად ძნელი დასაჭერი იყო, მას განსაკუთრებული სიმკაცრით დუწყო დევნა. რევოლიუციის წინა ხანებში, მიუხედავად ამხ. სტალინის დიდი თავდაჭერილობისა, არა ერთხელ ჩავარდნია ის ხელთ მეფის ჟანდარმერიას. იმას ამწყვდევდენ ან აგზავნიდენ „იმპერიის შორეულ ადგილებში". მაგრამ ვერაფრით ვერ შესძლეს ამ დიდი რევოლიუციონერის ნებისყოფის მოტეხა. ის განუწყვეტლივ მიისწრაფოდა თავისუფლებისაკენ და ხელახლა ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. ქვემომოყვანილი „ცნობები" გვიჩვენებს, თუ რა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ჟანდარმერია ამხ. სტალინს და რამდენად დიდი იყო მისი რევოლიუციონური შრომის სია.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ადმინისტრატიულად გადასახლებულ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის შესახებ.

გვარი, სახელი, მამის სახელი, წოდება, დაბადების ან მიწერის ადგილი და ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა.	ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონის ძე, გლეხი სოფ. დიდი ლილოდან, ტფილისის გუბერნიისა და მაზრის, უცოლო.

წლოვანება	30 წლისა

ცნობები ბრალდების შესახებ და ბრალდებულის მიერ მიცემული განმარტებანი.	ბრალი ედება იმ საქმეში, რაც მოხსენებულია ბაქოს გუბ. ჟანდარ. სამმართვ. უფროსის დადგენილებაში 1910 წ. 26/VI, № 3476, რაც არის ამა საქმესთან თანდართული, № 75/1910 წ. **თავს დამნაშავედ არ სცნობს.**

სად და რა დროიდან არის დაჭერილი დაცვის დებულების ძალით.	ბაქოს საპყრობილეში 1910 წლის 26/III იმყოფებოდა და ითვლებოდა ბაქოს გუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის განკარგულებაში, და 1910 წლის 28/VI-დან — ბაქოს გრადონაჩალნიკის განკარგულებაში.
პასუხისგებაში მიცემულია წინასწარი გამოძიებით თუ ფორმალური კვლევა-ძიებით. ბრალდების შინაარსი, როგორია აღკვეთის ზომები და რა მიმართულების მიცემაა განზრახული სასამართლოს საქმისთვის.	1902 წ. მიცემული იყო პასუხისგებაში ქუთაისის გუბ. ჟანდარმთა სამმართველოს მიერ 121 მუხ. ძალით და ტფილისის ჟან. სამ. მიერ სისხლ. სამ. კოდ. 250 მუხლის ძალით. უკანასკნელი კვლევა-ძიება გადაჭრილ იქნა ადმინისტრატიული წესით და 1903 წ. 9/VII უზენაესი ბრძანებით გადასახლებული იყო პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ აღმოსავლეთ ციმბირში 3 წლის ვადით, საიდანაც გაიპარა და ეძებდა პოლიციის დეპარტამენტი 1904 წლის 1 მაისის ცირკულიარით, № 5500. შემდეგ 1908 წლის 25 მარტს ბაქოს მაძებარმა პოლიციამ დააპატიმრა ვინმე უცნობი, რომელმაც თავის თავს უწოდა გაიოზ ნიჟარაძე, ქუთ. გუბ. და მაზრის სოფ. მაღლაკის მცხოვრები; მას გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა პარტიული შინაარსის მიმოწერა. ამ საქმის გამო ბაქოს სამმართველომ გამართა მიწერ-მოწერა, საიდანაც გამოირკვა, რომ ნიჟარაძე ზემოაღნიშნული ჯუღაშვილია. ამ საქმის თაობაზე დასრულებული მიწერ-მოწერა გადაჭრილია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით—დაადგინეს ნიჟარაძის (იგივე ჯუღაშვილი) გადასახლება, პოლიციის აშკარა ზედახედველობის ქვეშ, ორი წლით; გადასახლების ვადა ითვლებოდა 1908 წლის 29 სექტემბრიდან, მაგრამ მეორეჯერ გამოიქცა გადასახლების ადგილიდან და მეორეჯერ ეძებს მას პოლიციის დეპარტამენტი 1909 წლის 19 აგვისტოს ცირკულიარით, № 151385/53. სხვისი საბუთებით ცხოვრებისათვის ჯუღაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სასჯელთა დებულების მე-997 მუხლის ძალით.
ადგილობრივი ხელისუფლების დასკვნა იმ ადმინისტრატიული ღონისძიების შესახებ, რომლის მიღება განზრახულია.	გადასახლებულ იქნეს პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ ციმბირის შორეულ ადგილებში ხუთი წლის ვადით.

თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გამობრძმედილი ამხ. სტალინი სიდინჯისა და შეუდრეკელობის მაგალითს წარმოადგენდა, ურომლისოდაც არცერთ დიდ კონსპირატორს არ შეუძლია თავისი საქმის კეთება. იგი ამასთანავე მტკიცედ იცავდა პარტიულ დისციპლინას და ე. წ. „ძველმა გვარდიამ“, რომელიც ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდა მასთან, მისგან ბევრი რამ ისწავლა. აქ დამახასიათებელია ერთი წვრილმანი: ამხ. სტალინი ბოროტმოქმედებად სთვლიდა ყოველგვარ დაგვიანებას, რაშიც დამნაშავე იყო თითქმის ყოველი ჩვენგანი.

მაგონდება ერთი შემთხვევა, როდესაც ერთმა ამხანაგმა დაიგვიანა კომიტეტის სხდომაზე. ამხ. სტალინმა ის ისე საშინლად გაკიცხა, რომ ჩვენ ყველა გაგვაკვირვა ამ ამბავმა. „საკუთარი დედაც რომ გიკვდებოდეს, არავითარი უფლება არა გაქვს გვაცდევინო“—ასე დაამთავრა მან თავისი სიტყვა. ეს თითქმის სიმკაცრედ გვეჩვენა, მაგრამ სხვაგვარად როგორ შეეძლო ებრძოლა რევოლიუციონერს, რომელსაც რევოლიუციის დაგვირგვინების პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული თვითმპყრობელობის საშინელ პირობებში.

საშინელი სწორხაზოვანი და მკაცრი იყო ამხ. სტალინი იმ ამხანაგების მიმართ, რომელნიც ამა თუ იმ გარემოების გამო იძულებული იყვნენ სულ მცირეოდენ დათმობაზე წასულიყვნენ. მაგონდება ერთი შემთხვევა. სამეგრელო-გურიის ძველი პარტიული კომიტეტის წევრმა პარმენ ჭიჭინაძემ საპატიმროში ჯდომის დროს მთავრობას მიართვა რაღაც სულ უბრალო შინაარსის თხოვნა. ამხ. სტალინის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი საერთოდ სასტიკად ამათრახებდა ყველას, ვინც კი მისი აზრით რევოლიუციონერის პრესტიჟს სცემდა. ამგვარივე დაუღალავი და მომთხოვნი იყო ის ზემოხსენებული პარტიული კომიტეტის ხელახალი არჩევის დროსაც.

ამხ. სტალინს არა ერთხელ გაუკვირვებივართ თავისი სითამამით. სითამამე ხშირად გაჭირვებიდან იხსნის კონსპირატორს, მას ხშირად შესანიშნავ შედეგამდე მივყავართ. აი ერთი სურათი: ქუთაისში ვასაფლავებდით ყაზახების მიერ მოკლულ ხარაზებს; დამარხვამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ნეიტრალურ ხალხს უკვირდა და ყველა კითხულობდა ვის ასაფლავებთო. ამხ. სტალინმა, რომელიც პროცესიაში მიდიოდა, ხმამაღლა ყველას გასაგონრად დაიძახა: „ჩვენ ვასაფლავებთ ჯალათების მიერ მოკლულ მუშებს—პროლეტარებს. ქუდი მოიხადეთ!“

შეუბრალებელი იყო ამხ. სტალინი მოწინააღმდეგეთა მიმართ, განსაკუთრებით მენშევიკებთან მრავალ კამათსა და შეჯახებაში. იცოდენ რა ეს, მენშევიკები გაურბოდენ მასთან შეხვედრას. ჩვენი ამხანაგები გაჭირვების დროს იმის გამოსვლას მოითხოვდენ და მის დახმარებას ეძებდენ.

საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მედგრად მუშაობისა და მენშევიკებთან მრავალი შეჯახების შემდეგ, 1907 წელს, რეაქციის დაწყებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ ამხ. სტალინი ბაქოში გადადის სამუშაოდ და შემდეგ კი რუსეთის სხვა საწარმოო ცენტრებში. შემდგომი მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა ჩემი მოგონებების ფარგლებს გარეთაა და მას აქ არ შევეხები.

2. ამხ. აბელ ენუქიძე

ბაქოს ორგანიზაციის არალეგალურ მუშაობაში იმ დროს ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამხ. აბელ ენუქიძე. მან თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა ტფილისში დაიწყო, მაგრამ კონსპირაციის პირობების გამო იძულებული იყო ბაქოში გადასულიყო.

ბაქოს გრადონაჩალნიკის საქმეებში (1912 წლის 10 იანვარი) აბ. ენუქიძის, სტ. შაუმიანის და სხვათა პოლიტიკური კეთილსაიმედობის საქმეებზე მიმოწერასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „აბელ ენუქიძე 1911 წლის 1 ოქტომბრიდან იმყოფებოდა ბაქოს ცენტრალურ საპყრობილეში, 1912 წლის 13 მარტიდან ითვლება გრა-

ს ქ ე მ ა

ტფილის-ბაქოს რევოლუციონურ წრეზე თვალყურის დევნებისა.

(1 თებ. — 4 სექტ. 1902 წ.)


ბათომი
თბილისი
ბაქო
ბათუმი
ბურტი
ენუქიძე
ბაკრაძე
ბოგვერი
ბუშაინი
ბილრამიანი
ბაკრაძე
ბალუევი
ბალუევი
ბალუევი

ლიტერატურის გაგზავნას. შემდეგ იყო რევოლიუციონური სალაროების ანგარიშები, ამხ. ენუქიძის მიერ შედგენილი, და სხვადასხვა თხზულება რევოლიუციონურ თემებზე, დაუმთავრებელი ხელნაწერი, რომელიც ეკუთვნოდა ამხ. ენუქიძეს, შეიცავდა მოქმედების პროგრამას, რომლის მიზანია პოლიტიკური თავისუფლების მოპოება ძალა-უფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლით და მასების ორგანიზაციით. ამ დარაზმულ მასებს, რომელნიც მუშათა კლასისაგან შესდგებოდენ, უნდა დაეწყოთ ბრძოლა მთავრობასა და კაპიტალთან, რომ მიეღწიათ თავისი კლასიური ეკონომიური მიზნებისათვის. ხელნაწერში განმარტებული იყო, თუ რა მნიშვნელობა ეძლეოდა აშკარა გამოსვლებს, იგი ურჩევდა რკინის გზის მუშათა ჩათრევას მოძრაობაში და განმარტავდა გაფიცვების როლს: „გაფიცვა არის ერთადერთი საშუალება ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად“; იქვე იყო რჩევა, თუ როგორ უნდა შეეკავშირებინათ არსებული წესებით უკმაყოფილო ელემენტები. ამას გარდა ბინაზე აღმოაჩინეს „რუსულ-ფრანგული შრიფტის ანბანი“.

„აბელ ენუქიძის კუთვნილი წერილებიდან ჩანს, რომ ბათომში ბაზად, სადაც ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა, იყო ჯეროიანცის აფთიაქის მაღაზია. კავშირს ამყარებდენ: გვათუა, დელიცინი, შატილოვი და სხვ. ენუქიძეს, რომელიც ითვლებოდა ბაქოს წრის უმთავრეს ხელმძღვანელად, მუდმივი კავშირი ჰქონდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გადმოსახლებულ ნიკოლოზ მელენტიევთან, ბალუევთან, პროსტოსერდოვთან. ჟანდარმთა სამმართველოს მიერ მილებული ცნობებიდან ჩანს, რომ მელენტიევს მოჰქონდა გაზეთ „Каспий“-ს რედაქციიდან შრიფტები ენუქიძისათვის ქარხანაში „Электро-Сила“, სადაც პროკლამაციები მართლაც იბეჭდებოდა 1902 წლის მაისში და მელენტიევს კი მიმოწერა ჰქონდა 1898 წლიდან ბევრ გადასახლებულთან ციმბირში, ცალკეულ რევოლიუციონერებთან და წრეებთან“.

„ის პროკლამაციები, რომელიც მიმართული იყო ჯარისადმი (რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლის თავზე უდიდებულესი პირების მიერ ჯარის დათვალიერების გამო), დაბეჭდილი იყო შრიფტით, რომელიც ენუქიძის ორგანიზაციას ეკუთნოდა და სხვ... ეს პროკლამაციები ძალიან გავრცელდა ჯარში და მუშებში, მასთან ერთად ავრცელებდენ ქართულ ჟურნალს „ბრძოლა“. პროკლამაციებმა, რომელიც იწყებოდა „ძირს თვითმპყრობელობა“ და „ამხანაგო ჯარისკაცებო“, იწყო გავრცელება სამხედრო ნაწილებში 1901 წლის დეკემბრიდან. ისინი იბეჭდებოდა მზა შრიფტით, რომელიც ინახებოდა სადგ. აჯი-ქაბულში. იქვე დაიჭირეს აწყობილი პროკლამაციების ნაწილი (ქართული), ჟურნ. „ბრძოლა“-ს გამოცემა, პროკლამაციები, რომელიც გამოშვებული იყო 9 მარტს ბათომში მომხდარი არეულობის გამო, და რუსული ანაწყობი წარწერით „სოციალ-დემოკრატების სტამბა“.

ვ. ამხ. ლადო კეცხოველი

ლადო კეცხოველი 1878 წელს დაიბადა. 1893 წელს მონაწილეობას იღებ-და ტფილისის სემინარიაში მომხდარ არეულობაში და 1896 წელს მის შესახებ უკვე პოლიტიკურ გამოძიებას აწარმოებდა კიევის ჟანდარმთა სამმართველო.

1900 წ. ამხ. ლადო ხელმძღვანელობს ტფილისის ტრამვაის გაფიცვას. ის არის გაფიცვის უმთავრესი მომწყობი. ამხ. ლადოს ეძებდა ტფილისის ჟანდარმერია, მაგრამ მან დროზე მოასწრო დამალვა, და პოლიციის დეპარტამენტმა „სამძებრო ცირკულიარში“ შეიტანა 1901 წლის 12 მარტს. 1902 წლის 3 სექტემბერს ლადო კეცხოველი დააპატიმრეს, როგორც უმთავრესი ორგანიზატორი რევოლიუციონერთა თანასაზოგადოების და საიდუმლო სტამბის, რომელმაც გამოუშვა, როგორც ეს გამორკვეულია ჟანდარმერიის მიერ, 50 — 60 სხვადასხვაგვარი პროკლამაცია და სხვა რევოლიუციონური ნაწარმოები, რომელიც მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის ჩამოგდებისაკენ. კეცხოველის ხელმძღვანელობით გამოშვებული იყო რამდენიმე პროკლამაცია ჯარისადმი, რომელიც „მოუწოდებდა აჯანყებისაკენ და აშკარა დაუმორჩილებლობისაკენ. ეს პროკლამაციები ჯარში, როგორც გამორკვეული იყო, ფართოდ გავრცელდა და ამის გამო შემდგომ რამდენიმე ცალკეული კვლევა-ძიება მოხდა ამ საქმის გამო და მრავალი პირი იყო პასუხისგებაში მიცემული“.

საპყრობილეში ყოფნის დროს ლ. კეცხოველი ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ რევოლიუციონერ გმირს შეჰფეროდა, რომლისთვისაც უცნობია ეჭვები და სულმოკლეობა.

მისი დაუმორჩილებლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის სახელზე დაწერილი შემდეგი თხოვნა:

„ვთხოვ ბ-ნ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მაცნობოს: ვიქნები თუ არა მე დაკითხული, ან როდის? თუ ბ-ნი უფროსი დაინახავს საჭიროდ ჩემს დაკითხვას, შესაძლებელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ დაკითხვის დროს ხელთ იქონიოთ ყველა ის საბუთი, რომელიც დაკავებული იყო ენუქიძის ბინაზე, როგორც ჩემი დაპატიმრების დროს, აგრეთვე ბაქრაძისა და ენუქიძის დაპატიმრების დროს, აგრეთვე ის საბუთებიც, რომლებიც ნახულ იქნა ჩემთან, აგრეთვე აჯი-ქაბულში დაჭერილი შრიფტის ნატვიფრი.

ამასთანავე ვთხოვ ბ-ნ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მაცნობოს, აკრძალული მაქვს თუ არა ნათესავების ნახვა; თუ აკრძალული მაქვს, რით იყო გამოწვეული ამგვარი განკარგულება? რათ არ გამოუშვეს, ან რათ არ ჩამაბარეს დღემდე შექსპირის თხზულებები ქართულ ენაზე, რომელიც ჩემმა ძმამ დასტოვა ჩემზე გადმოსაცემად, ნახვის დროს, როტმისტრ რუნიჩის (სიტყვიერი) თანხმობით? ბ-ნი ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ხომ არ სცნობს საჭიროდ დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა: რა უფლებით არ უშვებენ შემდეგ წიგნებს: „კაპიტალს“—კ. მარქსის თხზულებას, „სოციალიზმის პრობლემებს“ — ე. ბერნშტეინის თხზულებას, „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიას“—რამბოსი და ლავისის (ყველა რუსულ ენაზეა) და დაინახავს თუ არა ბ-ნი უფროსი შესაძლებლად, რომ მომეცეს ამ წიგნებით სარგებლობის უფლება?“

ვ. კეცხოველი.

1903 წლის 1 იანვარი.

საპყრობილეს რეჟიმმა არა თუ დაიმორჩილა იგი, მას არ შეუწყვეტია კავშირი თავისუფალ ცხოვრებასთან, ვინაიდან მუდამ არალეგალური მიმოწერა ჰქონდა ამხანაგებთან, რომლებიც საპყრობილეს გარეთ იყვნენ. როგორც ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის სახელზე წარდგენილი მოხსენებიდან ჩანს, დაპატიმრებული კეცხოველის საკანის გაჩხრეკის დროს ნახეს „მაგიდაზე წიგნებ-

ში: 1) რუსული რევოლიუციონური ლექსი „ახალი მარსელიეზა“, რომელშიც ყურადღებას იპყრობდა განსაკუთრებით შემდეგი ადგილი:

„В стране подавленной бесправьем,
Вам слышно-ль — близок ураган.
То в смертный бой с самодержавием
Вступает русский великан“.

2) ქაღალდის ნახევი ქართული ნაწერით, საიდუმლო შინაარსის, რომელიც იწყება მიმართვით: „ძმაო მიკიჩა“, აქვე წარმოდგენილი ასლის თარგმანით და 3) ბლანკი ღია წერილისა უკან რუსული წერწერით „სახსოვრად ბიქტორ ბაქრაძისაგან“ (ბაქრაძე ცოტა ხნის წინათ გამოუშვეს საპყრობილედან, ისიც იმავე საქმეზე იყო დაჭერილი, რაზეც კეცხოველი). ზემოაღნიშნულის გამო დაკითხულ იქნა კეცხოველი, რომელმაც განაცხადა, რომ ლექსი „მარსელიეზა“ დაწერილია მის მიერ ჯერ კიდევ თავისუფლად ყოფნის დროს და შემთხვევით შემოტანილია საპყრობილეში მის მიერვე, რომ რუსული წარწერა ღია ბარათზე ეკუთვნის თვითონ კეცხოველს და არა ბიქტორ ბაქრაძეს, რომ ქართულ წერილს, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, კეცხოველი სრულიად ვერ იცნობს და აგრეთვე არ იცის, ვის მიერ ან რა შემთხვევის გამო დაწერილი“.

ამის გამო ჟანდარმერიამ გასცა განკარგულება:

„აეკრძალოს ბრალდებულ ვლადიმერ კეცხოველს ისარგებლოს საწერი საშუალებებით სულ უკანასკნელი ერთი თვით მაინც, რადგანაც ამ ნიადაგზე ბოროტმოქმედებანი აღმოჩნდა“.

1903 წლის 15 ივლისს მეტეხის ციხეში პოლიტიკურმა პატიმრება „არეულობა“ მოახდინეს, რასაც ხელმძღვანელობდენ ლადო კეცხოველი და ზაქრო ჩოდრიშვილი. კეცხოველი „თავისი საკანიდან ყვირილით მოითხოვდა პატიმრების მიმართ შემოღებული შემავიწროებელი ზომების მოხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა არეულობას მოვახდენო, 15 ივლისის ნაშუადღევის 2 საათზე კი კეცხოველი ცდილობდა თავისი საკანის კარების ჩამომტვრევას, პირველად — ჩამოღებული ფანჯრის ნახევარი ჩარჩოს საშუალებით (ფანჯარა გუშაგისაკენ გადიოდა), შემდეგ, როდესაც ეს ჩარჩო კარს მიალეწა, ხის ტაბურეტით, რომელიც აგრეთვე ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ფანჯრის ჩარჩოს მეორე ნახევარში, რომელიც ანჯამაზე ეკიდა, ყველა მინა იყო ჩამტვრეული“.

არეულობის მონაწილენი შემდეგნაირად დასაჯეს: ზაქარია ჩოდრიშვილი და ვლადიმერ კეცხოველი ბნელ დილეგში ჩააგდეს შვიდ-შვიდი დღით, საჭმლის შემცირებით. არჩილ დოლიძეს და ვიტალი ბლოკს ქვეშაგები არ მისცეს, მოუსპეს ცხელი საჭმელი, სეირნობა და წიგნების კითხვა სამ-სამი დღით თითოეულს, კლავდია ფრანჩესკის წაართვეს მიწერ-მოწერის, ნახვის, სეირნობის და წიგნების კითხვის უფლება ერთი კვირის ვადით. ამასთანავე საერთო საკანიდან № 31 ცალკე საკნებში გადაიყვანეს: ფრანჩესკი, კალისტრატე გოგუა და კურნატოვსკი, როგორც ცუდად მოქმედნი დანარჩენ პატიმრებზე. „როდესაც ზემოხსენებულ განკარგულებას ვასრულებდით, ჩოდრიშვილი ჭირვეულობდა და ყვიროდა, რომ არავის არა აქვს უფლება ის ასე დასაჯოს, ბლოკმა, როდესაც მას წაართვეს ქვეშაგები და წიგნები, ითხოვა, რომ მის საკანში ჩამოეხსნათ ფანჯრის ჩარჩოებიც, ვინაიდან წინაღმდეგ შემთხვევაში იგი მათ ჩაამტვრევს, დოლიძეს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა ქვეშაგების დანებება. როდესაც დოლიძემ ხელი გაუშვა ქვეშაგებს, დაიწყო ყვირილი: ეს ხელისუფლება კი არაა, ბარბაროსები, ავაზაკები, გათახსირებული არიანნი და სხვა. კლავდია ფრანჩესკიმ, რომელსაც გამოუცხადეს, თუ როგორი დისციპლინარული სასჯელი დაედო მას და საერთო კორპუსიდან გადაიყვანეს საავადმყოფოს ცალკე საკანში, განაცხადა, რომ ამიერიდან იგი სავსებით ყველაფერში თანაუგრძნობს თავის მოძმეებს“.

ამხ. ლადო გუშაგის ტყვიამ იმსხვერპლა 1903 წლის 17 აგვისტოს. მოკვდა ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი მუშათა კლასისა. ჩვენი პარტიის ტფილისისა და ბაქოს კომიტეტებმა გამოსცეს პროკლამაციები, სადაც ამხ. ლადოს მოღვაწეობა იყო დახასიათებული. ტფილისის კომიტეტის პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო“

კვირას, დილის 10 $^1/_2$ საათზე, მეტეხის ციხის დახურულ საკანში ტყვიით მოჰკლეს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის დაუღალავი მებრძოლი ლადო კეცხოველი. ახალგაზრდობიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი იბრძოდა ადამიანის უწმინდესი უფლებებისათვის და პროტესტს უცხადებდა ყოველგვარ თვითნებობას და ძალადობას; ვერც საპყრობილის კედლებმა და ვერც დილეგმა ვერ დაასუსტა მისი ენერგია, ყოველდღე გაისმოდა მისი ხმა — „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას და სოციალიზმს“.

კონსპირატიულ მოსაზრებათა გამო ჩვენ იძულებული ვართ გავჩუმდეთ უდიდესი რევოლიუციონური საქმეების შესახებ, რომელთა სული და გული ის იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას მიიღო მან მონაწილეობა სემინარიის აჯანყებაში 1893 წელს, რისთვისაც იგი გამორიცხეს. შემდეგ ის მიდის კიევის სემინარიაში, მაგრამ მალე იჭერენ. 1897 წელს მხურვალე მონაწილეობა მიიღო კავკასიის მუშათა მოძრაობაში. ტფილისში მოაწყო ტრამვაის მუშათა პირველი გაფიცვა, მაგრამ იგი გასცა ერთმა კონდუქტორმა და მას შემდეგ არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. ის მიდის ბაქოში და სხვებთან ერთად აარსებს ბაქოს ორგანიზაციას. იგი შემთხვევით დაიჭირეს ბაქოში წარსული წლის შემოდგომაზე.

მარადი იყოს შენი ხსოვნა, ხალხის თავისუფლებისათვის სახელოვანო მებრძოლო!

ამხანაგებო, ნუ დავტოვებთ ამ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას უპროტესტოდ!

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ძირს კაპიტალისტები!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ტფილისის კომიტეტი“.

ამხ. კეცხოველის კიდევ უფრო დაწვრილებითი დახასიათება ეკუთვნის ბაქოს კომიტეტს, რომელმაც ეპიგრაფად აიღო:

„О, смелый сокол, в борьбе
С врагом истек ты кровью“

(„შენ, გულადო შევარდენო, მტერთან ბრძოლაში სისხლისაგან დაიცალე“)

შემდეგ მის პროკლამაციაში ნათქვამია: „ტფილისის საპყრობილეში ტყვიით მოჰკლეს ვლადიმერ კეცხოველი (ლადო). დაწვრილებითი ცნობები ამ საზიზღარი მკვლე-

ლობის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს. მოკლულის სახით ჩვენმა პარტიამ დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი და მხურვალე მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის“.

კედლის გაზეთს ამზადებენ.

„ვლადიმერი მებრძოლთა რიგებში მეტად მძიმე დროს შევიდა, როდესაც მთელ მუშათა კლასს ისე ეძინა, თითქოს არც გაიღვიძებსო, და მთავრობასთან ბრძოლას აწარმოებდენ თითო-ოროლა მუშები და ინტელიგენტები. ეს იყო ათი წლის წინათ. ვლადიმერი გამორიცხეს ტფილისის სემინარიიდან არეულობაში მონაწილეობის გამო. ის წავიდა რუსეთში, სადაც დაჰყო ორ წლამდე. ამ ხანებში მტკიცედ ჩამოყალიბდა ვლადიმერის გონებრივი მიმართება: ბრძოლა, დაუზოგავი ბრძოლა საზიზღარი თვითმპყრობელობის თვითნებობის წინააღმდეგ. მუშათა პირველმა შეტაკებებმა მთავრობასა და კაპიტალისტებთან სიხარულით ააძგერა იმისი გული. მასში მას ესმოდა გრგვინვა მოახლოვებული ქარიშხლისა, რომელიც წალეკავს ადამიანთა უუფლებობასა და ძალადობას“

„და ის მიისწრაფოდა სამშობლოში, სადაც ესოდენ საჭირო იყვნენ მებრძოლნი, სადაც საჭირო იყო რწმენის გაღვიძება, რომ მალე დაიმსხვრევა ჩაგვრა და მონობის ბორკილები“.

„ტფილისმა იგი გაახარა. ერთი მუჭა მომუშავე ინტელიგენტების მაგიერ, რომელიც მან დასტოვა, გაჩენილიყო ასი და ათასი შეუდრეკელი მებრძოლი მუშათა კლასიდან. მცირერიცხოვანი მშიშარა ჯგუფების მაგიერ, რომელნიც იკრიბებოდენ შუაღამისას ტფილისის ბნელ ქუჩებში, მან დაინახა მუშათა დიდი რაზმები, რომლებიც თამამად და დროშებით ხელში ფართო ქუჩებზე და მოედნებზე მოითხოვდენ ადამიანურ ცხოვრებას. თავისი კეთილშობილური და მებრძოლი ბუნების მთელი აღგზნებით შეუდგა ვლადიმერი წმინდა და დიდი ბრძოლის საქმეს. მაგრამ იგი მალე შეამჩნიეს, და იძულებული გახდა არალეგალურად, სხვის გვარზე ეცხოვრა. ხუთი წელი გაატარა მან ამგვარად კავკასიაში, სხვადასხვა გვარით ცხოვრობდა ხან ტფილისში, ხან ბათომში და ხან რომელიმე მივარდნილ სოფელში. ამ ხნის განმავლობაში მან არ იცოდა რა იყო პირადი ცხოვრება, არ იცოდა დაღალა და დასვენება. ეს დრო ვლადიმერმა (ანუ ლადომ, როგორც ეძახდენ) საშინელ შრომაში და მუშათა ინტერესებისათვის დაუღალავ ბრძოლაში გაატარა. ის ხან მუშათა წრეში მუშაობს, ხან აწყობს ტფილისში მუშათა დიდ გაფიცვას, ხან სადმე ოზურგეთის მაზრის სოფლებში მოუწოდებს გლეხებს მოიცილონ ბატონების დესპოტიზმის უღელი და შეუერთდენ მებრძოლ პროლეტარიატს, ხან დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობს აუტანელ პირობებში, სტამბის დაზგაზე, და ბეჭდავს წიგნებს მუშებისა და გლეხებისათვის“.

„ამხანაგებო, ჩვენ შეგვეძლო ბევრი რამ გვეთქვა ამ კეთილშობილი მებრძოლის გასაოცარი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ უკეთეს პირობებამდე უნდა გადავდოთ ეს. ძალიან ბევრი პირი და ინტერესია გადახლართული მის პიროვნებასთან და დაწვრილებითი ამბავი მისი ცხოვრების შესახებ ხელს შეუშლიდა იმ საქმეს, რომელსაც შესწირა ლადომ თავისი სიცოცხლე“.

„მაგრამ ერთი მაინც უნდა გითხრათ: ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი გამბედავი და ძლიერი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის შეწირვაც კი შეუძლია ადამიანს — თავისი ბედნიერება, თავისი ძალ-ღონე, თავისი სიცოცხლე“.

„და საუკეთესო ჯილდო და ძეგლი ასეთ მებრძოლთათვის იქნება სასტიკი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან, რომელმაც ისინი მოჰკლა, იმ ველურ ძალადობასთან, რომელიც საუკეთესო მეგობრებს გვართმევს“.



პიონერების ბანაკი. წყაროსთან.

„ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ მოკლული მეგობრის ხსოვნა მტკიცე და ხანგრძლივი იქნება ჩვენს მეხსიერებაში. და ეს უფრო გააძლიერებს ჩვენს რწმენას, რომ მოახლოვებულია ჩვენი საქმის გამარჯვება, ჩვენს რწმენას, რომ **ყოველი დიდი მებრძოლის სიკვდილით თანდათან ვუახლოვდებით სასურველ მიზანს.**

ძირს ჯალათები და ინკვიზიტორები!

ძირს თვითმპყრობელობა!

კავკასიის სოც.-დემ. მუშათა კავშირის
ბაქოს კომიტეტი.

25/8—03 წ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდხანს ვერ გამოარკვიეს ამხ. კეცხოველის მოკვლის ნამდვილი სურათი. პირველ ხანებში ეს უბედურ შემთხვევად მიაჩნდათ. ამ მკვლელობის ცალკეული მომენტების თანმიმდევრობა, როგორც ჩანს, ასეთია: კეცხოველი მივიდა საკანის ფანჯარასთან და არ მოშორდა მას, მიუხედავად გუშაგის გაფრთხილებისა; გუშაგმა თოფი ესროლა და კეცხოველი წაიქცა.

ამგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს საქმე მკვლელობის ხანებში. მაგრამ, როგორც ეს ქვემოყვანილი საბუთებიდან ჩანს, სულ სხვაგვარად ყოფილა ამ ბოროტმოქმედების საქმე; ეს საბუთი მთლად ერთიან არღვევს წინანდელ მარტივ შეხედულებას ამ საქმეზე. საბუთს ხელს აწერს ბევრისათვის კარგად ცნობილი ჟანდარმერიის როტმისტრი რუნიჩი (შემდგომ მოჰკლეს იგი) და ამხ. კეცხოველს ახასიათებს, როგორც, ჟანდარმერიის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საშიშ რევოლიუციონერს. რუნიჩს ეშინია: თუ კეცხოველის წინააღმდეგ არ იქნა მიღებული განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომები, შესაძლებელია მისი გადასახლება ვერ მოვახერხოთო: ის გაიქცევა საზღვარგარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებებით ბევრ ზიანს მოგვიტანსო. ჟანდარმერიის აზრით, კეცხოველმა სწორედ ამ მიზნით აღძრა შუამდგომლობა განთავისუფლების და იმ ადგილზე წინასწარ გადაგზავნის შესახებ, რომელიც განაჩენით იყო დანიშნული".

ამ საბუთის შედგენიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ მოჰკლეს ამხ. კეცხოველი. საზიზღარი მკვლელობა, ცხადია, წინასწარ იყო მოფიქრებული ჟანდარმთა მიერ და ხელოვნურად იყო მოწყობილი.

აი ამ საბუთის შინაარსი:

საიდუმლოდ

ს. ფ. 510

ამ მიმოწერის წარდგენასთან ერთად ვაცნობებ მის მაღალკეთილშობილებას, ბ-ნ ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, რომ ბრალდებული ვლადიმერ კეცხოველის შესახებ, გარდა პოლიციის დეპარტამენტისათვის 1903 წლის 31 მაისს № 3105-ით წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნული ქმედობის ჩადენისა, ჩვენ მიერ მოხდენილი კვლევა-ძიებით გამოაშკარავებულია აგრეთვე, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი საიდუმლო სტამბისა, სადაც იბეჭდებოდა თითქმის ყველა პროკლამაცია და სხვა რევოლიუციონური გამოცემები, რომელიც ვრცელდებოდა კეცხოველის დაპატიმრებამდე, ე. ი. 1902 წლის სექტემბრამდე, სხვადასხვა დროს ტფილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიის რაიონებში; იმავე კვლევა-ძიებით გამოაშკარავებულია, რომ კეცხოველი სხვა ბრალდებულებთან ერთად თავის საიდუმლო სტამბაში ბეჭდავდა ჯარებისადმი პროკლამაციებს, რომელთაც მიზნად ჰქონდათ ჯარები მოეწოდებიათ დაუმორჩილებლობისა და აშკარა აჯანყებისაკენ. ეს პროკლამაციები, როგორც გამორკვეულია, ფართოდ ვრცელდებოდა ტფილისთან მდგომ ჯარში, რომელიც თითქმის ასი ათას კაცს უდრიდა და რომელიც მეფის ოჯახის წევრებს უნდა დაეთვალიერებიათ 1901 წ. სექტემბრის დამლევს საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წ. იუბილეის გამო; ჯარში პროკლამაციების გავრცელებამ გამოიწვია რამდენიმე კვლევა-ძიება ამ საქმის შესახებ.

ამას გარდა, ამავე კვლევა-ძიებიდან ჩანს, რომ ვლადიმერ კეცხოველს ორ წელზე მეტ ხანს ეძებდენ, როგორც სამხედრო ბეგარისაგან დამალულს, და აგრეთვე ეძებდა პოლიციის დეპარტამენტი, როგორც სხვა პოლიტიკურ საქმეზე დასაპატიმრებელს; მაგრამ კეცხოველმა ისარგებლა თავისი ფართო რევოლიუციონური კავშირითა და ნაცნობობით და შესძლო სხვისი გვარებით და ყალბი პასპორტებით მისი ძებნის დროს რამდენჯერმე გადასულიყო სრულიად დაუსჯელად რუსეთის საზღვარზე და აღნიშნული დროის განმავლობაში ფარულად ეცხოვრა ისეთ შედარებით დიდ ცენტრებში, როგორიცაა ტფილისი და ბაქო. აქ მან მოაწყო ისეთი რთული და სახიფათო საქმე, როგორიც არის საიდუმლო სტამბა, რომელიც თითქმის ორ წელიწადს არსებობდა; ნაწილი ამ სტამბისა დღემდეც არ არის აღმოჩენილი; მისი გაკეთება, როგორც გამორკვეულია, დიდი თანხა დაჯდა, რომელიც სხვადასხვა პირისაგან შეჰკრიბეს.

გაცნობებთ რა ყველაფერ ამას, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ თუმცა კეცხოველის წინასწარი გადასახლება ერთ-ერთ შორეულ ადგილას კვლევა-ძიების საბოლოოდ გამორკვევამდე სასურველია, სასარგებლო იქნებოდა, კეცხოველის პიროვნების უზრუნველსაყოფად, რადგან კვლევა-ძიებით გამორკვეულია კეცხოველის მნიშვნელობა რევოლიუციონური მოძრაობისათვის, რომ გადასახლების დროს კეცხოველის წინააღმდეგ მიღებული ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებული ზომები, რადგანაც კეცხოველი, როგორც კი განთავისუფლდება, პირველ შესაძლებლობისთანავე გაიქცევა საზღვარგარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებებით ბევრ ზიანს მოიტანს რა მიზნითაც, როგორც ჩანს, კეცხოველმა აღძრა შუამდგომლობა პატიმრობისაგან განთავისუფლებისა და იმ ადგილზე წინასწარი გადასახლების შესახებ, რომელიც დანიშნულია განაჩენით.

ამას უნდა დავუმატო, რომ მე არ ვიცი, თუ რა საჭიროა განზრახული კეცხოველისათვის ჩემ მიერ წარმოებულ კვლევა-ძიების საქმეზე და სად აპირებენ მის გადასახლებას, რადგანაც „კეცხოველისა და სხვების" კვლევა-ძიების საქმე განსახილველად აქვს ტფილისის სასამართლო პალატის ბ-ნ ბრალმდებელს.

რუნიჩი

1903 წლის 10 აგვისტო
ტფილისი.

ასლი

ს. ფ. 498.

პეტერბურგი

პოლიციის დეპარტამენტს.

დღეს პოლიტიკურმა პატიმარმა ვლადიმერ კეცხოველმა, რომელიც უწესოებას ახდენდა მეტეხის ციხეში და სხვებსაც მოუწოდებდა ამისაკენ, გამოამტვრია კედელში აგურები და დაუწყო იმის სროლა გუშაგს, რომელიც იდგა ვიწრო მოედანზე მტკვრის ნაპირას, კლდის პირზე. გუშაგმა ესროლა და მოჰკლა. გამოძიება წარმოებს.

დედანს ხელს აწერს და სწორია

პოლკოვნიკი (ხელის მოწერა)

პოლიციის დეპარტამენტს

1903 წლის 8 აგვისტო.

№ 5013

კეცხოველის მკვლელობის შესახებ.

ოანახმად პოლიციის დეპარტამენტის ამა წლის 21 იელისის მოწერილობისა, № 2775, რომელიც ბაქოს საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მიერ ჩემდამი იყო გადმოგზავნილი და 17 აგვისტოს ჩემ მიერ გადმოგზავნილი დეპეშის დამატებად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ვლადიმერ კეცხოველი, რომელიც ბრალდებულის სახით იყო დაპატიმრებული „ანდრია ბალუევისა და სხვების" საქმეებზე, 17 აგვისტოს დილის 11 საათზე მოჰკლა ტყვიით გუშაგმა თავის საკანში, რადგანაც კედლიდან გამოღებულ აგურებს ესროდა გუშაგს.

პოლკოვნიკი (ხელის მოწერა)

ბ. ბიბინეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო ჩვენი პირველი შეკრება

— მერე, მერე, ვანო?—ეკითხებოდენ აქეთ-იქიდან შემოხვეული პიონერები, რა მათი არჩეულნი დაბრუნდენ საკავშირო შეკრებიდან. ბანაკი გამხიარულებულია. პიონერები ისმენენ გულდასმით, თუ რა ნახეს მათ მოსკოვში, და ვანოც უყვება მოკლედ და დალაგებით...

საღამოა...

ნელი სიო სისინებს საამოდ და ფოთლების შარიშურით ემშვიდობება მთის იქით ჩამავალ მზეს...

მდინარე ქვებზე ხტუნვით მოშხუის და გრილ შხეფებს ესვრის ნაპირს, სადაც სიცოცხლით აღსავსე პიონერები ჩამომსხდარან და ამხანაგების საუბარს ყურს უგდებენ...

— ჰო და, როგორც გითხარით... — განაგრძობდა ყველას საყვარელი ამხანაგი ვანო, —ესაა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი ჩვენი მოძრაობის ისტორიაში... მან რადიკალურად დააყენა პარტიისა და მთელი საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე საკითხი მოზარდი თაობისადმი ყურადღების გაძლიერების შესახებ, მისი კომუნისტურად აღზრდის უზრუნველსაყოფად...

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში პიონერშეკრების პარალელურად ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც ეწყობა ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციების შეკრებები, ნათლად მოწმობს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი თაობის დაპყრობის საკითხს და როგორ იბრძვიან მისთვის ბურჟუაზია და მისი პარტიები...—აი რა სიტყვები გვესმოდა შეკრებაზე ჩვენი უფროსი ამხანაგებისაგან... თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოწყობილი შეკრებები გაჟღენთილია რელიგიური სულით, თუ მას ხელმძღვანელობენ ლორდები, გრაფები, სამღვდელოება, მენშევიკები და სხვანი, ჩვენს შეკრებას უბრალო პროლეტარული ხასიათი ჰქონდა; პიონერები ერთობიან არა მარტო თამაშობებით, არამედ ჩვენ უშუალოდ უნდა ჩავებათ ქალაქის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში...

საბჭოთა კავშირში ბავშთა მოსახლეობის საერთო რიცხვი — 6—16 წლამდე—30 მილიონს აღწევს; ამაში შედიან როგორც მოსწავლე, ისე არამოსწავლე, შეუკავშირებელი ბავშები, რომლებიც ყოველგვარი აღზრდისა და დახმარების გარეშე არიან, ძველი ოჯახის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან სრულიად უმწეოდ, უპატრონოდ დაეხეტებიან ქუჩებში; იმათზე ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ და ვაკავშირებდეთ პიონერორგანიზაციაში...

ამას დიდი ყურადღება მიაქცია შეკრებამ.

პიონერშეკრება, დაწყებული თემებიდან და მაზრებიდან, გათავებული მოსკოვით, ისეთ მძლავრ იარაღად იქცა, რომლითაც შესაძლებელი შეიქნა გადასინჯვა ყველა წარმოებული მუშაობის და გარკვეული მოთხოვნების წაყენების ხელმძღვანელ ორგანიზაციებისადმი, ერთის მხრით, საბჭოთა სკოლებში კომუნისტური აღზრდის და შრომის პრინციპების განმტკიცების და, მეორე მხრით, შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობის გაძლიერების, მათთვის სათანადო საბავშო დაწესებულებების გახსნის შესახებ.

შეკრებისათვის მზადება ჯერ კიდევ მაისში დაიწყო...

ბევრგან თუ მომზადებით შეხვდენ ამ შეკრებას, ბევრგან სუსტობდენ; ამ მხრივ მოსკოვში ბევრი გაკეთდა, მუშაობა ცოცხლად ჩატარდა, ყველა ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა შეკრებას, მესამე თაობის აღზრდის საქმეს.

იქ დიდი ყურადღება ექცეოდა პიონერკოლექტივების ორგანიზაციულად მომზადებას, შეკრების დროს შეჯიბრებს, კონკურსებს კოლექტივებს შორის, პიონერთა ნამუშევრების გამოფენებს, კონფერენციის მუშაობას, სხვადასხვა საკითხის დამუშავებას და მასში კონფერენციის დელეგატების აქტიურად ჩაბმას...

— ეგ ვიცით, რომ ეგრე იქნებოდა, მაგრამ შენ ის სთქვი, როგორ იმგზავრეთ, რა ნახეთ კიდევ, როგორია შენი შთაბეჭდილება... — შეაწყვეტინა ლილიმ.

— ჰო, კარგი, ნუ უშლი. — შეაჩერა მიტომ.

— განაგრძე, ვანო, ამათ რა ყურს უგდებ...—წარმოსთქვა სიცილით შუშანიკამ.

ბ.

— კარგი, რახან არ გსურთ, მეც ავიღებ და ინფორმაციის ხასიათს მივცემ ჩემ საუბარს... — წარმოსთქვა ცოტახნის შეჩერების შემდეგ ვანომ და განაგრძო — მოკლეთ გადმოგცემთ, სად როგორ შეხვდენ პიონერშეკრებას...

— 11 აგვისტოს გავემგზავრეთ მოსკოვში საგანგებო მატარებლით. მიქროდა მატარებელი და მასზე უმალ ჩემი ფიქრები...

ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ვნახავდი ძველი მსოფლიოს ამფეთქებელ არსენალს—მოსკოვს, ძია ლენინის მავზოლეით...

აუწერელია ამ დიდი ქალაქის საუკეთესო დახვედრა მთელი კავშირის პიონერთა შეკრების დღეს...

მოსკოვი... პიონერები... ზეიმი...

დაუვიწყარია ჩემთვის ის სანახაობა...

მორთულ-მოკაზმული მოსკოვი გვესალმება შორეული რესპუბლიკებიდან ჩამოსულ პიონერებს, მოსკოველი პიონერები გვხვდებიან სადგურზევე. მერე: ჩვენი მისალმებანი, გაცნობა, დაახლოვება, გაცილება ჩვენთვის დანიშნულ ბინაზე...

აქვე არიან მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოსული პიონერები; ერთმანეთს ვუზიარებთ აზრს, ვაცნობთ ჩვენს ცხოვრებას; უცხოელნი გვაცნობენ თავის მდგომარეობას, რომელიც არავისთვის სახარბიელო არაა, რადგან მათ ისევე სტანჯავენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც მათ მშობლებს — მუშებს და გლეხებს, მაგრამ პიონერული მოძრაობა მაინც ფეხს იკიდებს ყველგან და ბურჟუაზიულ ბავშთა საზოგადოებებს — „ბოისკაუტებს" უპირისპირებს მშომელთა შვილებიდან შემდგარ პიონერთა ურჩ რიგებს...

— პიონერთა შეკრება საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს ემსახურება. — აი რა სიტყვები გვესმოდა იქ საკავშირო რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის, ამხ. უნშლიხტისაგან. — საკავშირო შეკრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდი ახალგაზრდობის წრეების ჩასაბმელად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

პიონერთა ორგანიზაციებში, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი სამხედრო, მსროლელი და ფიზკულტურის რაზმები და რომლებიც შეკრების დროს მოაწყობენ ამ რაზმების შეჯიბრებას,—იწვრთნებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომავალ მებრძოლებად.

ნორჩმა პიონერმა იცის, რომ ჩვენ გარს გვარტყია აუარებელი მოსისხლე მტერი, რომლებიც ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ნორჩი პიონერი ემზადება იმისთვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს კაპიტალისტური ბრჭყალებისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის წარმოებულ უდიდეს ბრძოლებში. ნორჩი პიონერი სწავლობს მარჯვედ სროლას, ამაგრებს თავის ჯან-ღონეს, ეჩვევა გაჭირვების გადატანას, ინვითარებს თავის ძალას, ამტანობას, სისწრაფეს, სწავლობს სამხედრო წყობას და იძენს სამხედრო ცოდნას. ნორჩი პიონერი მზადაა შესწიროს სოციალიზმის საქმეს მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე; იგი ისევე შეუპოვრად და მედგრად შეებრძოლება რევოლუციის მტრებს, როგორც იბრძოდა და იბრძვის სოციალიზმის

ამხ. ბუდიონი და მომავალი წითელფლოტელები

გამარჯვებისათვის ძველი გვარდია. შეკრების დღეებში პიონერთა რიგები უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის სახელოვანი დროშის ირგვლივ, ჩვენი ქვეყნისა და სოციალიზმის დაცვის საქმის გარშემო. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში პიონერთა მოძრაობას უნდა დაეხმაროს თავდაცვა-ავიაქიმი, მოზარდი ახალგაზრდობის გასამხედრობის საქმე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მცოდნე ხელმძღვანელთა კადრებით. ჩვენი გამარჯვება კლასიურ მტრებთან ბრძოლაში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება მომზადებული ჩვენი ახალგაზრდობა იმ უდიდესი და მძიმე ამოცანების შესრულებისთვის, რომლის წინაშე ჩვენ ომი დაგვაყენებს...

აი რას გვეუბნებოდა, ამხანაგებო, ჩვენი უფროსი ამხანაგი...

19 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნა პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრება, რომელსაც დაესწრო 12000 პიონერი და 30000 არაპიონერი. შეკრებილ პიონერებს მიესალმა პიონერთა შეკრების შტაბის თავმჯდომარე ამხ. სევერიანოვა, საბჭოთა მთავრობის სახელით — ამხ. რუძუტაკი. — უფროსი თაობა მოითხოვს ახალგაზრდა ლენინელებისაგან — სთქვა მან — რომ მათ მედგრად და უშიშრად იბრძოლონ იმ საქმისათვის, რომელიც დაიწყეს საუკეთესო პროლეტარებმა დიდი ბელადის ილიჩის ხელმძღვანელობით. თქვენ უნდა ისწავლოთ და მიეჩვიოთ ფაბრიკაში, ქარხანაში და მიწაზე მუშაობას, უნდა ისწავლოთ ფაბრიკებისა და ქარხნების მართვის, მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე, უნდა გახდეთ მედგარი მებრძოლი ბოლშევიკები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კაგანოვიჩმა: — თქვენ გყავთ ერთი მძლავრი ტოლი და მოკავშირე, — სთქვა მან. — ეს მოკავშირეა საბჭოთა კავშირი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ უკვე იდღესასწაულებს თავისი არსებობის მეთორმეტე წელს. ამ მოკავშირესთან ერთად თქვენ მალე განახორციელებთ ლენინის სანუკვარ ოცნებას — მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას. იმ პიონერისათვის, რომლის სახელიც საბჭოთა კავშირია, მზად იყავით იბრძოლოთ, იომოთ და, თუ საჭირო გახდება, სიცოცხლეც გასწიროთ!

— მუდამ მზად ვართ! — გრიალებს მრავალი ათასი პიონერი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს სახელით შეკრებას მიესალმა ამხ. ბაუმანი, წითელი არმიის სახელით — ამხ. უნშლიხტი.

შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წაიკითხეს პატაკები.

ბოლოს ტრიბუნაზე გამოჩნდა პატარა პიონერი ქალი, რომელმაც შეკრებას მოახსენა:

— ჩვენ, საბჭოთა კავშირის პიონერებ-, ფიცსა ვდებთ გავაძლიეროთ ბრძოლა კომუნისტური აღზრდისათვის სკოლაში, 5 წლის განმავლობაში სავსებით მოვსპოთ ბავშთა შრომის გამოყენება 14 წლამდე, ყოველ წელიწადს წერა-კითხვა შევასწავლოთ 50000 კაცს, მოვაწყოთ სკოლებში ბოსტნები და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას ყოველ წელიწადს მოვსპოთ 500 000 მინდვრის თაგვი, რაც მოგვცემს 50 000 ვაგონი პურის ეკონომიას; 5 წლის განმავლობაში ყველა ბავშს უკლებლივ ჩავაბამთ პიონერთა ორგანიზაციაში.

მიტინგის შემდეგ პიონერები გაემართენ მოსკოვის საბჭოს შენობის უკან, რომ დემონსტრაციით გამოეხატათ თავიანთი მზად ყოფნა იმისათვის, რომ იბრძოლონ მსოფლიო ოქტომბრისათვის.

დ.

— საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კავშირის ცეკას წარმომადგენელი მიესალმა შეკრებას შემდეგი სიტყვებით:

— ნორჩო ლენინელებო! შეკრების დღეებში პირველი სიტყვით თქვენ უნდა მიმართოთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს, თქვენს მამებს და დედებს, პროლეტარულ ბავშებს, ჩვენს ამხანაგებს და ძმებს მუშათა საქმისათვის ბრძოლაში. ნორჩო ლენინელებო! ჩვენთან, კომკავშირელებთან ერთად, ყველა მშრომელთან ერთად, თქვენ შეუდექით კულტურულ ლაშქრობას წერა-კითხვის უცოდინარობის, სიბინძურის და ლოთობის წინააღმდეგ, შეუდექით ლაშქრობას მოსავლისათვის, კოლექტივიზაციისათვის. ჩვენთან ერთად იყავით შაბათობების ჩატარების დროს, აგროვებდით რკინის ნამტვრევებს, აშენებდით საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებს, აწყობდით შეჯიბრებას; ჩვენთან ერთად იბრძვით შრომის სკოლისათვის, საყოველთაო სწავლებისათვის, მცირეწლოვანთ დაქირავებული შრომის აღმოფხვრისათვის, სკოლის გარეშე მუშაობის გაშლისათვის, კომუნისტურ აღზრდაში მთელი საბჭოთა ბავშების ჩაბმისათვის. შეკრების დღეებში თქვენ უნდა დასდოთ ფიცი, რომ განამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს, მილიონობით ჩააბამთ ბავშებს სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზმის მშენებლობისა და ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა განხორციელების საქმეში, გააორკეცებთ მახლობელი წლების განმავლობაში პიონერორგანიზაციების რიგებს, მილიონობით ჩააბამთ ბავშებს კულტურულ მუშაობაში.

ნორჩო ლენინელებო! თქვენ ლენინის სახელი დაირქვით და ამით იკისრეთ ვალდებულება—ააშენოთ ახალი კომუნისტური საზოგადოება და დაამთავროთ კიდეც მისი აგება. შეკრების დღეებში ახალგაზრდა პიონერებმა უფრო მაღლა უნდა ასწიონ ლენინის დროშა, დროშა კოლექტივიზმისა, დროშა პროლეტარული პასუხისმგებლობისა საერთო საქმისათვის, დროშა ბრძოლისა ახალი კულტურისათვის, სოციალისტური ადამიანის კულტურისათვის. შეკრების დღეებში ჩვენ არა მარტო თქვენგან მოვითხოვთ ფიცსა და ვალდებულებებს, არამედ ჩვენც, კომკავშირლებიც, მთელი ქვეყნის წინაშე ვკისრულობთ: განვამტკიცოთ ხელმძღვანელობა პიონერთა მოძრაობის მიმართ, გამოვყოთ მახლობელი თვეების განმავლობაში ბავშებთან სამუშაოდ მრავალი ათასი კომკავშირელი, ხელი შეგიწყოთ სახელოსნოებისა, სკოლებისა და საბავშო მოედნების მოწყობაში, დაგეხმაროთ იმაში, რომ კომუნისტური გავლენა გავრცელდეს უპარტიო ბავშთა მილიონებზე. ყველა ასაკის ბოლშევიკების მიზანთა მთლიანობა და სამი თაობის განუწყვეტელი კავშირი იმის საწინდარია, რომ ნორჩი პიონერები, კომკავშირელები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა განახორციელებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ შეკრების დღეებში იკისრეს. კომკავშირი დარწმუნებულია, რომ ნორჩი ლენინელები, რევოლუციის მესაძე თაობა, არ შებღალავენ კომუნიზმის დროშას, რომელიც ააფრიალა ბოლშევიკების პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში, ისინი უფრო მაღლა ასწევენ მას.

ორი მილიონი თქვენი ამხანაგისა და ძმის სახელით მხურვალედ მოგესალმებათ საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი...

ე.

20 აგვისტოს დაიწყო პიონერთა სპარტაკიადა. მოსკოვის პროფსაბჭოს სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება რბენაში, ხტომაში და ხოკეის ბურთის სროლაში. ხოკეის ბურთის სროლაში გაიმარჯვეს ავაქიანმა (სამ. კავკასია). ლეპოვმა (ციმბირი) და გარშინმა (უკრაინა).

პიონერთა სპარტაკიადა წყალზე გაიხსნა მოსკოვის პროფსაბჭოს პიონერთა გუნდის ფიგურალური ცურვით „დინამოს“ აუზში.

ესტაფეტაში 4 : 25 პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის გუნდმა, მეორე — ყირიმმა.

21 აგვისტოს გაიმართა განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომა სრულიად საკავშირო პიონერთა შეკრების დელეგატების მონაწილეობით; სხდომა გახსნა განსახკომის მოადგილემ — ამხ. იაკოვლევამ. მას შემდეგ ილაპარაკა ამხ. კრუპსკაიამ.

სხდომის შემდეგ ბავშები განაწილდენ იქვე სექციებად. ერთ სექციას—„პიონერები — საზოგადოებრივობის ორგანიზატორები სკოლაში“ — ხელმძღვანელობს ამხ. კრუპსკაია.

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის კონფერენცია პიონერთა შეკრების დელეგატების მონაწილეობით გაიხსნა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისრის ამხ. ბახუტოვის მოხსენებით.

მისი მოხსენების შემდეგ შეკრების მონაწილე 500 პიონერი დაიყო სექციებად. „ცენტროსოიუზში“ გაიმართა შეკრების მონაწილე პიონერების კრება „ცენტროსოიუზის“ პრეზიდიუმის მონაწილეობით. „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარემ ამხ. ლიუბიმოვმა ილაპარაკა იმ მიზნების შესახებ, რომლებიც დგას კოოპერაციის წინაშე ბავშთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. ქალთა სრულიად საკავშირო კოოპერატიული კომისიის თავმჯდომარემ, ამხ. ბუტუზოვამ, განაცხადა, რომ ამიერიდან კოოპერაცია სამსახურს გაუწევს არა მარტო ძუძუმწოვარ ბავშებს, არამედ სკოლაში მყოფ პიონერებსაც.

კამათის დროს პიონერებმა აღინიშნეს, რომ საჭიროა მეტი ენერგიული ბრძოლა ღვინის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში გაიმართა პიონერთა საკავშირო შეკრების დელეგატთა თათბირი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებთან და ჯანმრთელობის სახალხო კომისარ ამხ. სემაშკოსთან ერთად.

ამხ. სემაშკომ გააკეთა მოხსენება პიონერთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ შეკრების დელეგატებმა იგი საპატიო პიონერად აირჩიეს.

თათბირმა დასდო ხელშეკრულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა და პიონერებს შორის.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი კისრულობს ვალდებულებას: მახლობელი ხუთი წლის განმავლობაში სამსახური გაუწიოს პიონერთა ორგანიზაციებს ექიმებით, სანატორიული ბანაკებით, გაჯანსაღებული მოედნებით და საბავშო დაწესებულებათა ჰიგიენის წესიერი ორგანიზაციით. თავის მხრივ პიონერები პირდებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და პირადი მაგალითით გავლენა მოახდინონ ბავშთა მასასა და მშობლებზე ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პირველი საკავშირო შეკრების მონაწილეებთან ერთად განიხილა ბავშთა კომუნისტურ აღზრდაში პროფკავშირთა მონაწილეობის საკითხი. კონფერენციამ დიდის ყურადღებით მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის, ამხ. აკულოვის, მოხსენება. პატარა ორატორები — სოფლის მჯამაგირეთა შვილები, საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მოსწავლეთა და სხვა წარმომადგენლები—ხაზგასმით აღნიშნავდენ პროფკავშირთა მოვალეობას ბავშების წინაშე,

ცემენტის მთებზე

მახსოვს იმ მთებზე მეცხვარე დილით
სალამურის კვრით ფარას ამშლიდა,
და ჩვენ სიმინდის თოხნის დროს ტკბილი
მეცხვარის ხმები გვესმოდა ხშირად!..

ვინ იფიქრებდა, ამ მთებში ოდეს
რამე მადანი აღმოჩნდებოდა,
დღეს ეს მთებიც ხომ მადნეულს მოდენს,
მკერდი ჩაუქრა მაღალ ბექობსაც.

დრომ განვლო, და ჩვენ დავღარეთ ეს მთაც,
ცემენტის მადანს ვუპოვეთ ფესვი,—
გუგუნებს შრომის სიმღერის დღეს ხმა
და ინდუსტრიის ხმაური გვესმის!..

დილით საყვირი დაღრღნილ მთებიდან
კვამლს როცა ისვრის ცაში გუნდებად,—
მუშები მედგრად აიშლებიან,
და წარმოების ჩარხი ბრუნდება!..

ცეცხლი დავანთეთ ცემენტის მთებში,
ცემენტის მთებში ცეცხლი ანთია,
ვგრძნობთ აღტაცებას მუშათა ხმებში,
შევხარით გულით ახალ განთიადს!..

და თუკი წინათ ცემენტის მთებზე
ბღაოდა მწყემსის აშლილი ფარა,
დღეს ახალგაზრდულ ცეცხლოვან მკერდებს
ქარხნის შენებით მთა დაუფარავს.

შალვა შაველაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავდენ, რომ საკავშირო პროფსაბჭო და პროფკავშირები ცენტრსა და ადგილებზე სათანადო დახმარებას არ უწევენ პიონერმოძრაობას. ხანგრძლივი ტაშის ცემათ მიეგებენ ინგლისისა და ამერიკის პიონერების წარმომადგენლებს, ორმელთაც მოაგონეს კონფერენციას მათი ძმების ძძიმე ხვედრი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამხ. აკულოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ვ.

21 აგვისტოს კრემლის სასახლეში გაიხსნა პიონერთა პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია. პატარა ორატორების საქმიან სიტყვებს სიმღერა და თამაში სცვლიდა. ამხ. სევერიანოვას ძოხსენება ბავშთა კომუნისტური მოძრაობის მიზნების შესახებ დასრულდა პიონერთა მობილიზაციის, ლაშქრობაში პიონერთა მონაწილეობის წარმოდგენით. კოხფერენცია გახსნა საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას ძდივანმა, ამხ. რახმანოვძა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 50 კაცი, მათ შორის — ამხ. კაგანოვიჩი, კრუპსკაია, მაქსიმ გორკი და სხვ. საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, რუდუტაკი, რიკოვი, კუიბიშევი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კრუპსკაია, ეხუქიძე, იაროსლავსკი, ბაუმანი და ლანცუცკი.

ნორჩ პიონერთა საკავშირო ბიუროს თავმჯდომარემ, ამხ. სევერიანოვამ, ძოხსენებაში — ბავშთა კომუნისტური მოძრაობის შედეგებისა და მორიგი ამოცანების შესახებ — პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა ბოძოლა ბავშთა მასებისათვის და ხელის შეწყობა პარტიისა და კომკავშირისათვის მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

მოხსენების შემდეგ ყველა ადგა და დარბაზში გაისმა: — მზადა ვართ!!!

კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა პიონერებძა ურალიდან, ლენინგრადიდან და ამიერკავკასიიდან. კონფერენციაზე გამოვიდა აგრეთვე ძოხუცი, ჩრდ. კავკასიის საპატიო პიონერი ამხ. საძოფალოვი, რომელმაც შეიტანა წიხადადება, რომ მთავრობამ გამოუშვას 100 მილიონიანი საბავშო სესხი.

ზ.

23 აგვისტოს პიონერთა სრულიად საკავშირო კონფერენციას მიესალმა პროლეტარული პოეტი დემიან ბედნი, ამის შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ გააკეთა მოხსენება სახალხო ძეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ამხ. იაროსლავსკიმ, რომელიც ძეეხო ბრძოლას იმ ეროვნული შუღლის წინააღმდეგ, რომელსაც ვხედავთ მოზრდილ ბავშებს შორის.

— დავაფასოთ ადამიანი არა ცხვირის, თვალების ან თმის მიხედვით, არამედ იმ კლასის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნის. ამ ძხრივ ბავშთა საერთაშორისო კონგრესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ კონგრესზე საფუძველს ჩავუყრით ლენინელ ბავშთა ინტერნაციონალს, — სთქვა ძან.

სხდომის დასასრულს ამხ. კაგანოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა ადამიანთა იმ მასალის ძესახებ, რომელიც საჭიროა ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

კონფერენციამ ამხ. დემიან ბედნი, კრჟიჟანოვსკი, იაროსლავსკი და კაგანოვიჩი საპატიო პიონერებად აირჩია.

კონფერენციას მოხსენებების გამო რეზოლუციები არ მიუღია. მან დაადგინა პლენუმზე და სექციებში წამოყენებული ყველა წინადადება შეიტანოს განწესში, რომელიც გამოქვეყნდება პიონერთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე წარმოდგენილ ყველა ერის ენაზე.

შეკრების აღსანიშნავად გადაწყდა ყოველი წლის 18—25 აგვისტოს მოეწყოს ხოლმე ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

კონფერენციამ დაადგინა — 1930 წლის გაზაფხულზე მოაწყოს პიონერთა სრულიად საკავშირო სამხედრო მანევრები.

თ.

22 აგვისტოს მოხდა პიონერთა გამოსვლა კულტურისა და დასვეხების სახლში (პარკში).

უდიდესი საბავშო სეირნობის დროს, რომელიც ბავშთა საერთაშორისო კონგოესის გახსნის გამო ძოეწყო, გამოვიდენ ამხ. ბელაკუნი, ინგლისელი პიონერი სიდხეი ვოუტცი, გერმანელი პიონერი ქალი გილდა ჰელცმახი და ჩიხეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების პიონერთა დელეგაციების წარმომძადგენელხი.

აქ მოხსენებით გამოვიდა ამხ. იაროსლავსკი, რომლის შეძდეგ უკანასკნელად გამოვიდა საბჭოთა კავშირში ჩამოსული გერძანელი რევოლუციონერი, ამხ. მაქს ჰელცი. მან პიონერებს გადასცა სალამი რემედასის ალმასკოძისაგან.

აი ის ჟურნალიც მაშინ მომხვდა ხელთ, რომლის შესახებ გუშინ გელაპარაკებოდით...

— როძელი?

— აი, სკაუტების საწინააღმდეგო მანიფესტაციები რომ ხდება ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პიონერული მოძრაობის სასარგებლოდ...

— აბა წაიკითხე.

— სკაუტები — ესაა ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ბურჟუაზიულ ბავშებს, რომლებიც იზრდებიან ბურჟუაზიულ ყაიდაზე. ეს ორგანიზაცია დიდად მტრობს პიონეოელებს და კომკავძირელებს, ესენი, მოკლედ რომ ვთქვათ, პატარა ფაშისტები არიან. ოგორც გაზეთი იტყობინება, ქ. მახჩესტერში (ინგლისშია) ძემდგარა სკაუტეიის საწინააღმდეგო კომიტეტი. ასეთი კომიტეტები დაარსებულია ლოხდონში და სხვა ქალაქებში. მათ ძიხხად დაუსახავთ კამპანიის ორგანიზაციულად მოწყობა მუშებსა და ძუშა-ქალთა შორის, სკაუტული მოძრაობის ნაძდვილი მიზხების ძესახებ.

ანტისკაუტური ძანიფესტაციები ჩატარებულ იქნა კომკავშიოელთა ორგანიზაციის ძიერ ნიუ-იოოკში; იმ დროს, როცა სკაუტების ბეკრება ეწყობოდა. ძანიფესტანტები მოდიოდეხ დროშებით და ლოზუნგებით: „ძიოს სკაუტები! შეუერთდით ახალგაზრდათა საიჭოებს!“

— ვაშა ჩვენ საზღვარგარელ ძმებს! — შეჰყვიოეს ერთხმად პიონერებმა, რა ვანომ ჟურნალის ეს ადგილი წაუკითხა.

ი.

25 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე დასრულდა სრულიად საკავშირო პიონერთა შეკრება.

მრავალძა ათიათასეულმა ნორჩძა ლენინელმა მოიყარა თავი სტადიონზე შეკოების დახურვის სახეიმოდ.

ფიზკულტურის უძაღლესი საბჭოს სახელით ამხ. ენუქიძემ გადასცა უკრაინელებს, რომლებმაც პირველობა აიღეს ბავშთა სპარტაკიადაზე, უმაღლესი ჯილდო — ს. ს. რ. კ. ცაკის დროშა.

ამხ. უნშლიხტმა ს. ს. რ. კ. რევსამხსაბჭოს სახელით გადასცა ძოსკოვის სამრეწველო ოლქის ნორჩ ლენინელებს ჯილდო პირველობაზე, რომელიც მათ აიღეს ბავშთა სპარტაკიადაზე სროლაში შეჯიბრებაში.

— ნორჩო ლენიხელებო! წითელი არმიის სახელით მოგიწოდებთ, მუდამ მზად იყოთ მუშათა საქძის დაცვად! — მოუწოდა ამხ. უნშლიხტძა.

— გაუმარჯოს წითელ არმიას! — იგრიალა მრავალათასეულმა ხძამ მუსიკისა და ტაშის გუგუნში.

შემდეგ გამოვიდა ამხ. იაროსლავსკი, რომელმაც გარკვევით წარმოსთქვა სიტყვა საზეიმო ფიცისა, რომელსაც იმეორებდა ძრავალი ათიათასეული ნორჩი პიონერი.

ასე დასრულდა ჩვენი პირველი საკავშირო შეკრება.

დაასრულა ვანომ.

ბინდი ჩამოწვა.

ბანაკში გაისძა ბუკი.

კმაყოფილი პიონერები კარვებში გროვდებოდენ...

ს. ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგანეცის მოპოვება.

ქალაქი ჭიათურის გარემო მთებში მრავლად მოიპოვება ქვის ისეთი ფენები, რომელსაც მარგანეცი ეწოდება და ამავე დროს ადამიანთათვის მეტად საჭირო და ძვირფას მადანს წარმოადგენს.

მარგანეცი ანუ „შავი ქვა“ კაცობრიობას სჭირდება ლითონის მოპოვებისა და დამუშავებისათვის, რის გამოც ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტები მგლური თვალებით იცქირებიან ჭიათურისაკენ, რადგან ის იმდენად კარგი ღირსებისაა, რომ მთელ მსოფლიოში მეტოქე არა ჰყავს.

1879 წელს პოეტ აკაკი წერეთლის მიერ აღმოჩენილ იქნა ეს მადანი და მის შემდგომ წლებში კი უკვე ამუშავებდენ მას და გასაყიდად გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ევროპაში ამ აღმოჩენის შესახებ ხმა გავარდა თუ არა, მაშინვე გამოეშურენ ვაჭრები აქეთ, რომ ჯიბეები გაესქელებინათ. მართლაც, სრულიად კერძო და უცხო პირებმა ჩალის ფასად შეისყიდეს მადხიანი მიწები და ამუშავებდეხ მას.

მაღაროს მუშები დღეში 16—18 საათს მუშაობდენ, რომ თავისი ბატონები—ვაჭრები—გაემდიდრებინათ, თვითონ კი მხოლოდ ლუკმაპური ეშოვხათ.

ამაშინ მარგანეცის დამუშავება მეტად უკულტურო იყო, რის გამოც ძუძები ძლიერ იტანჯებოდეხ, ხარჯავდენ დიდ ძალა-ენერგიას, შრომას და მცირე ნაყოფს იღებდენ; მას შემდეგ დიდი წინსვლაა და ძალზე განსხვავდება დღევანდელი დამუშავება ძველისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კერძო მწარმოებელხი ჩამოიცალა თავიდან მუშათა მთავრობამ და სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მისი დამუშავება.

მაღალი და მწვანით დაფარული მთები, რომელზეც სოფლებიც კი არის გაშენებული, ამ 50 წლის განმავლობაში დათხრილია გვირაბებად — მაღაროებად, და დღისა და ღამის განმავლობაში შეუწყვეტელი მუშაობის წყალობით ულეველად გამოაქვთ შიგნიდან მარგანეცი.

ეს მაღაროები ზოგი იმდენად დიდია, რომ ოთხიხუთი საათის განმავლობაშიც კი ვერ დაივლის ადამიანი, სიგრძე-სიგანეზე დასერილია გვირაბებით და თითოეულ მათგანს სამი-ოთხი კილომეტრი სიგრძე აქვს. გვირაბების დასასრულში დგანან მუშები წერაქვებით და გამუდმებით არტყავენ შავი ქვის ფენას, მარგანეცს, სთხრიან მიწის გულს. იქვე გვერდში უდგანან მათ ნიჩბის მუშები, რომელნიც მოთხოილ მარგანეცს ჰყრიან რონოდებში, და რონოდებს კი ეზიდებიან ცხენები, ვიწრო, წვრილ ლიანდაგებზე მოაგორებენ, გააქვთ მაღაროდან გარეთ.

ეს გვირაბებით დაქსელილი მაღარო განათებულია ელექტრობით, მაგრამ ის ძლიერ სუსტად ანათებს, ისე რომ თვითეულ შიგ შემავალ მუშას მაინც სჭირდება ცალკე ხელის ფანარი გზის გასანათლებლად, რადგან გამოყონილი წყლისაგან გზა ატალახებულია და უსწორმასწორო.

ამ მაღაროებში მუშები 7 საათს მუშაობენ. ოცი საათის განმავლობაში მუშაობს სამი ცვლა, 4 საათის განმავლობაში კი მუშაობა შეჩერებულია.

შიგ ყოფნის დროს თუ დაყუჩდები, გაიგონებ სხვადასხვა მხრიდან წერაქვის დარტყმის ყრუ ხმას და რონოდების შორ აჩხრიალებას.

ბევრს აქვს ისეთი წარმოდგენა, თითქოს მაღაროებში მუშაობა რაღაც მომაკვდინებული და უსიცოცხლოა, მაგრამ ეს ასე არ არის.

მასში არის თავისებური სიხალისე, გატაცება, მეტადრე დღეს, როდესაც მუშა 7 საათს მუშაობს და არა 16—17 საათს. წერაქვის ხმირი დარტყმა, ნიჩბის ჩხრიალი დაფშვნილი მარგანეცის რონოდაზე ჩაყრის დროს, რონოდების გამგზავრება გუგუნის მაგვარი ხმაურით და რონოდების ახალი წყების მოგრიალება, — ყველაფერი ეს ჰქმნის ერთგვარ თავისებურ, წამხალისებელ სიმფონიას.

რამდენადაც ღრმად იჭრებიან მუშები გვირაბში, იმდენად უფრო ემატებათ სიცხოველე, რადგან ხშირად მოწინააღმდეგე მხრიდანაც ძიწის თხრით მოჰყვებიან გვირაბს, რომ ერთმანეთს შეხვდენ — ორი გვირაბი გააერთიანონ.

წერაქვისა და ნიჩბის მუშებს უკან მიჰყვებიან ბოძების დამდგმელი მუშები, რომელნიც გვირაბში დგამენ ბოძებს ჭერსა და ძირს მიწის შორის, რომ მაღარო არ ჩამოინგრეს, ამაგრებენ კედლებს, გვირაბის ზედა ნაწილს, თორემ მიწის ჩამონგრევას ძლიერ ხშირად უძსხვერპლია მუშები, — შიგ მოჰყოლილან და დაღუპულან.

გამოტანილი მარგანეცი მოთხოის დროს მიწანარევია, რის გამოც ის ითხოვს გარეცხვას, დაწმენდა-გასუფთავებას.

რონოდებით გამოტანილი მარგანეცი მაღლიდან პირდაპირ ფერდობზე იყრება (ყოველი მაღარო მთის წვეროებზეა გაყვანილი), ოღრო მთის ძირში აგებულია მარგანეცის მრეცხავი მანქანა. ხელოვნური მილებით აძოყვანილი წყალი ძიძვებულია ამ დაყრილ შავ ქვაზე, და წყალსაც ჩააქვს ის ღარების საშუალებით ქარხანაში.

ქარხანა ამუშავებულია დიდი მანქანით — დიზელით, რომლის საშუალებითაც მუშაობს სხვადასხვა ზომის საცრები. ეს საცრები რეცხავენ მარგანეცს. მიწას აცილებენ მას, გვერდზე ჰყრიან და მარგანეცს კი ანაწილებენ მისი ღიოსების მიხედვით. საუკეთესო ხარისხის მარგანეცი წვრილია, უფრო მდარე ხარისხის—უფრო მსხვილი.

ასეთი ქარხნებიდან მარგანეცი გადააქვთ უკვე რკინის გზის რონოდებისაკენ ან ურმებით ან კიდევ საჰაერო გზებით.

უკანასკნელ წლებში აგებულ იქნა საჰაერო გზები ბევრ ადგილას, რაც ძლიერ აადვილებს გადატან-გადამოზიდვას და ამავე დროს იაფიც ღირს.

საჰაერო გზა ასეთია:

ქარხანასა და რონოდების დასატვირთავ ადგილებს შორის გაყვანილია მსხვილი მავთულები ორ ხაზად, მასზე რგოლებით დაკიდებულია რონოდები. განსაკუთრებული მანქანის საშუალებით ეს მავთული მოძრაობს და მიაგორებს დატვირთულ რონოდებს; როდესაც ეს რონოდა მივა შავი ქვის სატვირთავ ადგილთან, იქ მოწყობილი კაუჭი მოედება რონოდის ერთ-ერთ კაუჭს და რონოდას გადმოატრიალებს, მხოლოდ ისე, რომ რონოდა ისევ ზედ ჰკიდია და ასვლასაც განაგრძობს. მას მიყვება მეორე, მესამე, მეოთხე, პირველები კი მიდიან ისევ ქარხნისაკენ, სადაც ხელახლა ავსებენ მათ მარგანეცით.

შავი ქვა რკინის გზით ფოთში მიაქვთ, იქ კიდევ ტვირთავენ გემებს და ევროპაში გააქვთ, სადაც პირველობა აქვს მიკუთნებული.

(გაგრძელება იქნება)

ელ. პოლუმორდვინოვი

ჩემი ჟურნალი
კოოპერატივი

(შურა ფომიჩევის წერილები იმის შესახებ, როგორ მოეწყო სკოლაში კოოპერატივი, როგორ მუშაობდა ის და რა სარგებლობა მოუტანა ბავშებს, მშობლებს და სკოლას).

დღეიდან დაგვეწყო მეცადინეობა, და მე გადავწყვიტე შემოვიღო დღიური. მხოლოდ არ ვიცი, როგორ დავიწყო. უპირველეს ყოვლისა — რის შესახებ ვწერო. აი უკვე მეორე წელია, რაც ივანოვი დღიურს ავსებს, მაგრამ მე ის არ მოწონს: წაეჩხუბება ვიხმე ვიხმეს ან რომელიმემ გაკვეთილი არ იცის, — ყველაფერს ნიშნავს დღიურში, და სისულელე გამოდის. რა საჭიროა ყოველივე ამის ჩაწერა? უკეთესია საკუთარი აზრების ჩაწერა, მაგრამ ძნელია ეს: ფიქრით ფიქრობ, მაგრამ წერა შეუძლებელია — არ გამოდის ისე, როგორც ფიქრობ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩემს დღიურს მაინც შემოვიღებ. შემდეგ გამოჩნდება.

* * *

ახლა ვიცი, თუ რა იქნება ჩემს დღიურში. მე გიამბობთ ყველაფერს რიგზე. დღეს გაკვეთილების შემდეგ დავრჩით კლასში და ვლაპარაკობდით მოწაფეთა კომიტეტის არჩევაზე. მოგვიახლოვდა საზოგადოებათმეცნიერების ახალი მასწავლებელი, პავლე ივანეს ძე კოროსტელოვი. მე ის ძალიან მომწონს და ბავშებიც პატივსა სცემენ. ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა, რაც ჩვენ გვამეცადინებს, და ყველა ჩვენგანს იცნობს, იცის სახელი და გვარი, იცის, ვინ რამდენი წლისაა და ვინ რით გამოირჩევა. პავლე ივანეს ძე მოგვიახლოვდა და ამბობს: „შეიძლება მონაწილეობა მივიღო თქვენს თათბირში?“ ჩვენ გიგვეცინა: „რატომაც არა“. უნდა ითქვას, რომ ძალზე ვხმაურობდით აქამდე, ყველა თავისას ყვიროდა, მეორის მოსმენა აო სურთ, ნამდვილი უწესრიგობაა. პავლე ივანეს ძემ ჩუმად დააყუჩა ჩვენი ვნებები, და საქმიანი ლაპარაკი დავიწყეთ.

დაიწყო ცხელი საუზმიდან. გასულ წელს ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მოწკომმა, მაგრამ თავი ვერ გაართვა. პავლე ივანეს ძე ამბობს: „საუზმეს უკეთესია ხელი მოჰკიდოს სასკოლო კოოპერაციამ“. ჩვენ თითქმის დავიბენით კიდეც. რ არის ეს სასკოლო კოოპერატივი? ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ გაგვიგია. პავლე ივანეს ძემ გვიამბო, თუ რა ორგანიზაციაა ეს და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მოწაფეთათვის. ბავშები ამბობენ: „ძალზე კარგი საქმეა, მაგრამ შევძლებთ კი ამას?“ პავლე ივანეს ძე იცინის: „სხვა სკოლებმა შესძლეს და რითა ხართ თქვენ მათზე ნაკლები? მე გაგიწევთ პირველ ხანებში დახმარებას, შემდეგ შეეჩვევით და საქმეს კარგად წაიყვანთ“.

მე ამან ძალზე დამაინტერესა. „ვცადოთ, ბიჭებო, ჰა?“ — ვამბობ. ზოგიერთები ამას გულგრილად მოეკიდენ, ხოლო ანტონ პერვუხინმა, კატია პეტროვამ, კოსტია რიბაკოვმა და სხვა ბალღებმა მხარი დამიჭირეს. მაშინ პავლე ივანეს ძემ სთქვა, რომ ჩვენ ვიქნებით საინიციატივო ჯგუფი და ხვალ შევიკრიბებით საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად.

* * *

ვფიქრობდი დღიურში მეწერა კვირაში ერთხელ, მაგრამ თითქმის ყოველდღე ვწერ. ასე, მე მგონია, რვეულებიც არ მეყოფა. მე დამასახელეს გუშინ ჩვენი სასკოლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. ახლა მტკიცედ გადავწყვიტე ჩემი დღიური ვუძღვნა ამ საქმეს. ყოველივე ეს ძალზე საინტერესოა და ახალი და საერთოდ სხვა რამეზე წერა არც კი მსურს. გუშინ გვქონდა საინიციატივო ჯგუფის კრება. აგიხსნით, თუ რა არის ეს. სიტყვა ინიციატივა ნიშნავს დაწყებას, თაოსნობას. მაშ ეს ნიშნავს ამხანაგების ისეთ ჯგუფს, რომელმაც აიღო თავის თავზე თაოსნობა, ე. ი. საქმის დაწყება. პავლე ივანეს ძის გარდა შეგროვდა ცხრა ბავში: მე, ანტონ პერვუხინი, ჟენია ივანოვი, ვასია ვოსტოკოვი, პაშა, პეტია, ანა ივაშჩკინა და კატია პეტროვა, ხოლო სასკოლო საბჭოსაგან დაესწრო კიდევ ორი მასწავლებელი უმცროსი ჯგუფებიდან. თათბირზე გადავწყვიტეთ, რომ ვიდრე შევქმნიდეთ რომელიმე ორგანიზაციას, უნდა გამორკვეულ იქნეს, თუ როგორია მისი მიზნები და ამოცანები, ხოლო ამისათვის საჭიროა ვიშოვოთ წესდება სასკოლო კოოპერატივისა, რომელშიაც ყველაფერი დაწვრილებითაა გაშუქებული. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: არ კმარა მარტო ჩვენ გავერკვეთ ჩვენს ამოცანებში, საჭიროა ბალღების დაინტერესებაც, თორემ უამისოდ კოოპერაცია წინ ვერ წავა. კოოპერაცია ხომ საზოგადოებრივ თვითმოქმედე ბაზეა დაყრდნობილი, მაშასადამე, აუცილებელია მისდამი ინტერესის გაცხოველება. ამიტომ გადავწყვიტეთ წავიდეთ სახალხო განათლების განყოფილებაში ინსტრუქტორისათვის — დეე, მან ილაპარაკოს ბავშების საერთო კრებაზე სასკოლო კოოპერაციის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ ის.

გადავწყვიტეთ მეცადინეობის დროს ჩატარებულ იქნეს რამდენიმე ლექცია, რომელსაც წაიკითხავენ მასწავლებლები. მასწავლებლებმა ამაზე თანხმობა გამოაცხადეს და დაგვპირდენ ორი ამხანაგის გამოყოფას. ამის გარდა დავადგინეთ აგიტაცია ვაწარმოოთ ბავშებს შორის კოოპერატივისათვის: შესვენების დროს ვებაასოთ კოოპერატივზე ან გაკვეთილების შემდეგ.

იქნება ვიშოვნოთ ბიბლიოთეკაში საინტერესო წიგნები კოოპერაციაზე — დეე, ბავშებმა წაიკითხონ, ან მოვთხოვთ ლიტერატურას სახალხო განათლების განყოფილებას.

საჭიროა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ დავაჯეროთ მშობლები; უნდა ავუხსნათ მათ, რომ კოოპერაცია მათ სარგებლობას მოუტანს—ნაკლები იქნება ხარჯი სახელმძღვანელოებზე, რვეულებზე, შემოვიღებთ ცხელ საუზმეს და, ვინ იცის, კიდევ რას!..

* * *

ძალზე ვიყავი საქმით გართული და სამი დღე არაფერი არ ჩამიწერია დღიურში. ჩვენი საქმე წინ წავიდა. უპირველეს ყოვლისა წავედით სახალხო განათლების განყოფილებაში, მხოლოდ ინსტრუქტორი იქ არ იყო. რა ვუყოთ, გადავწყვიტეთ ჩვენი ძალებით დაკმაყოფილება. პავლე ივანეს ძემ გვიშოვნა წესდება. შემდეგ ლოზუნგების და პლაკატების ხატვა დავიწყეთ:

„მოგვეცით სასკოლო კოოპერატივი“

„სკოლის მოწაფეების აქტიური საქმიანობა სასკოლო კოოპერაციის განვითარების საწინდარია“

„სასკოლო კოოპერაციის გზით ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობისაკენ, სკოლასთან ოჯახის თანამშრომლობისაკენ“.

„მოწაფეთა კოოპერატიული აღზრდა — გულმოდგინე კოლექტიური მუშაობის და სწავლის საწინდარია“.

„სასკოლო კოოპერატივი, რომელიც იძლევა ცხელ საუზმეს, მოზარდი თაობის ჯანმრთელობას ამაგრებს“.

ყველა ეს ლოზუნგი ჩვენ გავაფერადეთ და გამოვკიდეთ თვალსაჩინო ადგილზე. ბევრმა ბავშმა ჯერ კიდევ არაფერი არ იცის, მაგრამ ყველას გაგებული აქვს, რომ ჩვენ ვაარსებთ რაღაც ორგანიზაციას; ამიტომ ყოველ ფეხის გადადგმაზე გვეკითხებიან: „რა ამბავია?“

მაგრამ დიდი ხანი არაა დარჩენილი საერთო კრებამდე; ლექციასაც წაიკითხავს პავლე ივანეს ძე და მალე ყველა გაიგებს. ჯერჯერობით მხოლოდ წიგნებს ვურიგებთ მსურველებს კოოპერაციის შესახებ, ბიბლიოთეკიდან.

მოწაფეთა კომიტეტთან, სკოლის საბჭოსთან და კომკავშირის უჯრედთან უკვე შევთანხმდით, ისინი დახმარებას დაგვპირდენ. რაც შეეხება პიონერულ ფორპოსტს, ის პირველი დღეებიდანვე ჩვენს დიდ მომხრედ გადაიქცა.

* * *

დღეს არ მოვიდა არითმეტიკის მასწავლებელი ქალი, და პავლე ივანეს ძემ წაგვიკითხა ჩვენს ჯგუფში გაცდენილ გაკვეთილზე ლექცია კოოპერაციის შესახებ. მე არც კი ვიცოდი, რომ ეს ისე დიდი საქმეა. თურმე მთელ მსოფლიოში პირველი კოოპერატივი მოწყობილ იქნა მუშების, ფეიქრების, მიერ, თითქმის ასი წლის წინად. ეს ფეიქრები ცხოვრობდენ ინგლისის ქალაქ როჩდელში და გადასწყვიტეს ნებაყოფლობითი თანხებით მოეწყოთ თავისი დუქანი, რომ ზედმეტი არ ეძლიათ ვაჭრებისათვის. მთელი წელი აგროვებდენ ისინი ფულს და მოაგროვეს სულ მხოლოდ და მხოლოდ 280 მანეთი (მე მგონია, ჩვენს სკოლაში ამაზე მეტს მოვაგროვებთ) და ამ ფულით სხვადასხვა საკვები პროდუქტის დუქანი გახსნეს.

ეს მოხდა 1844 წელს.

პავლე ივანეს ძემ შემდეგ გვიამბო იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა მუშათა კოოპერაცია საზღვარგარეთ. ის გვიამბობდა მუშათა კოოპერაციის საერთაშორისო გაერთიანების სამარცხვინო როლზე ინგლისის მაღაროელთა დიდი გაფიცვის დროს, რომელთაც დახმარებაზე უარი უთხრეს.

შემდეგ ჩვენ გავიგეთ საბჭოთა კოოპერაციის როლის შესახებ სოციალისტურ აღმშენებლობაში. ბოლოს ის შეეხო სასკოლო კოოპერაციას და სთქვა, რომ კოოპერაცია საბჭოთა სკოლაში შეუძლებელია ჩაკეტილი იყოს, გამოცალკევებული სხვა ორგანიზაციებისაგან. მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტო ვაჭრობით და უნდა იღებდეს მონაწილეობას სკოლის მთელს ცხოვრებაში ისე, როგორც საბჭოთა კოოპერაცია იღებს მონაწილეობას საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში. სასკოლო კოოპერატივი უნდა აწყობდეს საწარმოო წრეებს, რომ ხელი შეეუწყოთ შრომითი ჩვევების განვითარებას და აგრეთვე უნდა ეწეოდეს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სკოლაში.

პავლე ივანეს ძემ გვიამბო სხვა სასკოლო კოოპერატივების მიღწევებზე. მოსკოვში 1927 წლის ბოლოს აღრიცხვაზე აყვანილ იყო 410 კოოპერატივი, რომელშიაც შედის 170 000 წევრი. ზოგიერთ კოოპერატივში შედიოდა ყველა მოწაფე, ზოგში—ნახევარი. მარტო 1925 წელს კოოპერატივებმა შეიძინეს სხვადასხვა საქონელი, 70 000 მანეთად ღირებული. აი ეს სამაგალითოა! ხოლო ზოგიერთ კოოპერატივში სასწავლო წლის განმავლობაში ბრუნვა 3 000 მანეთამდე აღწევდა.

საინტერესოდ გვიამბო მან ერთ სოფლის სკოლაზე, რომელიც მდებარეობს შჩელკოვსკის რაიონში (მოსკოვიდან შორს არაა). იქ გლეხქალებმა გაიგეს კოოპერაციის შესახებ ბავშვებისაგან და დაიწყეს სიარული სკოლაში. გლეხქალები გვთხოვდენ: მოაწყვეთ ჩვენთვის ჭრა-კერვის წრეო. ბავშვები დაფიქრდენ და მოიწვიეს სპეციალური ინსტრუქტორი, რომელმაც ჩამოაყალიბა სოფლის გოგოებისათვის ჭრა-კერვის წრე, გოგონები კი წრეში მორბოდენ. გლეხქალები სწავლობენ კერვას, ხოლო ამავე დროს მათ უფროსი მოწაფენი ან ერთი რომელიმე მასწავლებელი უკითხავს სხვადასხვა საინტერესო წიგნს; კოოპერატივის თანხებით გამოუწერეს მათ გაზეთიც. მეზობელ სოფლებში გლეხებმა გაიგეს თუ არა ამის შესახებ, მათაც დაიწყეს სიარული სკოლის კოოპერატივში.

კოოპერატივს არ შეუძლია შემოიფარგლოს მარტო სკოლის საქმეებით, ის უნდა ზრუნავდეს მოსახლეობის საჭიროებაზე, ხოლო ამისათვის ის უკავშირდება მოზრდილების კოოპერატივს. ასე მოიქცენ ბავშვები ვლადიმირის გუბერნიაში, ქალაქ კირჟაჩში. მათ გაიგეს, რომ ქალაქის კოოპერატივში მოძრავი კინოა, მაგრამ ის უქმადაა, ვინაიდან არავის არ სცალია მისთვის. ისინი მოელაპარაკენ მოზრდილების კოოპერატივს, რომ მას მიეცა მათთვის მთელი ზაფხულის განმავლობაში მოძრავი კინო, ხოლო ისინი გამოყოფენ გათვითცნობიერებულ ბავშვებს, რომელნიც წავლენ მოძრავი კინოთი, დაუწყებენ კინოს ჩვენებას და მისცემენ გლეხებს სხვადასხვა განმარტებას. ამით ისარგებლებდენ კოოპერატივი, გლეხები და სკოლის მოწაფეები. ბავშვები იძულებული შეიქნენ სერიოზულად მომზადებულიყვნენ განმარტებისათვის, რომელსაც ისინი აძლევდენ გლეხებს სურათების საშუალებით და ამ მოძრავ კინოში მუშაობამ სარგებლობა მოუტანა მათ: მათი საერთო განვითარების და განათლების დონე ამაღლდა.

პიონერების ბანაკი სოფ. ზვარეში.

ზოგჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ მოზრდილთა კოოპერატივები ყურადღებას არ აქცევდენ სასკოლო კოოპერაციას. იყო შემთხვევა, როდესაც დასცინოდენ კიდეც, ამბობდენ, რომ ეს საბავშო თამაშობაა და სხვა არაფერი. ასე ექცეოდა ბავშებს სადგურ უსტომსკის, რომელიც მოსკოვის ახლოა, მოზრდილთა კოოპერატივი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბავშებმა გადასწყვიტეს გაეკეთებინათ სკოლის საერთო კრებაზე მუშაობის ანგარიში და მოიწვიეს მოზრდილთა კოოპერატივის გამგეობის წევრები. ისინი პირდაპირ გაკვირდენ ბავშების მუშაობით და მაშინვე დაადგინა გამგეობამ, აუცილებლად დაეხმარონ სასკოლო კოოპერატივს და გასცა 50 მან. სკოლის მოედნისათვის და 50 მან. ბავშებისათვის თევზის ქონისათვის. უფრო ხშირად კი მოზრდილთა კოოპერატივები ეხმარებიან ბავშებს ცხელი საუზმის მოწყობაში — აძლევენ მათ პროდუქტებს შეღავათიან ფასებში ან ნისიად.

პოდოლსკის მაზრაში ბელეუტოვის სასკოლო კოოპერატივმა ექსკურსია მოაწყო მოსკოვში. როდესაც მშობლებმა ამის შესახებ გაიგეს, ბევრმა მოითხოვა ისინიც წაეყვანათ თან; ბავშებმა წაიყვანეს თავისი თანხებით რამდენიმე მშობელი და სოფლის საბჭოს წევრები. ბევრ სკოლაში კოოპერატივებმა მოაწყვეს კედლის გაზეთები, წინად რომ არ არსებობდა ქალალდის უქონლობის გამო. კოოპერატივი შოულობდა ქალალდს, საღებავებს, ფანქრებს, და სკოლა უშვებდა კედლის გაზეთს. სხვა სკოლებში კი ისინი თავისი ხარჯით იწერენ ყველა ბავშისათვის „პიონერსკაია პრავდას“, „პიონერს“, „სმენას“, „კომსომოლსკაია პრავდას“, ჟურნალ „ვოჟატის“, ყიდულობენ წიგნებს სკოლის ბიბლიოთეკისათვის, აწყობენ კუთხეებს: ლენინის, კოოპერატივის, აწყობენ კოოპერატიულ წრეს. არის ისეთი კოოპერატივები, რომელთაც მოაწყვეს სკოლაში კლუბი ან ატარებენ სხვადასხვა ლექციას და საუბრებს კოოპერატიულ საკითხებზე. ყველა ამისათვის კოოპერატივის მოგებისაგან ფულის ნაწილი სპეციალურად კულტურულ-განმანათლებლობითს მუშაობას ხმარდება.

სასკოლო კოოპერატივებს მოაქვთ სარგებლობა ბავშებისათვის კიდევ იმით, რომ ამით შეიძლება კოოპერატიული საქმის შესწავლა. მოსკოვში ერთმა მოზრდილმა კოოპერატივმა პირდაპირ მიიღო სამსახურში სასკოლო კოოპერატივის მთელი გამგეობა, როდესაც მათ სკოლა გაათავეს. მან იცოდა, რომ ამ ბავშებს კარგად შეუძლიათ მუშაობა. მათ დაუნიშნეს სამოც-სამოცი მანეთი ჯამაგირი და ერთი პროდუქტების შემსყიდველ აგენტად დანიშნეს, მეორეს კულტმუშაობა მიანდვეს. ბავშებმა ეს საქმე კარგად დააყენეს, რადგანაც მათ გამოცდილება ჰქონდათ მიღებული თავის სასკოლო კოოპერატივში.

სასკოლო კოოპერატივების მთავარი ამოცანაა — გამართონ თავისი კოოპერატიული წარმოება. ყველა კოოპერატივი ამისაკენ უნდა მიილტვოდეს. ჩვენი სკოლა ხომ შრომისაა, ამიტომ უნდა განვავითაროთ ბავშებში შრომის ჩვევები და ამის გაკეთება ყველაზე ადვილია მაშინ, როდესაც ბავშები დაიწყებენ რაიმე ხელობის შესწავლას. საწარმოო კოოპერაცია დაეხმარება ბავშებს ნივთიერად: საკუთარი ძალებით გავაკეთებთ თვალსაჩინო ხელსაწყოებს და სკოლის მოწყობილობას.

ქალაქის სკოლებში უნდა მოეწყოს სხვადასხვა სახელოსნო — სადურგლო, სახარატო, ფეხსაცმლის კერვის, ჭრა-კერვის, სათამაშოების, კალათების, ყდების და სხვა, ხოლო სოფლის სკოლებში ბავშებს შეუძლიათ ამათ გარდა მოაწყონ საცდელი ბოსტნები, მინდვრის ნაკვეთები, განავითარონ მეფრინველეობა, მეფუტკრეობა ან მეაბრეშუმეობა, შეაგროვონ გასაყიდლად ნედლი მასალა სხვადასხვა ნივთისათვის, მაგალითად, წნელი კალათებისათვის. იმისათვის, რომ დაეხმარონ სკოლებს ამ საქმეში, სახალხო განათლების მოსკოვის განყოფილებასთან მოწყობილია „გაცვლის ბიურო“, რომელიც მიიღებს მოწაფეთა კოოპერატივებისაგან მათ ნამუშევარს და გაგზავნის იმ სკოლებში, სადაც ამას საჭიროებენ. გარდა ამისა, ეს ბიურო კოოპერატივებს მიაწოდებს სხვადასხვა სამუშაო იარაღს.

მ. ბოგომაზოვა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

რკინის ფასკუნჯი.

„ფასკუნჯმა შეისვა ყმაწვილი ფრთებზე და ამოიყვანა ქვესკნელიდან“ — ამბობს ერთი ზღაპარი. დღეს რკინის ფასკუნჯს უკვე შეუძლია 100 კაცი წაიყვანოს და იფრინოს მთელი კვირის განმავლობაში. მაგრამ ეს „ფასკუნჯი“ ჯერ მეტად ახალგაზრდაა, ის ამ ოციოდე წლის წინ სულ უსუსური იყო. გავეცნოთ მის ისტორიას.

23 წლის წინათ ევროპაში მეტად დიდი ამბავი მოხდა: 1906 წლის 13 სექტემბერს ფრანგი სანტოს-დიუმანი ჰაეროპლანით აფრინდა, ჰაერში დაჰყო 21 წუთი და პრიზიც მიიღო — 50 000 ფრანკი.

ორი წლის შემდეგ ჰერნი ფარმანმა უკვე 3 წამი და 30 წუთი დაჰყო ჰაერში. ვილბურ რაიტი უკვე ერთ საათს ფრინავდა; 1908 წელს მან იფრინა 2 საათი, 20 წამი და 22 წუთი — ეს იყო სარეკორდო ხანგრძლივობა.

1912 წელს საფრანგეთში ფურნეი ჰაერში იყო 13 ს. 17 წამსა და 23 წუთს.

ფრანგმა ავიატორებმა ბოსუტრუმ და ბერნარმა ჰაეროპლანზე დაჰყვეს ჰაერში 24 ს., 19 წამი და 23 წუთი (1920 წელს).

1921 წელს ამერიკელებმა სტინსონმა და ბერტმა ახალი რეკორდი დაამყარეს — 26 ს. 18 წამი და 35 წუთი. 1923 წელს ამერიკელებმა სმისმა და რიხტერმა შემდეგ ხერხს მიმართეს, რომ ხანგრძლივად ეფრინათ: ხანგამოშვებით აფრინდებოდა მეორე ჰაეროპლანი, რომელიც აწვდიდა 16 მეტრის სიგრძე შლანგით მათ საწვავ ნივთიერებას, მეორე შლანგით კი საჭმელს. ამის გამო იმათ შესძლეს ჰაერში 37 ს. 12 წ. და 22 წუთს ყოფნა.

მაგრამ ეს ხერხი მალე მიივიწყეს.

1924 წელს კუპემ და დრუენმა (საფრანგეთში) 37 ს. 59 წ. და 10 წუთი იფრინეს ისე, რომ საწვავი მასალის შევსება არ დასჭირვებიათ, იმავე წელს კი დრუენმა და ლანდრიმ 45 ს. 11 წ. და 59 წუთი დაჰყვეს ჰაერში.

1927 წელს 51 ს. 11 წ. და 25 წუთს ფრინავდენ ამერიკელი აკოსტი და ჩემბერლენი, მაგრამ იმავე წელს აჯობეს მათ გერმანელებმა — რისტიცმა და ედზარმა, რომლებმაც 52 ს. 22 წ. და 31 წუთს იფრინეს შეუსვენებლივ.

უკანასკნელი რეკორდი დაამყარეს 1928 წელს ამერიკელებმა ჰოლდმანმა და სტინსონმა — 53 ს. 31 წ. და 41 წუთი.

ამის შემდეგ ისევ ამერიკელებმა მიმართეს მივიწყებულ ხერხს: ჰაეროპლანის ფრენის დროს მეორე ჰაეროპლანის მიერ საწვავი მასალის და ზეთის მიწოდებას. მართლაც, მიმდინარე წლის 1 იანვარს კალიფორნიაში ლოს-ანჟელოსის ჰაეროდრომიდან აფრინდა 7 ს. და 26 წამზე სამმოტორიანი ჰაეროპლანი „ფოკერი“, რომელშიც 5 მგზავრი იჯდა. ჰაეროპლანი სან-დიეგოსკენ გაემართა; 5 საათის შემდეგ მასთან მიფრინდა მეორე ჰაეროპლანი და მიაწოდა საწვავი მასალა. ეს ჰაეროპლანი „ფოკერზე“ 10 მეტრით მაღლა მიფრინავდა იმავე სისწრაფით, როგორც „ფოკერი“. მან გადმოუშვა ორი შლანგი, რომელიც „ფოკერზე“ მყოფებმა შეუერთეს ბენზინის და ზეთის ჭურჭლებს. ასე მეორდებოდა დღეღამეში ხუთჯერ. ჰაეროპლანის კაბინაში სამი საწოლი იყო და ყოველი 6 საათის შემდეგ ისვენებდა თითოეული პილოტი. ასე იფრინეს 5 დღეღამეს, მერე მოტორი დაზიანებული აღმოჩნდა და 6 დღეღამისა და 7 საათის ფრენის შემდეგ (150 ს. 46 წამი) დაეშვენ ჰაეროდრომზე.

ამავე წლის 19 მაისს აფრინდენ ამერიკელი რეჯინალდ რობინსი და ჯემს კელი (ტეხასში) და დღეში ორჯერ იღებდენ მეორე ჰაეროპლანიდან საწვავ ნივთიერებას და საჭმელს, წერილებს, დეპეშებს. $7\frac{1}{2}$ დღის (172 ს. 32 წ. და 1 წუთი) შემდეგ ისინი დაეშვენ ჰაეროდრომზე, და მათ მიესალმა აუარებელი ხალხი. ეს პილოტები კიდევ დიდხანს იფრენდენ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ შეუშალა მათ ხე-

ლი: ჯემს კელი ერთხელ ზეთავდა მოტორს და უეცრად ქამრის ფოლადის „პრიაშკას“ მოხვდა პროპელერი, რომელსაც პატარა ნაპირი ჩამოტყდა; ვინაიდან მთელი დღეების განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, დაზიანებულ ადგილში ვიწრო ხვრელი გაჩნდა და სწორედ ამ ხვრელის ადგილას გასკდა პროპელერი, რის გამოც იძულებული გახდენ შეეწყვიტათ ფრენა.

ექიმმა მაშინვე გასინჯა ავიატორები, როგორც კი დაეშვენ ისინი, და გამოირკვა, რომ გული და მაჯა ნორმალური ჰქონდათ, მაგრამ ცუდად ესმოდათ ყურში მოტორების და პროპელერების საშინელი განიადაგებული ხმაურის გამო. საშუალოდ ჰაეროპლანი 120 კმ. აკეთებდა საათში, ასე რომ $7^1/_2$ დღეში მან გაიარა დაახლოვებით 20 000 კმ., ე. ი. ეკვატორის ნახევარი.

2 ივლისს ლოს-ანჟელოსის მახლობლად აფრინდენ ლორენ მენდელი და როლან რეინარტი, რომლების აპარატს უკვე 27 000 კმ. ჰქონდა გავლილი, მოტორი კი 450 საათის განმავლობაში მუშაობდა მანამდე (ხანგამოშვებით). ისინი 10 დღეს იყვნენ ჰაერში და 37-ჯერ შეავსეს საწვავი მასალა. მათი ფრენის საშუალო სისწრაფე 128 კმ. უდრიდა საათში, გავლილი გზის სიგრძე—32 000 კმ. 12 ივლისს დაეშვენ ისინი მიწაზე. მათი სიტყვით, მეტად ნელა გადიოდა საათები ფრენის დროს, წყურვილით იხრჩობოდენ და აუარებელ წყალს სვამდენ. მუდამ ჯდომისაგან ფეხები საშინლად სტკიოდათ. როდესაც ერთი პილოტი საკმაოდ დაიღლებოდა, მას მეორე სცვლიდა. ბოლო დროს ისე მიეჩვიენ, რომ თავს უკეთ გრძნობდენ, ვიდრე პირველ დღეებში.

10 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ფრენა უკვე მოწმობს თანამედროვე ჰაეროპლანის გამძლეობას; თითქოს ახლა მაინც უნდა შეჩერებულიყო ადამიანი და დაკმაყოფილებულიყო $1^1/_2$ კვირის განმავლობაში ჰაერში ფრენით, მაგრამ ვერც კი მოასწრეს მენდელმა და რეინარტმა დაშვება, რომ მოვიდა დეპეშა: „ამერიკელი ჯეკსონი და ობრიენი უკვე 246 საათი, 43 წ. და 32 წუთი ფრინავენ და განაგრძობენ ფრენას“, შემდეგ დეპეშაში კი ეწერა: „ამერიკელმა პილოტებმა ჯეკსტონმა და ობრიენმა დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი—ისინი 420 საათი იყვნენ ჰაერში მიწაზე დაუშვებლად, ე. ი. $18^1/_2$ დღეზე მეტი“.

სულ 23 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სანტოს-დიუმანმა 21 წუთი დაჰყო ჰაერში და ამისათვის პრიზი მიიღო, ახლა კი შესაძლოა, როგორც ვხედავთ, დედამიწას მიწაზე დაუშვებლად შემოუფრინოს ჰაეროპლანმა. 23 წელი მეტად პატარა დროა, მაგრამ ავიაციის დარგში ყოველი წელი ზღაპრულ მიღწევებს იძლევა და მალე, სულ მალე შესაძლებელი გახდება ის, რაც დღესაც კი მიუწვდომელ ოცნებად მიგვაჩნია. ტექნიკის ზრდა-განვითარებას ვერაფერი აჩერებს, ადამიანი ჰაერს დღითი-დღე უფრო და უფრო მედგრად და მტკიცედ იპყრობს. ზღაპრული ფასკუნჯი, რომელმაც ყმაწვილი ფრთებზე შეისვა და ქვესკნელიდან ამოიყვანა, დღეს რკინის ჩიტად ქცეული გუგუნებს ჰაერში და უკვე დაჰყავს მგზავრები დედამიწის ყოველ კუთხეში.

ისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრების სიმღერა



რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: **მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსამიძე, ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე.**

მთავარლიტ № 1399. სახელგამის სტამბა, სომხის ბაზარი, № 22. შეკვ. № 470. ტირაჟი 2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929 წ.

გამოდის — გამოდის

საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალები

მოზრდილთათვის **პიონერი** ორკვირეული IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის. ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან. ექვსი თვით — 3 მან.

სამი თვით — 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი — 25 კ.

მცირეწლოვანთათვის **„ოქტომბრელი“** ყოველთვიური II წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.